

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2008, №11

სოციალური  
დავები

**1. კომპენსაცია**

- ccc ვალდებულების აღიარება სანივთე ქონების კომპენსაციაზე
- კვების, სანივთე ქონების, ულუფისა და სამივლინებო ხარჯების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო
- კვების კომპენსაცია
- კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი
- სამივლინებო და ბინის ქირის თანხების ანაზღაურების ხანდაზმულობა
- სანივთე ქონებისა და ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის აღიარება
- შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნების დაუშვებლობა

**2. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

# 1. კომპენსაცია

## კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1027-981(კ-07) 26 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** მიუღებელი თანხის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. კ-იამ 2005 წლის მარტში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მიუღებელი თანხის ანაზღაურების დაკისრება. მან სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოხუმის უნივერსიტეტში სამხედრო კათედრაზე მასწავლებლად. მისი ანაზღაურება შეადგენდა ყოველთვიურად 147 ლარსა და 92 თეთრს, კვების კომპენსაცია - 59 ლარს, მას ეძლეოდა ყოველწლიურად 383 ლარის და 43 თეთრის ღირებულების ფორმის თანსაცემელი. 2001 წლის 12 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში და იმავე დღიდან დაევალი იგივე თანამდებობის შესრულება, რასაც ასრულებდა ამ ბრძანების გამოცემამდე. იმავე თანამდებობას ასრულებდა 2004 წლის 14 იანვრამდე, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ღებულობდა მხოლოდ ხელფასს და არ მიუღია არც კვების კომპენსაცია და არც ტანსაცმლის ანაზღაურება, თუმცა ხელმძღვანელობა ჰპირდებოდა როგორც კვების კომპენსაციას, ასევე, ფორმის ღირებულების ანაზღაურებას. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2004 წლის 14 იანვარს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ჩაირიცხა რეზერვში, მაგრამ მოპასუხემ საბოლოო ანგარიშის გასწორებისათვის არ მისცა 31 თვის კვების თანხის კომპენსაცია, რაც 1829 ლარს შეადგენს, მიუღებელი ფორმის ღირებულება 1150,29 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ, როგორც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანმა, სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით ასევე მოითხოვა კომპენსაცია 6 თვის ხელფასის ოდენობით, რაც შეადგენს 887 ლარსა და 52 თეთრს. მოსარჩელემ სულ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 3866 ლარისა და 81 თეთრის დაკისრება. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 და 37-ე მუხლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. კ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ზ. კ-იას სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი ერთჯერადი გასაცემელი დახმარება 762,25 ლარის ოდენობით. ზ. კ-იას უარი ეთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ კვების კომპენსაციის - 1829 ლარის დაკისრებაზე; ზ. კ-იას უარი ეთქვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სანივთე კომპენსაციის - 1150,29 ლარი დაკისრებაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით ზ. კ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - გაუქმდა გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში ზ. კ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. კ-იას სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი სანივთე ქონების - 1150,29 ლარის და კვების - 1687,4 ლარი ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის #-1321 ბრძანებით ზ. კ-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაევალი იგივე თანამდებობაზე მოვალეობის შესრულება 2001 წლის 27 აპრილიდან. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ მოხელეს კონკურსით ან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე თანამდებობაზე განწესებული მოხელის იდენტურად ეკისრება მოვალეობები და სარგებლობს უფლებებით, ამიტომაც აპელანტს, რომელიც თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად იყო დანიშნული, კვების და მიუღებელი ტანსაცმლის კომპენსაცია უნდა მიეცეს ჩვეულებრივი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომლითაც უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ფორმის ტანსაცმლის კომპენსაციის მოთხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის დროისათვის, რადგან ზემოაღნიშნული ბრძანებით ზ. კ-

იას კადრების მთავარ სამმართველოში გადაყვანასთან ერთად დაეკისრა სამხედრო კათედრის მასწავლებლის მოვალეობის შესრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ვ. ჯ-მემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქმის მასალებით მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა კვების და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება. კასატორის მითითებით, სანივთე ქონებისა და კვების კომპენსაცია შესრულების ხასიათიდან გამომდინარე პერიოდულ ვალდებულებებს შეადგენს, რაზეც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია დაუსაბუთებელი და სამართლებრივად არასრული გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლომ არ გამოიკვლია სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, კერძოდ, არ მოითხოვა და არ შეამოწმა მოსარჩელეს საკუთარი თანხით ჰქონდა თუ არა შეძენილი სანივთე უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ შეძენა არ დასტურდება გადახდის სათანადო დოკუმენტებით. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და 377-ე მუხლის პირველი ნაწილი, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ს/ნ 06328-ის მიერ 2005 წლის 29 ნოემბერს გაცემული #-202 ცნობა. აღნიშნული ცნობა არ შეიძლება ჩაითვალოს ვალის აღიარებად, რადგან მასში არ არის მითითებული მოპასუხის მხრიდან სანივთე ქონების დავალიანებად აღიარებისა და მისი გადახდის დაპირებაზე. მას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს, რადგან გაცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში. სამინისტროს სახელით ვალის აღიარება შეუძლია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ხოლო ინფორმაციის გაცემა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამდებობის პირს. ამასთან, აღნიშნული არც ადმინისტრაციულ დაპირებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. კასატორმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მოცემული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რადგან არ არსებობს მრავალჯერადი სასამართლო პრაქტიკა განსახილველ დავის საგანზე; ამასთან, საკასაციო სასამართლომ საბოლოოდ უნდა განმარტოს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გამოყენების საკითხი კვების კომპენსაციის მოთხოვნაზე. სანივთე ქონების კომპენსაციის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მანამდე მიღებული გადაწყვეტილებისაგან; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რასაც ადასტურებს საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ზ. კ-იას უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრით, ასევე - საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას კასატორის მიერ გადმოცემული საკასაციო საჩივრის მიზეზები ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც, თავისთავად გულისხმობს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება სამართლის ნორმების დარღვევას, იგი არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და უნდა გაუქმდეს.

საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 25 იანვრის #-36 ბრძანებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვლინებული პოლიციის კაპიტანი ზ. კ-ია ჩარიცხულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, დაუმტკიცდა სამხედრო წოდება «კაპიტანი» და დანიშნულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სამხედრო კათედრის მასწავლებლად; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 27 აპრილის #-1/1/619 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხსენებულ უნივერსიტეტს გაეგზავნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის შტატ #-22/154-52-ში ცვლილებების შეტანის ნუსხა, რომლის თანახმადაც, სამხედრო კათედრაზე არსებული შტატი «მასწავლებელი-კაპიტანი» გადაკეთებულ იქნა შტატად - «მასწავლებელი-სამოქალაქო პირი». იქვე მითითებულ იქნა, რომ სამოქალაქო თანამდებობები თავდაცვის სამინისტროს რიცხოვნობაში არ შედის; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების

მთავარი სამმართველოს უფროსის 2001 წლის 12 ივნისის №-1321 ბრძანებით ზ. კ-ია გათავისუფლებულ იქნა აღნიშნული თანამდებობიდან, გაყვანილ იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში და დაევალა მოვალეობის შესრულება იმავე თანამდებობაზე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსის 2004 წლის 13 იანვრის №-37 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი ზ. კ-ია დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან და ჩარიცხულ იქნა რეზერვში, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასარჩელო დავის საგანს წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება, კვების კომპენსაციისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ზ. კ-იასათვის ანაზღაურების სახით. აღნიშნულ ღონისძიებათა სამართლებრივი საფუძველები, მიმღები სუბიექტები და განხორციელების წესი განისაზღვრება «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულებით. მითითებული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისის №-4745 საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიების ადრესატს წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების სათაურზე, რომლის თანახმადაც ბრძანებულება განსაზღვრავს სამხედრო და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური ღონისძიებების სახეებს. ნათელია, რომ სამხედრო სფეროს მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა მიჯნავს ერთმანეთისაგან სამხედრო მოსამსახურეებს და სამხედრო სფეროში დასაქმებულ სამოქალაქო პირებს და შესაბამისად მათთვის სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებების განსხვავებულ სახეებს აწესებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის «ა» ქვეპუნქტზე (2001-2004 წლებში მოქმედი რედაქცია), რომლის თანახმად სამხედრო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე («სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევაში), რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში. ამდენად, იმისათვის, რათა ესა თუ ის პირი მიჩნეულ იქნეს სამხედრო მოსამსახურედ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას ერთდროულად: 1. უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე («სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევაში); 2. იგი სამხედრო სამსახურს უნდა გადიოდეს საქართველოს სამხედრო ძალებში.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ზ. კ-ია საქართველოს მოქალაქეა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამხედრო ძალების ლეგალური დეფინიციას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა, მაგრამ მისი ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სამხედრო ძალებს განეკუთვნება ყველა ის დაწესებულება (ნაწილი), რომელიც თავის თავში გულისხმობს კანონიერი შეიარაღებულ ფორმირებების არსებობას. სამხედრო ძალებად მიჩნეულ უნდა იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა, ამავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი; იმავე დაწესებულებების პირად შემადგენლობაზე მიუთითებს «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» 2004 წლის 29 დეკემბრის №-980 კანონზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობად განისაზღვრა 29703 კაცი, აქედან 23000 - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა, 6703 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი; იმავე დაწესებულებების პირად შემადგენლობაზე მიუთითებს «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» 2005 წლის 9 დეკემბრის №-2209 კანონი; 2006 წლიდან მოყოლებული კი საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის №-3940 და 2007 წლის 18 დეკემბრის №-5635 ანალოგიური სახელწოდების კანონებით საქართველოს სამხედრო ძალებად მიჩნეულია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა.

აღნიშნული მოსაზრების საფუძველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» 2004 წლის 29 დეკემბრის №-980 კანონზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობად განისაზღვრა 29703 კაცი, აქედან 23000 - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა, 6703 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი; იმავე დაწესებულებების პირად შემადგენლობაზე მიუთითებს «საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ» 2005 წლის 9 დეკემბრის №-2209 კანონი; 2006 წლიდან მოყოლებული კი საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის №-3940 და 2007 წლის 18 დეკემბრის №-5635 ანალოგიური სახელწოდების კანონებით საქართველოს სამხედრო ძალებად მიჩნეულია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 27 აპრილის №-1/1/619 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობის პირობებში (რომლითაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის შტატ №-22/154-52-ში ცვლილებები შევიდა და სამხედრო კათედრაზე არსებული შტატი «მასწავლებელი-კაპიტანი» გადაკეთებულ იქნა შტატად «მასწავლებელი-სამოქალაქო პირი», იქვე მითითებულ იქნა, რომ სამოქალაქო თანამდებობები თავდაცვის სამინისტროს რიცხოვნობაში არ შედის), რომელიც სადავო არ გამხდარა მოსარჩელე ზ. კ-იას მიერ და დღემდე ძალაშია, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ზ. კ-ია 2001-2004

წლებში მუშაობდა სამოქალაქო შტატზე «მასწავლებელი-სამოქალაქო პირი», რომელიც არ შედიოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიცხოვნობაში, მოსარჩელე, 2001-2004 წლებში არ წარმოდგენდა სამხედრო მოსამსახურეს და შესაბამისად, იგი ვერ ისარგებლებდა სამხედრო მოსამსახურისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებების მისაღმი განხორციელების მოთხოვნის უფლებით. ამდენად, მისი სასარჩელო მოთხოვნები - აუნაზღაურდეს 2001-2004 წლებში კვების კომპენსაცია და სანივთე ქონების (სამხედრო ფორმის ტანსაცმლის) კომპენსაცია, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმესთან მიმართებით არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილი შემთხვევები, რის გამოც, იმავე კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო თვითონაა უფლებამოსილი მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე და 411-ე მუხლები და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ზ. კ-ის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სანივთე ქონების კომპენსაციის სახით 1150,29 ლარისა და კვების კომპენსაციის სახით 1687,4 ლარის დაკისრების ნაწილში;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნების დაუშვებლობა; კვების კომპენსაცია**

#### **სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება**

#### **განჩინება**

#-ბს-1155-1106(კ-07) 11 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე**

**მ. ვაჩაძე**

**სარჩელის საგანი:** სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 28 მაისს ლ. ბ-ოვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი ცენტრალური საკომანდო პუნქტის კავშირგაბმულობის კვანძის სატელეფონო ცენტრის სადენიანი კავშირის გადართვის აპარატურის მორიგე მექანიკოსად, ხოლო სამსახურში მუშაობის დროს მიუღებელი დარჩა 1999-2000 წლების სახელფასო დავალიანება - 1301,52 ლარი, ასევე - ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია, რომელიც შეადგენდა 459,88 ლარს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის» შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 1999-2000 წლების სახელფასო დავალიანების (ხელფასის, კვების, მატერიალური

დახმარების, ჯილდოს) - 1301,52 ლ. და სანივთე ქონების კომპენსაციის - 459,88 ლარის, სულ - 1762,4 ლარის გადახდის მის სასარგებლოდ დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ბ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 1301,52 ლ. და სანივთე ქონების კომპენსაციის - 459,88 ლარის, სულ - 1762,4 ლარის გადახდა ლ. ბ-ოვას სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2007 წლამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. მოსარჩელის განმარტებითა და საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ლ. ბ-ოვას მიმართ ჰქონდა სახელფასო დავალიანება, რაც შეადგენდა 1301,52 ლარს, ხოლო სანივთე ქონების კომპენსაცია - 459,88 ლარს. აღნიშნული გარემოება დადასტურებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2006 წლის 22 დეკემბერს გაცემული, საქმეში არსებული №-252 და №-6 ცნობებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი აწესრიგებდა საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. აღნიშნული კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებს. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და ფორმის ტანსაცმელი. ამდენად, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, მოსარჩელე ლ. ბ-ოვასთვის აენაზღაურებინა კუთვნილი სახელფასო დავალიანება და სანივთე ქონების კომპენსაცია, სულ - 1762,4 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. საქალაქო სასამართლომ მართებულად გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, მოხელეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომლის გასტუმრებაზეც პასუხისმგებელი იყო ის დაწესებულება, სადაც მუშაობდა მოხელე, რამეთუ შრომითი უფლების დაცვა და შრომის სამართლიანი ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით. საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად გამოიყენა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, რომელთა თანახმადაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია და ფორმის ტანსაცმელი. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ლ. ბ-ოვა ითხოვდა 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სანივთე ქონების კომპენსაცია წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სანივთე ქონების კომპენსაციის ხანდაზმულობის თაობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. ბ-ოვას მიმართ ერიცხებოდა არა სააპელაციო საჩივარში მითითებული 1999-2000 წლების, არამედ 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანება, რომელიც სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან დავის განხილვის დროისათვის - 2007 წლის მაისში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის მოთხოვნის უფლება ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეს და არა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. ბ-ოვას მიმართ აპელანტს სანივთე ქონების დავალიანება წარმოეჭვა 2004-2006 წლებში. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ზემოხსენებულ კანონს კი აღნიშნული სახის ცვლილება არ განუცდია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კვების, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს გაცემის ხანდაზმულობის თაობაზე აპელანტის მოსაზრება და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული დავალიანება ხელფასთან ერთად გაიცემოდა, რის გამოც აპელანტის ზემოხსენებული არგუმენტი მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებდა თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლოს შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩაეთვალოს და საფუძველად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებისთვის. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი უსაფუძველოდ მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელისათვის 459,88 ლარის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან დადგენილია, რომ ლ. ბ-ოვა შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილია 2007 წლის 31 იანვარს, ხოლო მის მიერ სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 7 ივნისს, სასარჩელო მოთხოვნა კი ეხება 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციას. მოსარჩელეს უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება, რამდენადაც მოსარჩელე სარჩელის შეტანის დროისათვის სამხედრო მოსამსახურეს აღარ წარმოადგენდა, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს სანივთე ქონება ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია ეძლევა სამსახურის პერიოდში, როდესაც იგი მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ხსენებული ნორმის სამხედრო მოსამსახურიდან დათხოვნილ მოსარჩელეზე გავრცელებას, აღნიშნული უკანონოა, ვინაიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის ნორმები ვრცელდება მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებზე.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის 2007 წლის 11 მაისის ცვლილებამდე მოქმედი ნორმა. დასახელებული ნორმით კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ სამხედრო მოსამსახურეებს. სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელე ლ. ბ-ოვა აღარ იყო სამხედრო მოსამსახურე და შესაბამისად, მოსარჩელეს სარჩელის შეტანის დროს არ ჰქონდა სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელისათვის ხელფასის, კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი. დადგენილია, რომ მოსარჩელე ლ. ბ-ოვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების თანხის დაკისრების თაობაზე. ასევე დადგენილია, რომ ლ. ბ-ოვას სამსახურიდან დათხოვნისას მიუღებელი დარჩა 1999-2000 წლების ხელფასი - 375,8 ლარი, კვების კომპენსაცია - 669,1 ლარი, მატერიალური დახმარება - 66,14 ლარი და ჯილდო - 190,48 ლარი.

კასატორის მტკიცებით, სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში სასამართლოში უნდა წარდგენილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ერთთვიან ვადაში იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელე გათავისუფლდა სამსახურიდან, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, სამი წლის ვადაში.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მითითებული კომპონენტების ნაწილში უნდა გამოეყენებინა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტი, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში - სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი, რამაც გამოიწვია დაუსაბუთებელი და უკანონო განჩინების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 დეკემბრის განჩინებით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა 15 დღით, საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 თებერვლის განჩინებით, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 11 მარტს, ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ლ. ბ-ოვა დაბადებულია 1958 წლის 17 მარტს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 17 მაისის №-9/1396 წერილის თანახმად, ლ. ბ-ოვას მიერ მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება განხორციელდებოდა ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ხოლო, რაც შეეხებოდა სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებას, სამხედრო მოსამსახურეებს მიუღებელი ფორმის შესახებ ცნობები უნდა წარედგინათ შესაბამის საფინანსო სამსახურებში ყოველი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლომდე, რათა მომხდარიყო ანაზღაურება ან კრედიტორულ დავალიანებაში ასახვა, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, ანაზღაურებინა საკომპენსაციო თანხის დავალიანება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №-22662 სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ 2006 წლის 22 დეკემბერს გაცემული №-252 ცნობის მიხედვით, ლ. ბ-ოვას 1999-2000 წლების დავალიანება შეადგენდა 1301,52 ლარს, მათ შორის, ხელფასი - 375,8 ლარს, კვება - 669,1 ლარს, მატერიალური დახმარება - 66,14 ლარს, ჯილდო - 190,48 ლარს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების №-22662 სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული №-6 ცნობის თანახმად, ლ. ბ-ოვას 2004-2006 წლების ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია შეადგენდა 459,88 ლარს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №-268 ბრძანებით ლ. ბ-ოვა დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, ვინაიდან ლ. ბ-ოვა ითხოვს 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციას, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის იმჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, აღნიშნულის საფუძველზე აპელანტი ვალდებული იყო, ლ. ბ-ოვასთვის ანაზღაურებინა ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, სანივთე ქონების კომპენსაცია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი არ არის ხანდაზმული და, შესაბამისად, ექვემდებარება მოსარჩელისთვის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დავის განხილვის დროისათვის - 2007 წლის მაისში «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის მოთხოვნის უფლება ჰქონდა სამხედრო მოსამსახურეს და არა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირს.

სააპელაციო სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ ლ. ბ-ოვას მიმართ აპელანტს სანივთე ქონების დავალიანება წარმოეშვა 2004-2006 წლებში, «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად კი ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონს კი აღნიშნული სახის ცვლილება არ განუცდია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ ხსენებული მუხლი არ მოიცავს სასურსათო და სანივთე უზრუნველყოფას, როგორც კომპენსაციას. ამასთან, საგულისხმოა, რომ კვების კომპენსაცია აღიარებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2007 წლის 17 მაისის №-9/1396 წერილით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ოვას სარჩელი არის საფუძვლიანი, ხოლო კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ნოემბრის განჩინება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნების დაუშვებლობა; კვების კომპენსაცია განჩინება**

#-ბს-385-370(კ-08) 11 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ა-მე 1994 წლის 1 აპრილიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში სხვადასხვა თანამდებობებზე. იგი 2006 წლის 1 ნოემბრიდან დათხოვნილია შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში. სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ დარჩა დავალიანება, რაც შეადგენს 1465,70 ლარს, მათ შორის, ხელფასს 521,64 ლარს, კვების კომპენსაციას - 568,17 ლარს, ჯილდოს 291,58 ლარს და მატერიალურ დახმარებას 84,31 ლარს. მ. ა-მემ 2007 წლის სექტემბერში სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა დავალიანების გადახდა 1465,70 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-მის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; თავდაცვის სამინისტროს მ. ა-მის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების - 1465,70 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 18 სექტემბრის #-3-11/6878 წერილით დადგინებულად მიიჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ ერიცხება დავალიანება - 1465,70 ლარი, მათ შორის - ხელფასი - 521,64 ლარი, კვების კომპენსაცია - 568,17 ლარი, ჯილდო - 291,58 ლარი, მატერიალური დახმარება - 84,31 ლარი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოპასუხემ წარმოდგენილი დოკუმენტით დაადასტურა დავალიანების არსებობა, რითაც აღიარა მოთხოვნის არსებობა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეეძლო საკმარის მტკიცებულებად ჩაეთვალა და საფუძვლად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებისთვის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, 37-ე მუხლი; ასევე შრომის კოდექსის 34-ე მუხლი. სასამართლო გადაწყვეტილება ასევე დასაბუთებულია «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს უფლებები და გარანტიები მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები - ასეთი ხასიათის დამატებითი უფლებები და გარანტიები სამხედრო მოსამსახურეთათვის მოცემულია სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, სახელდობრ, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად. ხანდაზმულობის სამწლიან ვადასთან

დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შემოდებულია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით – სამოქალაქო კოდექსით და მოქმედებს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც არ განეკუთვნება მ. ა-მესა და ადმინისტრაციულ ორგანოს – თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი უნდა ყოფილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.1 მუხლით დადგენილ ერთვით ვადაში იმ დღიდან, როდესაც იგი გათავისუფლდა სამსახურიდან, ვინაიდან აღნიშნული ნორმით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად აღიარებულია, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოხელეების მიმართ არსებობდა საბიუჯეტო დავალიანებები და კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანებების დაფარვის წესის შესაბამისად. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებას და რომლისთვისაც ცნობილია და, შესაბამისად, დადასტურებული მოსარჩელის მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობა, მის ანაზღაურებაზე უარი კანონშეუსაბამოა.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც გაზიარებული ყოფილიყო მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის თაობაზე, კანონმდებლობის მიერ წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების აღიარება – ვალდებულების შესრულების გადავადება (მორატორიუმი), სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ. ა-მე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში ზოგადი თერაპიის უფროსად, საიდანაც გათავისუფლებულია 2006 წლის 1 ნოემბრიდან.

საქმეში წარმოდგენილი ცნობებით კი სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მ. ა-მის 1998, 1999, 2000 წლების ხელზე გაუცემელი დავალიანება შეადგენს: ხელფასი – 521,64, ჯილდო – 291,58, მატერიალური დახმარება – 84,31, კვების კომპენსაცია – 568,17, სულ: 1465,70 ლარს. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2007 წლის 20 სექტემბერს. ე.ი. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლი, ასევე, ამავე კანონის 37-ე მუხლი. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს რა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს, მ. ა-მის შრომით გასამრჯელოში 521,64 ლართან ერთად მოიაზრება ჯილდო – 291,58 ლარი და მატერიალური დახმარება – 84,31 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით საქმეში წარმოდგენილია თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს 2007 წლის 22 ოქტომბრის წერილი მ. ა-მისადმი, სადაც მითითებულია, რომ მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება განხორციელდება ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და ამ ეტაპზე თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს მ. ა-მის თხოვნა, მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდება დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული წერილი წარმოადგენს ვალდებული პირის აღიარების და დაპირებას დავალიანების ანაზღაურების შესახებ. აქედან გამომდინარე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სახელფასო (თანამდებობრივ სარგო, ჯილდო, მატერიალური დახმარება) დავალიანების აღიარებას და მათი გადახდის დაპირებას, და აღნიშნული წერილი მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულად არ ჩათვალა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ანუ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურისას უზრუნველყოს სასურსათო ულუფით. აღნიშნული ულუფის ნატურით გაუცემლობის შემთხვევაში კი მისცეს შესაბამისი კომპენსაცია, მისი ღირებულება ანაზღაუროს

ფულით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასურსათო ულუფის, როგორც სახელმწიფოს მიერ ნატურით გასაწევი ხარჯის, სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სასურსათო ულუფის კომპენსაცია არ შეიძლება ჩაითვალოს კანონით გათვალისწინებულ იმ დანამატად, რასაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს; ამასთან, სასურსათო ულუფის ან შესაბამისი კომპენსაციის ანაზღაურება წარმოადგენს რა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მ. ა-ძის მიუღებელ დავალიანებაში, რაც, საქმეში არსებული ცნობის თანახმად, 1465,70 ლარია, შედის სასურსათო ულუფის კომპენსაციის თანხა 568,17 ლარი. მოწინააღმდეგე მხარე მ. ა-ძემ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა მისადმი თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 7 თებერვლის #9/458 წერილი (პასუხი), სადაც აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში განხილული იქნა მისი 2007 წლის 14 დეკემბრის განცხადება, რომელიც ეხება მიუღებელი დავალიანების - 1465,70 ლარის ანაზღაურებას. ამ წერილში მითითებულია, რომ აღნიშნული დავალიანების ანაზღაურება განხორციელდა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ამ მიზნებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში; სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს წერილი არ წარმოადგენს ვალდებულ პირის დაპირებას და ჩათვალა, რომ აღნიშნული წერილი წარმოადგენს მ. ა-ძის მიმართ არსებული დავალიანების, მათ შორის, კვების კომპენსაციის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებას, ვალდებულ პირის მიერ ვალის აღიარებას და მისი შესრულების დაპირებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ა-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია იმით, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის 2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტით სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. კასატორი თვლის, რომ ხელფასის არსზე და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას უპირატესად გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1999-2000 წლებში მოქმედი სამხედრო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არ არსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა მოწესრიგებულ უნდა იქნას «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებებით, კერძოდ, მისი 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით); მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. კასატორს მიაჩნია, რომ იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდეს «დანამატის» სტატუსი.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეოთხე პუნქტიდან ირკვევა, «დანამატის» სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ თანხას, რომელიც გაიანგარიშება ნამსახურების წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას, ჯილდოს და მატერიალური დახმარებას, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტიდან გამომდინარე, კასატორის მითითებით «დანამატის» სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

კასატორს მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები კვების კომპენსაციის, ჯილდოს და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული 2007 წლის 18 სექტემბრის #3-11/6878 ცნობა ვალდებულების აღიარებად; აღნიშნული დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, რადგან დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას, მას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ა-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; თავდაცვის სამინისტროს მ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების - 1465,70 ლარის გადახდა. თბილისის

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. ა-ძისათვის ხელფასის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. ა-ძისათვის კვების კომპენსაციის - 568,17 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მიერ მ. ა-ძისათვის კვების კომპენსაციის - 568,17 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა აგრეთვე მიეკუთვნება პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ლეზულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ამიტომ იგი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქმეში წარმოდგენილია თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 2008 წლის 7 თებერვლის წერილი მ. ა-ძის მიმართ, რომელშიც მითითებულია, რომ განხილულ იქნა მისი 2007 წლის 17 დეკემბრის განცხადება, რომელიც ეხება მიუღებელი დავალიანების - 1465,70 ლარის ანაზღაურებას; ამ წერილით მ. ა-ძეს ეცნობა, რომ აღნიშნული დავალიანების ანაზღაურება განხორციელდება მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ მიზნებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. იმავე წერილში მითითებულია, რომ ვინაიდან მ. ა-ძეს აქვს სასამართლოს გადაწყვეტილება, მან უნდა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ზემოაღნიშნულის გამო საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის მოსაზრება მ. ა-ძის კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს წერილი წარმოადგენს მ. ა-ძის მიმართ არსებული დავალიანების, მათ შორის, სასურსათო ულუფის დავალიანების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებული პირის მიერ ვალის აღიარების და მისი შესრულების დაპირებას.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მ. ა-ძის სასარგებლოდ თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 568,17 ლარის დაკისრების ნაწილში კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე 410-ე მუხლებით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე მ. ა-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 568,17 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-474-453(კ-08) 23 ოქტომბერი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-შივილი, ნ. ს-ოვამ, ი. ო-შივილი, მ. ო-ძემ, გ. ს-იანმა, ნ. ფ-ძემ, თ. მ-შივილი და მ. კ-ძემ 2007 წელს სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისროს მ. კ-ძის სასარგებლოდ დავალიანების - 1994,85 ლარის ანაზღაურება; ნ. ფ-ძის სასარგებლოდ დავალიანების - 1974,05 ლარის ანაზღაურება; გ. ს-იანის სასარგებლოდ - 1962,97 ლარის ანაზღაურება; ი. ო-შივილის სასარგებლოდ - 1998,78 ლარის ანაზღაურება; მ. კ-შივილის სასარგებლოდ - 1300,59 ლარის ანაზღაურება; მ. ო-ძის სასარგებლოდ - 2022,96 ლარის ანაზღაურება; ნ. ს-ოვას სასარგებლოდ - 2022,26 ლარის ანაზღაურება; თ. მ-შივილის სასარგებლოდ - 1783,98 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელეთა მოთხოვნა იმითაა დასაბუთებული, რომ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ იქნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობებზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელების მიმართ დაუგროვდა სახელფასო დავალიანება, რომელიც დღემდე არ არის გასტუმრებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით მ. კ-შივილის, ნ. ს-ოვას, ი. ო-შივილის, მ. ო-ძის, გ. ს-იანის, ნ. ფ-ძის, თ. მ-შივილისა და მ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. კ-შივილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 361,32 ლარის, თ. მ-შივილის სასარგებლოდ - 355 ლარის, ი. ო-შივილის სასარგებლოდ - 372,29 ლარის, ნ. ს-ოვას სასარგებლოდ - 372,53 ლარის, ნ. ფ-ძის სასარგებლოდ - 373,38 ლარის, მ. კ-ძის სასარგებლოდ - 371,46 ლარის, გ. ს-იანის სასარგებლოდ - 384,19 ლარისა და მ. ო-ძის სასარგებლოდ - 393,28 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელებს: მ. კ-შივილს, ნ. ს-ოვას, ი. ო-შივილს, მ. ო-ძეს, გ. ს-იანს, ნ. ფ-ძეს, თ. მ-შივილსა და მ. კ-ძეს უარი ეთქვათ ჯილდოს, მატერიალური დახმარების, კვებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმით, რომ საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #-3-11/9904 ცნობის თანახმად მ. ო-ძეს მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წწ. სახელფასო დავალიანება - 393,28 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 214,01 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 63,05 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს, საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად მ. ო-ძის მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682,22 ლარს.

გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #-3-11/9902 ცნობის თანახმად კი თ. მ-შივილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წ.წ. სახელფასო დავალიანება - 355,00 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 223,59 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 66,38 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 570,26 ლარს, საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის

სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად, თ. მ-შვილის მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 568,75 ლარს.

საქმეში წარმოდგენილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9909 ცნობით ირკვევა, რომ ი. ო-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წლის სახელფასო დავალიანება - 372,29 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 212,62 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,05 ლარს; საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად, ი. ო-შვილის მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682,22 ლარს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9908 ცნობით დასტურდება, რომ ნ. ს-ოვას მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება - 372,53 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 214,00 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 63,11 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს; საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად, ნ. ს-ოვას მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682,22 ლარს.

საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9909 ცნობის თანახმად, ნ. ფ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წლის სახელფასო დავალიანება - 373,38 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 214,04 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 34,01 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს; საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად ნ. ს-ოვას მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682, 22 ლარს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9907 ცნობა მიუთითებს, რომ მ. ქ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წლის სახელფასო დავალიანება - 371,46 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 209,52 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 61,15 ლარს, 1998 -2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,50 ლარს; საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად, ნ. ს-ოვას მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682, 22 ლარს.

საქმეში წარმოდგენილი, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9905 ცნობის თანახმად, გ. ს-იანის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998-2000 წლის სახელფასო დავალიანება - 384,19 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 214,23 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 63,1 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 619,23 ლარს; საქმეს ერთვის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა სანივთე ქონების კომპენსაციის შესახებ, რომლის თანახმად, ნ. ს-ოვას მიმართ 2004-2006 წლების არსებული დავალიანება შეადგენს 682,22 ლარს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9903 ცნობაში მ. კ-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998 - 2000 წლის სახელფასო დავალიანება - 365,63 ლარს, 1998-2000 წლის ჯილდო - 207, 48 ლარს, 1998-2000 წლის მატერიალური დახმარება - 61,15 ლარს, 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,64 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი, ასევე, ამ კანონის 142-ე მუხლი.

სასამართლომ მიუთითა, რომ შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის I პუნქტის თანახმად, შრომის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც არ აწესრიგებს ეს კანონი, რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით.

სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად 2006 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხა გაცემა წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა 1998-1999 წლების ჯილდოს, მატერიალური დახმარების, კვების კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ უსაფუძვლოა იმის გამო, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფო ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ასევე სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. მითითებული ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელია და ვინაიდან პერიოდულად შესრულებული ვალდებულებები არ წესრიგდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით ან/და შრომის კანონით

კოდექსით ან სპეციალური კანონით სამხედრო მოსამსახურის შესახებ, მათ მიმართ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა შრომის კანონთა კოდექსის I მუხლის II პუნქტის შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 130-ე-131-ე მუხლების შესაბამისად ჩათვალა, რომ მოსარჩელებს წარმოეშვათ მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, მათ უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც არ განუხორციელებიათ 2007 წლის 26 ნოემბრამდე.

სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობები არ შეიცავს თავდაცვის სამინისტროს დაპირებას, რომ აღნიშნული თანხები მოსარჩელებს აუნაზღაურდებათ, რის გამოც ეს ცნობები მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მტკიცებულებად იქნა მიჩნეული.

სასამართლომ მოსარჩელების მოთხოვნას სანივთე ქონების ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა იმის გამო, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხილს მე-3 ნაწილით სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია ეძლევა სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირს, მოსარჩელები კი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აღარ იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები.

სასამართლომ მიუთითა შემდეგზე: საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მოსარჩელებს სანივთე ქონების მიუღწელობით რაიმე სახის წინააღმდეგობა არ შექმნიათ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მ. კ-შვილის, ნ. ს-ოვას, ი. ო-შვილის, მ. ო-ძის, გ. ს-იანის, ნ. ფ-ძის, თ. მ-შვილისა და მ. ქ-ძის წარმომადგენელმა ვ. ნ-იამ და თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხოლო მ. კ-შვილის, ნ. ს-ოვას, ი. ო-შვილის, მ. ო-ძის, გ. ს-იანის, ნ. ფ-ძის, თ. მ-შვილისა და მ. ქ-ძის წარმომადგენლის ვ. ნ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. კ-შვილის, ნ. ს-ოვას, ი. ო-შვილის, მ. ო-ძის, გ. ს-იანის, ნ. ფ-ძის, თ. მ-შვილისა და მ. ქ-ძის წარმომადგენლის ვ. ნ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა; თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მ. ო-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 947,46 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, თ. მ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 860,23 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის 568,75 ლარის, ი. ო-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 944,27 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, ნ. ს-ოვას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 947,50 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682 ლარის, ნ. ფ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 918,45 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, მ. ქ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 941,17 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, გ. ს-იანის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 896,56 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, მ. კ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 939,27 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. საქმეში წარმოდგენილი თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობებით ასევე დადგენილია, რომ მათ მუშაობის პერიოდში არ მიუღიათ ხელფასი და სანივთე ქონების კომპენსაცია. კერძოდ, მ. ო-ძეს ხელფასი - 1340,74 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682,22 ლარი; თ. მ-შვილს ხელფასი - 1215,23 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 568,75 ლარი; ი. ო-შვილს ხელფასი - 1316,56 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682,22 ლარი; ნ. ს-ოვას ხელფასი - 1320,04 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682 ლარი; ნ. ფ-ძეს ხელფასი - 1291,83 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682,22 ლარი; მ. ქ-ძეს ხელფასი - 1312,63 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682,22 ლარი; გ. ს-იანს ხელფასი - 1280,75 ლარი და სანივთე ქონების კომპენსაცია - 682,22 ლარი; მ. კ-შვილს ხელფასი - 1300,59 ლარი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის, ჯილდოს და მატერიალური დახმარების მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე; სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არასწორად მიიჩნია მოპასუხის მიერ გაცემული ცნობა საინფორმაციო ხასიათის მქონედ და იგი არ წარმოადგენს მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული წერილობითი მტკიცებულებით დადგენილია, რომ იგი გაცემულია მოსარჩელების სახელზე მათ მიმართ არსებული ხელზე გასაცემი დავალიანების ოდენობის დადასტურების თაობაზე. ამასთან, იგი გაცემულია მოსარჩელების და არა მესამე პირების სახელზე, რითაც მოხდა თავდაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელების მიმართ დავალიანების არსებობის დადასტურება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელების მიმართ სანივთე ქონების კომპენსაციის აუნაზღაურებელი პერიოდი მოიცავს 2004-2006 წლებს, სარჩელი კი მათ მიერ წარდგენილია 2007 წელს, ანუ კანონით განსაზღვრულ ვადაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იმის მითითება, მოსარჩელები სარჩელის აღძვრის მომენტისათვის აღარ იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები, არ წარმოადგენს სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელეთა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

კასატორის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელების სასარგებლოდ ჯილდოს, მატერიალური დახმარების, კვების კომპენსაციის და სანივთე ქონების დაკმაყოფილებას ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი, რათდგან ჯილდოს, კვების კომპენსაციის და მატერიალური დახმარების მოთხოვნა ხანდაზმულია. მოსარჩელებმა სასამართლოს მიმართეს 2007 წელს; სარჩელის შეტანის დროს მათ გაშვებული ჰქონდათ როგორც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

კასატორის მოსაზრებით, ჯილდოზე, კვების კომპენსაციაზე და მატერიალურ დახმარებაზე მსჯელობისას უპირატესად გათვალისწინებული უნდა იქნას 1998-2000 წლებში მოქმედი სამხედრო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არ არსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა მოგვარებული უნდა იქნას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დებულებებით, კერძოდ, მისი 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით).

კასატორს მიაჩნია, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეოთხე პუნქტს თანახმად, „დანამატის“ სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ თანხას, რომელიც გაიანგარიშება ნამსახურების წლების მიხედვით. რაც შეეხება ჯილდოს, კვების კომპენსაციასა და მატერიალურ დახმარებას, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტიდან გამომდინარე, „დანამატის“ სტატუსი არ აქვს მინიჭებული, ამიტომ კასატორი თვლის, რომ ჯილდო, კვების კომპენსაცია და მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს.

კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნები მატერიალური დახმარების, კვების კომპენსაციის და ჯილდოს ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელებს აღარ ჰქონდათ სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, ამიტომ მოსარჩელებს სარჩელის შეტანის დროისათვის უკვე აღარ ჰქონდათ 2004-2006 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის მიღების უფლება.

კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი. ამ ნორმის საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქციით). კომპენსაციის მიღების უფლება აქვს მხოლოდ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეს და იგი არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ყოფილ სამხედრო პირებზე, რომლებსაც არ ესაჭიროებათ ფორმის ტანსაცმელი და შესაბამისად კომპენსაციის მოთხოვნა მათი მხრიდან უსაფუძველოა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 და 105-ე მუხლები, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, კერძოდ, საქმეში არსებული ცნობები შეაფასა დავალიანების აღიარებად, რაც არაკანონიერია, რადგან აღიარება ან დაპირება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ვალდებულებას, თუ იგი მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ და თუ მას ინფორმაციული ხასიათი არ აქვს. კონკრეტულ შემთხვევაში მათ მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი გააჩნია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, თავდაცვის სამინისტროს დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროსათვის მ. კ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,64 ლარის, ნ. ს-ოვასათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, ი. ო-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მ. ო-მისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, გ. ს-იანისათვის კვების კომპენსაციის - 619,23 ლარის, ნ. ფ-მისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, თ. მ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 570,26 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; მ. კ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,64 ლარის, ნ. ს-ოვას სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40



ლარის, ი. ო-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მ. ო-ძის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, გ. ს-იანის სარჩელი კვების კომპენსაციის - 619,23 ლარის, ნ. ფ-ძის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, თ. მ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 570,26 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. ქ-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივლისის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. კ-შვილისათვის, ნ. ს-ოვასათვის, მ. ო-ძისათვის, გ. ს-იანისათვის, ი. ო-შვილისათვის, ნ. ფ-ძისათვის, თ. მ-შვილისათვის და მ. ქ-ძისათვის ხელფასის, ჯილდოს, მატერიალური დახმარებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. კ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,64 ლარის, ნ. ს-ოვასათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, ი. ო-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მ. ო-ძისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, გ. ს-იანისათვის კვების კომპენსაციის - 619,23 ლარის, ნ. ფ-ძისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, თ. მ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 570,26 ლარისა და მ. ქ-ძისათვის კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის განხილვის საგანს წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხის დაკისრების კანონიერების საკითხის შემოწმება.

დადგენილია, რომ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9904 ცნობის თანახმად, მ. ო-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წწ. კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს.

გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9902 ცნობის თანახმად კი თ. მ-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წწ. კვების კომპენსაცია - 570,26 ლარს.

საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9909 ცნობით ირკვევა, რომ ი. ო-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წწ. კვების კომპენსაცია - 670,05 ლარს. საქმეში წარმოდგენილია გენერალური შტაბის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის და საფინანსო განყოფილების უფროსის 2006 წლის 2 ნოემბრის ცნობა მასზე, რომ ი. ო-შვილის მიმართ თავდაცვის სამინისტროს დავალიანება შეადგენს 1310,47 ლარს, აქედან კვების კომპენსაციაა 670,50 ლარი.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9908 ცნობით დასტურდება, რომ ნ. ს-ოვას მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს.

საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9909 ცნობის თანახმად, ნ. ფ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია - 670,40 ლარს. საქმეში წარმოდგენილია გენერალური შტაბის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის და საფინანსო განყოფილების უფროსის 2006 წლის 3 ნოემბრის ცნობა მასზე, რომ ნ. ფ-ძის მიმართ თავდაცვის სამინისტროს დავალიანება შეადგენს 1326,48 ლარს, მათ შორის, კვების კომპენსაციაა 670,40 ლარი.

საქმეში წარმოდგენილი შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9905 ცნობის თანახმად, გ. ს-იანის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წლის კვების კომპენსაციას - 619,23 ლარს.

შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9903 ცნობაში მ. კ-შვილის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წლის კვების კომპენსაციას - 670,64 ლარს. საქმეში წარმოდგენილია გენერალური შტაბის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის და საფინანსო განყოფილების უფროსის 2006 წლის 19 ნოემბრის ცნობა მასზე, რომ მ. კ-შვილის მიმართ თავდაცვის სამინისტროს დავალიანება შეადგენს 1304,90 ლარს, მათ შორის, კვების კომპენსაციაა 670,64 ლარი.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო მოსამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ»

კანონის 12.3 მუხლით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო მოსახურის პერიოდში «საჯარო მოსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფის სახით. «საჯარო მოსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, «საჯარო მოსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლი აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურისათვის სასურსათო ულუფის და ფორმის ტანსაცმლის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის მიცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. შესაბამისად, კვების და სანივთე ქონების კომპენსაციაზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. მოსარჩელეთა სახელზე თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ზემოაღნიშნული ცნობები სახელფასო დავალიანებასთან ერთად არ შეიცავს კვების ულუფის დავალიანების გადახდის აღიარებას, მათ მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი გააჩნიათ. საკასაციო პალატა თვლის, რომ ხელფასისაგან განსხვავებით კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. კ-შვილის, ნ. ს-ოვის, ი. ო-შვილის, მ. ო-მის, გ. ს-იანის, ნ. ფ-მის და თ. მ-შვილის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-99-2000 წლების კვების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2007 წლის 26 ნოემბერს, ე.ი. სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც მათი სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ მ. ქ-მის მოთხოვნა კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია და იგი სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა. შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული #3-11/9907 ცნობა მიუთითებს, რომ მ. ქ-მის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს 1998-2000 წლის კვების კომპენსაცია – 670,50 ლარს. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის 2003 წლის 15 დეკემბრის წერილი მასზე, რომ თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტში განხილულ იქნა მ. ქ-მის პეტაკი, რომელიც ეხება წინა წლებში წარმოქმნილი ფულადი კმაყოფის დავალიანების დაფარვის საკითხს. იქვე მითითებულია, რომ მ.ქ-მის მიმართ დარჩენილი დავალიანებები ანაზღაურებული იქნება ბიუჯეტიდან შესაბამისი ასიგნებების მიღებისთანავე საერთო დავალიანებების დაფარვის გრაფიკის პროცესში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამ წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღიარა მ. ქ-მის მიმართ არსებული დავალიანებების არსებობა, რის გამოც საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მ. ქ-მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის 670,50 ლარის დაკისრების ნაწილში

კანონი არ დაურღვევია, რის გამოც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე-411-ე მუხლებით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მ. კ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,64 ლარის, ნ. ს-ოვასათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, ი. ო-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მ. ო-ძისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, გ. ს-იანისათვის კვების კომპენსაციის - 619,23 ლარის, ნ. ფ-ძისათვის კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, თ. მ-შვილისათვის კვების კომპენსაციის - 570,26 ლარის დაკისრების ნაწილში;

2. არ დაკმაყოფილდეს მ. კ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,64 ლარის, ნ. ს-ოვას სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, ი. ო-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მ. ო-ძის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, გ. ს-იანის სარჩელი კვების კომპენსაციის - 619,23 ლარის, ნ. ფ-ძის სარჩელი კვების კომპენსაციის - 670,40 ლარის, თ. მ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის - 570,26 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში;

3. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მ. კ-შვილის სასარგებლოდ 361,32 ლარის, თ. მ-შვილის სასარგებლოდ 355 ლარის, ი. ო-შვილის სასარგებლოდ 372,29 ლარის, ნ. ს-ოვას სასარგებლოდ 372,53 ლარის, ნ. ფ-ძის სასარგებლოდ 373,38 ლარის, მ. ქ-ძის სასარგებლოდ 371,46 ლარის, გ. ს-იანის სასარგებლოდ 384,19 ლარისა და მ. ო-ძის სასარგებლოდ 393,28 ლარის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე;

4. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მ. კ-შვილისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 268,63 ლარის, ნ. ს-ოვასათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 277,11 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682 ლარის, ი. ო-შვილისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 273,77 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, მ. ო-ძისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 277,06 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, გ. ს-იანისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 277,33 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის, ნ. ფ-ძისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 248,05 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის და თ. მ-შვილისათვის ჯილდო და მატერიალური დახმარების - 289,97 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 568,75 ლარის დაკისრების ნაწილში.

5. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. ქ-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ;

6. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მ. ქ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 941,17 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 682,22 ლარის დაკისრების ნაწილში.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-498-476(კ-08) 5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** კვების და სანივთე ქონების კომპენსაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. შ-ძემ 07.06.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლი-  
თაც მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 1998-1999-2000 წლების ხელფასის, ჯილდოს, კვების, მატერიალური დახმარების სახით ხელზე გასაცემი 1326,76 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 439,88 ლარის, სულ 1766,64 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.06.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე ნ. შ-ძისათვის მიუღებელი სახელფასო დავალიანების - 1326,76 ლარისა და სანივთე ქონების კომპენსაციის - 439,88 ლარის, სულ - 1766 ლარისა და 64 თეთრის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.06.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.06.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინება 24.04.08წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ ნ. შ-ძე სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრებას. კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ხელფასის, კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ნაწილში ხანდაზმულობა, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუმცა სასამართლოს კანონის ეს ნორმა არ გამოუყენებია. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 20.11.07წ. გაცემული #-3-11/9079 ცნობა ვერ ჩაითვლებოდა მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარებად, რადგან მასში არ არის მითითებული ჯილდოს, კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარების ვალის აღიარებისა და მისი გადახდის დაპირებაზე. აღნიშნული ცნობა ინფორმაციული ხასიათისაა და გაცემულია სზაკ-ით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 08.10.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვებისა და სანივთე ქონების კომპენსაციების დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნ. შ-ძის სასარგებლოდ ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 669,38 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს თავდაცვის

სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 669,38 ლარის დაკისრების ნაწილში ნ. შ-ძის სასარჩელო მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მიუღებელი სახელფასო დავალიანების, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების თაობაზე ნ. შ-ძის სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ ვერ გავრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ერთოვანი ვადა. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). შესაბამისად, მის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურება უნდა მოხდეს საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #22662 სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ გაცემული ცნობები არ ადასტურებს ვალის აღიარებას, ვინაიდან ინფორმაციულ ხასიათს ატარებენ და ადასტურებენ არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ იმას, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ წარმოადგენს იდენტურ ცნებებს, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას არ იწვევს დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით თავდაცვის სამინისტროსადმი მოსარჩელის განცხადებებით არაერთი მიმართვის ფაქტი, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად ითვალისწინებს იმ სახელმწიფო ორგანოსათვის მოთხოვნის არსებობის შესახებ განცხადებით მიმართვას, რომელსაც აქვს დავის გადაწყვეტის იურისდიქცია, ხსენებული მუხლი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად არ ითვალისწინებს პირის მოვალისადმი, მოპასუხისადმი განცხადებით მიმართვას. რაც შეეხება საქმეში დაცულ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 17.05.07წ. #9/1403 წერილს, რომლის თანახმად, მოპასუხე მხარე ჰპირდება ნ. შ-ძეს, რომ ხელფასის ანაზღაურება განხორციელდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, აღნიშნული წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლი აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურისათვის სასურსათო ულუფის და ფორმის ტანსაცმლის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის მიცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. შესაბამისად, კვების და სანივთე ქონების კომპენსაციაზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 17.05.07წ. #9/1403 ცნობა სახელფასო დავალიანებასთან ერთად არ შეიცავს კვების ულუფის აღიარებას, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, აღნიშნული ვადა ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით. შესაბამისად, საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია - 669,38 ლარი (1998წ. - 188.8ლ., 285.59 ლ., 194.99ლ.), რომლებზეც ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ვინაიდან სარჩელის აღმდგომის მომენტისათვის გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. შ-ძეზე გასაცემი სანივთე ქონების კომპენსაცია (439.88 ლ.) შეეხება 2004-2006 წლების დავალიანებას, ხოლო სარჩელი სასამართლოში 07.06.07წ. არის

შეტანილი. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, სანივთე ქონების კომპენსაცია ექვემდებარება ანაზღაურებას. 2004-2006 წ.წ. კუთვნილ სანივთე ქონების ანაზღაურების მოთხოვნა ემყარება იმეჟამად მოქმედი «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლის, აგრეთვე, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №-493 ბრძანებულების მე-8 პუნქტის, №-3 დანართის დებულებებს. მოსარჩელე ითხოვს სანივთე ქონების შესაბამის ფულად კომპენსაციას იმ პერიოდისათვის (2004-2006წწ.), რომლის განმავლობაშიც ის გადიოდა სამხედრო მოსამსახურს. ამდენად, საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელე არ იყო სამხედრო მოსამსახურე არ ქმნის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილების საფუძველს. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლში 11.05.07წ. კანონით შეტანილი ცვლილებები არ ვრცელდება სადავო პერიოდზე, 12.3 მუხლში 11.05.07წ. კანონით შეტანილ ცვლილებებს არ აქვთ უკუქცევითი ძალა. კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სანივთე უზრუნველყოფა წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო არ ემყარება რაიმე საკანონმდებლო საფუძველს და ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციების თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის თანხის - 669,38 ლარის ნ. შ-ძის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ნ. შ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. სააპელაციო სასამართლოს 12.03.08წ. განჩინება ნ. შ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1097.26 ლარის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატის მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი გამოკვლევისათვის საქმის დაბრუნების საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 669,38 ლარის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ნ. შ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის 669,38 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მოსარჩელის სასარგებლოდ სანივთე ქონების კომპენსაციის დაკისრების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების და სანივთე ქონების კომპენსაციის - 1097.26 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ვალდებულება

### განჩინება

#-ბს-883-850(2კ-08) 13 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე

ნ. ქადაგიძე

**სარჩელის საგანი:** ხელფასის, კვარტალური ჯილდოს, კვების კომპენსაციის, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 3 იანვარს მ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მეუღლე დ. მ-მე 2004 წლის 14 დეკემბრამდე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. დ. მ-მემ სამხედრო მოვალეობის შესრულებისას მიიღო ტრავმა და დაინვალიდა, ხოლო 2006 წლის 3 ივნისს უზედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. მოსარჩელეზე, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეზე, 2007 წლის 8 თებერვალს #-2-51 სანოტარო აქტით გაიცა სამკვიდრო მოწმობა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დ. მ-მის მიმართ გაუცემელი დარჩა დავალიანებები - ხელფასი - 924,33 ლარი და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა - 923,45 ლარი, სულ კი დავალიანების თანხამ შეადგინა 1847,78 ლარი. მოსარჩელემ და მისმა მეუღლემ არაერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. სასარჩელო განცხადებაზე დართული მტკიცებულებები ცხადყოფდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღიარებული ჰქონდა ხელფასის სახით 1998-2000 წლებში გასაცემი 924,33 ლარისა და 2001-2003 წლებში - სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის - 923,45 ლარის დავალიანებების არსებობა, მაგრამ ამ დავალიანებების ანაზღაურებისათვის მისივე მხრიდან საჭირო ღონისძიებების განუხორციელებლობის გამო, მოსარჩელეს მიადგა არსებითი ზიანი, რაც, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეადგენდა 2700 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ დავალიანების თანხის - 1847,78 ლარის, დავალიანების დროულად აუნაზღაურებლობის შედეგად მიყენებული ზიანის - 2700 ლარისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის - 500 ლარის ანაზღაურების დაკისრება, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2008 წლის 1 თებერვალს გაცემული #-168 ცნობის თანახმად, დ. მ-მის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა - 1998 წლის ხელფასი - 203,2 ლარს, 1998 წლის კვების კომპენსაცია - 236 ლარს, 1998 წლის ჯილდო - 92,7 ლარს, 1999 წლის ხელფასი - 56,36 ლარს, 1999 წლის კვების კომპენსაცია - 59 ლარს, 1999 წლის ჯილდო - 46,35 ლარს, 2000 წლის ხელფასი - 112,72 ლარს, 2000 წლის კვების კომპენსაცია - 118 ლარს. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემული 2007 წლის 25 ოქტომბრის #-3-11/8207 ცნობის თანახმად, დ. მ-მის მიმართ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 923,45 ლარს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი და აღნიშნა, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილი იყო 2007 წელს და, ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, ისე, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მისცემოდა ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩათვლილიყო ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭირო იყო ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია) კანონმდებლობის მიხედვით ჰქონოდა დანამატის სტატუსი. როგორც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტიდან ირკვეოდა, დანამატის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც გაიანგარიშებოდა ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხებოდა ჯილდოს, კვების კომპენსაციასა და მატერიალურ დახმარებას, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, მათ დანამატის სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული. აქედან გამომდინარე, ცალსახა იყო, რომ კვების კომპენსაცია და ჯილდოს თანხები არ წარმოადგენდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემლები იყო. სარჩელი კვების კომპენსაციისა და ჯილდოს

ნაწილში იყო ხანდაზმული, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა 1998-2000 წლების ხელფასის, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, იყო ხანდაზმული. სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნაზე ვრცელდებოდა იმავე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ხსენებული კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სარჩელის შეტანისას მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა. მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი იყო საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მაშინ, როდესაც საქართველოს შრომის კოდექსი მიღებული იყო 2006 წლის 25 მაისს და მას უკუქცევითი ძალა არ ჰქონდა. «ნორმატიული აქტების შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლისა და საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იგი ვერ გავრცელდებოდა 1998-2003 წლებში წარმოშობილ სამართალურთიერთობებზე. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მხარეს უნდა დაემტკიცებინა გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა მისთვის მიყენებულ ზიანს და, შესაბამისად, მისი მოთხოვნა იყო უსაფუძვლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 1998-2000 წლების ხელფასის - 372,38 ლარის ანაზღაურება; მ. მ-ძის სარჩელი კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარების, სანივთე ქონების კომპენსაციის, დავალიანების დროულად აუნაზღაურებლობის შედეგად მიყენებული ზიანის, საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებასა და შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო. საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2008 წლის 1 თებერვალს გაცემული #168 ცნობა, რომლის თანახმად, დ. მ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენდა - 1998 წლის ხელფასი - 203,2 ლარს, 1998 წლის კვების კომპენსაცია - 236 ლარს, 1998 წლის ჯილდო - 92,7 ლარს, 1999 წლის ხელფასი - 56,36 ლარს, 1999 წლის კვების კომპენსაცია - 59 ლარს, 1999 წლის ჯილდო - 46,35 ლარს, 2000 წლის ხელფასი - 112,72 ლარს, 2000 წლის კვების კომპენსაცია - 118 ლარს. საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ გაცემული 2007 წლის 25 ოქტომბრის #3-11/8207 ცნობა, რომლის თანახმად, დ. მ-ძის მიმართ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 923,45 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტზე, 134<sup>1</sup>-ე მუხლზე, საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, «საბიუჯეტო სისტემის შესახებ» საქართველოს კანონზე, «საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა მის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანება - 1998 წლის - 203,2 ლარის, 1999 წლის - 56,36 ლარისა და 2000 წლის - 112,72 ლარის ოდენობით. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას 1998-2000 წლების ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და მატერიალური დახმარების თანხების ანაზღაურების შესახებ, მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებზე და მიიჩნია, რომ სასურსათო ულუფის, ფორმის ტანსაცმლის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის, ფულადი ჯილდოსა და მატერიალური დახმარების გაცემის ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელი იყო და მათზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმავე კოდექსის 130-ე და 131-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ უნაზღაურებდა კვებისა და მატერიალური დახმარების თანხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას წარმოეშვა მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ და თანხის ანაზღაურების მოთხოვნით, უნდა მიემართა სასამართლოსათვის, რაც არ განუხორციელებია 2008 წლის 3 იანვრამდე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ასევე უარი უნდა თქმოდა სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2008 წლის 1 თებერვალს გაცემულ #168 ცნობაში მოცემული იყო მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია - თუ რამდენს შეადგენდა მოსარჩელის მიმართ დავალიანება და ხსენებული ცნობა არ შეიცავდა საქართველოს თავ-



დაცვის სამინისტროს დაპირებას, რომ აღნიშნული თანხები მოსარჩელეს აუნაზღაურებოდა, რის გამოც დასახელებული ცნობა შეიძლება მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის მტკიცებულებად განხილულიყო.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას მიყენებული ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების შესახებ, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმოდა. წინა წლებში არსებული დავალიანების დაფარვის წესი მოწესრიგებული იყო თვით «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონითა და «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-60 მუხლით და აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდებოდა. მოპასუხეს, როგორც საბიუჯეტო დაწესებულებას, არ ეკისრებოდა ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელისათვის ანაზღაურებინა ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დაყოვნებული თანხის 10%. არ იყო გასაზიარებელი ასევე მოსარჩელის მოთხოვნა, რომ შრომის კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მას უნდა ანაზღაურებოდა გაუცემელ დავალიანების 0,007 პროცენტი, რადგან საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიმართ ვერ გავრცელდებოდა. მოპასუხეს, როგორც საბიუჯეტო დაწესებულებას, არ ეკისრებოდა ვალდებულება, შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელისათვის ანაზღაურებინა ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დაყოვნებული თანხის 0,007 პროცენტი, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იყო. მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეეძლო (და არ იყო ვალდებული), მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა გადაწყვეტილება დაყოვნებული აღსრულებისათვის მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, მაგრამ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლით, რომელიც იყო სპეციალური კანონი, მოწესრიგდა 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეებისათვის დაწესებულებიდან კუთვნილი თანხის გაცემის საკითხი, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა თქმოდა სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების შესახებ, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, მხარეს არ მიუმართავს სასამართლოსათვის შუამდგომლობით, რომ მას ესაჭიროებოდა ადვოკატი, რომ არ გააჩნდა შესაბამისი თანხა, რაც ესაჭიროებოდა ადვოკატის მოსაწვევად თავის ინტერესების დასაცავად. მოცემული დავა განეკუთვნებოდა სოციალურ საკითხს და მოსარჩელე გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მოსარჩელეს ასევე არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომ მას ესაჭიროებოდა სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა სასამართლოს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა თქმოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მ. მ-მის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. მ-მეს უარი ეთქვა კვების კომპენსაციისა და კვარტალური ჯილდოს ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. მ-მის სასარგებლოდ დაეკისრა კვების კომპენსაციის სახით 413 ლარისა და კვარტალური ჯილდოს სახით 139,05 ლარის ანაზღაურება; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, ასევე, დარღვეულ იქნა იმავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტი - გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც ამ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 12 სექტემბრის №-3-11/3719 ცნობის თანახმად, მითითებული ორგანო აღიარებდა, რომ დ. მ-მის 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება შეადგენდა 924,33 ლარს, რომელიც გაიცემოდა მოხდებოდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი

ასიგნებების ფარგლებში. ხსენებული ცნობა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2008 წლის 1 თებერვალს გაცემული №-168 ცნობა ადასტურებდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალის აღიარების ფაქტს - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მ. მ-მეს მისი მეუღლის მიერ მიუღებელი სახელფასო დავალიანების - 924,33 ლარის ანაზღაურებას დაჰპირდა ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის აღიარებით, რაც მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის მხრიდან დასტურდებოდა ზემოაღნიშნული ცნობებით. მოსარჩელის მოთხოვნა კვების კომპენსაციის - 413 ლარისა და ჯილდოს - 139,05 ლარის ანაზღაურების ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სანივთე ქონების კომპენსაციის, ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტისა და საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის ნაწილში, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების ხარჯების მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, იყო უსაფუძვლო, რადგან მან ვერც პირველ და ვერც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მისი მხრიდან ნამდვილად იყო გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მემ იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მას არ წარმოუდგენია საადვოკატო მომსახურების ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულება და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია კასატორსა და მის ადვოკატს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კასატორს აღებული აქვს ვალდებულება საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების შესახებ. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ადვოკატის შრომის ანაზღაურება მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის გარეშე ხდება და ამ ფაქტს სადავო არავინ ხდის. არასწორია ასევე სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე სასამართლოს უარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი განსაზღვრავს მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტს და იგი არანაირად არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გახდეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ არასწორად გამოიყენა ხსენებული მუხლი. სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გავრცელება უმართებულოა, რადგან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №-173 ბრძანებითა და «სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» ყოველწლიურად მიღებული კანონებით, ერთი მხრივ, აღნიშნული სამინისტრო, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო აღიარებს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების (მათ შორის, სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის) დაფარვის ვალდებულებას.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, რომლის თანახმად, დღეის მდგომარეობით, 2000 წელთან შედარებით, ლარის მყიდველობითუნარიანობა ორჯერ დაეცა, ანუ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2000 წელს რომ აენაზღაურებინა კასატორის კუთვნილი დავალიანებები, იგი ორჯერ იაფად შეიძენდა საჭირო მატერიალურ სიკეთეს და ზიანიც აღარ მიაღებოდა. რაც შეეხება ზიანის მოცულობას, კანონის ანალოგიის პრინციპიდან გამომდინარე, კასატორს იგი გამოანგარიშებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ნორმის საფუძველზე, რომელიც დამსაქმებელს ავალდებულებს, კუთვნილი თანხის დადგენილ ვადაში გაუცემლობის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაქმებულს საურავის სახით გადაუხადოს მთლიანი თანხის 0,07%.

კასატორის მტკიცებით, მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საფუძვლების არასწორი შეფასებითა და განმარტებებით, რამაც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა განაპირობა. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ არასწორად

იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის, კვების კომპენსაციისა და ჯილდოს ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში. დადგენილია, რომ მ. მ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1998-2000 წლების სახელფასო თანხის დაკისრების თაობაზე. დ. მ-მეს სამსახურიდან დათხოვნისას 1998-2000 წლების მდგომარეობით, მიუღებელი დარჩა - ხელფასი - 372,28 ლარი, კვება - 413 ლარი და ჯილდო - 139,05 ლარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც ამ კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადების ათვლა დაიწყო იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდო და კვების კომპენსაცია. სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წელს და ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

კასატორის განმარტებით, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (კვების კომპენსაცია, ჯილდო) კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს დანამატის სტატუსი. როგორც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტიდან ირკვევა, დანამატის სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც გაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება ჯილდოსა და კვების კომპენსაციას, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, მათ დანამატის სტატუსი არა აქვს მინიჭებული. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციისა და ჯილდოს თანხები არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემლებია. სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილი და 105-ე მუხლი, ასევე - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, კერძოდ, საქმეში არსებული ცნობები შეაფასა დავალიანების აღიარებად, რაც უკანონოა, რადგან აღიარება ან დაპირება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ვალდებულებას, თუ იგი მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ და თუ მას საინფორმაციო ხასიათი არა აქვს, კონკრეტულ შემთხვევაში კი, მათ მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 29 ივლისის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. მ-მისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 29 ივლისის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 16 ოქტომბრამდე; დადგინდა მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობის განხილვა მისი საკასაციო საჩივრის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით დასაშვებად ცნობის შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-მის საკასაციო საჩივარი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. მ-მისათვის ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება მ. მ-მისათვის ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. მ-მისათვის 1998-2000 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და ამ ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 13 ნოემბერს, მხარეთა დასწრების გარეშე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობები მოცემული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა დაშვებულ ნაწილში, წარმოდგენილი საკასაციო

საჩივრის საფუძვლიანობა ამავე ნაწილში და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2008 წლის 1 თებერვალს გაცემული #168 ცნობის თანახმად, დ. მ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს - 1998 წლის ხელფასი - 203,2 ლარს, 1998 წლის კვების კომპენსაცია - 236 ლარს, 1998 წლის ჯილდო - 92,7 ლარს, 1999 წლის ხელფასი - 56,36 ლარს, 1999 წლის კვების კომპენსაცია - 59 ლარს, 1999 წლის ჯილდო - 46,35 ლარს, 2000 წლის ხელფასი - 112,72 ლარს, 2000 წლის კვების კომპენსაცია - 118 ლარს.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მ. მ-ძის საკასაციო საჩივარი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. მ-ძისათვის ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს თანხების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება მ. მ-ძისათვის ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს თანხის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. მ-ძისათვის 1998-2000 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ კვების კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ მ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 12 სექტემბრის #3-11/3719 წერილზე, რომლის თანახმად, დ. მ-ძეს გენერალური შტაბის საფინანსო სამმართველოში ერიცხება 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება - 924,33 ლარი, რომლის გაცემაც მოხდება ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 12 სექტემბრის #3-11/3719 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხსენებულმა სტრუქტურულმა ერთეულმა აღიარა დ. მ-ძის მეუღლის - მ. მ-ძის წინაშე დ. მ-ძის მიერ მიუღებელი სახელფასო დავალიანება 924,33 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა), რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით რეგლამენტირებული, ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, სახეზეა ხსენებული კოდექსის 144-ე მუხლის (ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების შემთხვევაში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება - ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს, სამართლებრივად, აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ამ შემთხვევაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა 2007 წლის 12 სექტემბერს #3-11/3719 წერილით აღიარა დ. მ-ძის მეუღლის - მ. მ-ძის წინაშე სახელფასო დავალიანება, ანუ მას შემდეგ, რაც 1998-2000 წლების კვების კომპენსაციის დავალიანების მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, მაგრამ აღნიშნული გარემოება გავლენას ვერ მოახდენს მ. მ-ძის უფლების რეალიზაციაზე, მიიღოს კვების კომპენსაციის დავალიანება, რადგან ხსენებულმა ორგანომ აღნიშნული წერილის გაცემით აღიარა კვების კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ მ. მ-ძის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ, მართალია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მ. მ-ძისათვის 1998-2000 წლების კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიიჩნია დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმ საფუძველით, რომ სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ ამ დრომდე განხილული მსგავსი საქმეებისაგან და მათზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან იმ კუთხით, რომ აქამდე განხილულ საქმეებში წარმოდგენილ შესაბამის მტკიცებულებებში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს/მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემულ წერილობით დოკუმენტებში მითითებული კი იყო სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაპირებაზე, თუმცა მათში არ იყო მოყვანილი დავალიანების კონკრეტული თანხა, ანუ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა. მოცემულ საქმეში წარმოდგენილ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2007 წლის 12 სექტემბრის #3-11/3719 წერილში პირდაპირ არის მითითებული მ. მ-ის მიერ სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი შესაბამისი დავალიანების თანხა - 924,33 ლარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მ. მ-ის სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კვების კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ მ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია და სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა მისი აღნიშნული მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სანივთე ქონებისა და ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის აღიარება**

#### **ვალდებულების აღიარება სანივთე ქონების კომპენსაციაზე**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#-ბს-43-43(2კ-08) 24 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ცისკაძე**

**სარჩელის საგანი:** სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 20 ივნისს ვ. ნ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში ვ. ნ-იამ აღნიშნა, რომ იგი მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ სამმართველოში, სარდლის თანამდებობაზე, სამსახურიდან დაითხოვეს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 ივნისის #731 განკარგულებისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 26 ივნისის #-1549 ბრძანების საფუძველზე, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. სამსახურიდან დათხოვნის დროს მასთან ანგარიშსწორება არ

მომხდარა, რის გამოც მიუღებელი ჰქონდა 10273,36 ლარი. მიუხედავად მისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის არაერთგზის მიმართვისა, ანგარიშსწორება არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის გადახდის დაკისრება, კერძოდ: 1998-2000 წლების გაუცემელი სახელფასო დავალიანების - 6448,5 ლარის, კვების (სასურსათო ულუფის) ფულადი კომპენსაციის - 1699,6 ლარის, სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის - 2520,26 ლარის, 1998-1999-2000 წლების კვარტალური ჯილდოების - 1048 ლარისა და მატერიალური დახმარების - 257 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ნ-იას სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ვ. ნ-იას სასარგებლოდ დავალიანების - 10273,36 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელე 1998-2000 წლებში წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს. ამავე კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო. მოცემული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნა იყო კანონიერი და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 26 ივლისს გაცემული #-2/15/177 ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაციის თანხა შეადგენდა 2520,26 ლარს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ვ. ნ-იას მუშაობის პერიოდში არ მიუღია კუთვნილი სანივთე ქონება ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმპერატიულად იყო დადგენილი, რომ სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მოთხოვნა სანივთე ქონების კომპენსაციის თაობაზე, მიიჩნია საფუძვლიანად და დააკმაყოფილა იგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით, სანივთე ქონების კომპენსაციის დაკმაყოფილების ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ვ. ნ-იას სარჩელი სანივთე ქონების კომპენსაციის - 2520,26 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება სახელფასო დავალიანების - 7753,10 ლარის ანაზღაურების ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობოდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, იყო სამი წელი. მოსარჩელე ითხოვდა 1999-2001 წლების (და არა სააპელაციო საჩივარში მითითებულ 1998-2000 წლების) სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებას, ხოლო აღნიშნულის შესახებ სარჩელი აღძრა 2007 წლის 20 ივნისს, ანუ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული ვალდებულება წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მის მიმართ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამავე კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა წყდებოდა ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის აღიარებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 26 ივლისს გაცემული ცნობა ვალის აღიარების ფაქტს არ ადასტურებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის და მისი დინების ხელახლა დაწყების საფუძველი არ არსებობდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოთხოვნები, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე და 393-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით ვ. ნ-იას სარჩელის - ხელფასის, კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ფულადი თანხების საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის, კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი განმარტავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი სახელფასო თანხა წარმოადგენს 1996-2003 წლებში მისაღებ თანხას, იმ დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 81-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდებოდა დროულად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხელფასი გაიცემოდა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოხელეს არ აქვს უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

კასატორი მიიჩნევს, რომ შრომითი ანაზღაურება (ხელფასი) ადმინისტრაციის მიერ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა. მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში უნდა წარდგენილიყო, საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კერძოდ, ყოველი თვის ხელფასის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან ერთ თვეში, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სამი წლის ვადაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად.

კასატორი განმარტავს, რომ კვების, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების თანხის ანაზღაურება არ შედის ხელფასში. აღნიშნული ფულადი კომპენსაციის გაცემა, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, პერიოდულად გასაცემი ვალდებულებაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარ ვალდებულებებზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო იმავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრა ვ. ნ-იამ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება სანივთე ქონების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა აღნიშნა, რომ მრავალი დაპირებისა და ოფიციალური ცნობების გაცემის შემდეგ უარი უთხრეს კუთვნილი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე. სასამართლომ, ყურადღება გაამახვილა რა ხანდაზმულობის ვადაზე, არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი 2005 წელს გაცემული №-9/2021 წერილი, სადაც ცალსახადაა აღიარებული არსებული დავალიანება და დაფიქსირებულია დავალიანების ანაზღაურების საკითხის განხილვა.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ცნობებსა და წერილობით ინფორმაციებზე, რომელთა შინაარსი ურთიერთგამომრიცხავია. ცნობები, სადაც დაფიქსირებულია არსებული დავალიანება და დამოწმებულია ადმინისტრაციული სამსახურის, კომპეტენტური თანამდებობის პირების მიერ, წარმოადგენს დავალიანების აღიარებას და არა უარს.

რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობას ცნობის შინაარსთან დაკავშირებით, კასატორი განმარტავს, რომ აღნიშნული ვერანაირად ვერ იქნება საინფორმაციო ხასიათის, რადგან კონკრეტული სამსახურის მიერ გაცემულია ორივე სახის ცნობა, რომლებშიც დაფიქსირდა არსებული დავალიანებები.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრისა და 28 იანვრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ვ. ნ-ის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 25 იანვრისა და 28 იანვრის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 13 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება ვ. ნ-ისათვის სახელფასო დავალიანების - 7753,10 ლარის ანაზღაურების ნაწილში; ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 24 აპრილს, მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ვ. ნ-ისათვის სახელფასო დავალიანების - 7753,10 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, ამიტომ საკასაციო სასამართლომ ვ. ნ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა შეამოწმა მხოლოდ ვ. ნ-ისათვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში ვ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსის 2007 წლის 14 ივნისის #413 ცნობის თანახმად, ვ. ნ-ია მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარ სამმართველოში, სარდლის თანამდებობაზე და მისი დარიცხული სახელფასო დავალიანება 1998-1999-2000 წლებში (ხელზე ასაღები თანხა) სულ შეადგენდა 7753,10 ლარს. ვ. ნ-ია სამსახურიდან დაითხოვეს საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 ივნისის #731 განკარგულებისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2002 წლის 26 ივნისის #1549 ბრძანების საფუძველზე, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის 26 ივლისს გაცემული #-2/15/177 ცნობის მიხედვით, ვ. ნ-ის მიმართ ნორმით გათვალისწინებული 1999-2001 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის თანხა შეადგენდა 2520,26 ლარს. ვ. ნ-იამ 2005 წლის 28 ივნისის განცხადებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან მოითხოვა მიუღებელი სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება. ვ. ნ-იამ 2007 წლის 5 ივნისის განცხადებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი მიუთითა, რომ, მიუხედავად მისი არაერთგზისი მიმართვისა, არ ჰქონდა მიღებული სახელფასო დავალიანება და სანივთე ქონების კომპენსაცია, რის გამოც მოითხოვა აღნიშნული დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებულებები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 14 ივლისის #9/2021 წერილის თანახმად, ვ. ნ-ისათვის დავალიანების დაფარვა შესაძლებელი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფის ან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე. იმ ეტაპზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ვ. ნ-ის თხოვნა, მაგრამ შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში, კვლავ დაუბრუნდებოდა მის მიმართ დავალიანებების ანაზღაურების საკითხის განხილვას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, იგივე წესი გამოიყენება ვალდებულებების აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2002 წლის 26 ივლისის #-2/15/177 ცნობის მიხედვით, მოითხოვს 1999-2001 წლების სანივთე ქონების კომპენ-



საციის ანაზღაურებას და მის მიმართ სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანების აღიარება მოხდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 14 ივლისის №-9/2021 წერილით, ანუ ამ შემთხვევაში გასული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მაგრამ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ვ. ნ-იას მიმართ სანივთე ქონების კომპენსაციის დავალიანება იმავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ვ. ნ-იას უნდა აუნაზღაუროს აღნიშნული დავალიანება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვ. ნ-იას საკასაციო საჩივარი მისთვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს ამ ნაწილში და ამავე ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ნ-იას სარჩელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვ. ნ-იას სასარგებლოდ დაეკისრება სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება 2520,26 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვ. ნ-იას საკასაციო საჩივარი მისთვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს ვ. ნ-იასთვის სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. ნ-იას სარჩელი სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვ. ნ-იას სასარგებლოდ დაეკისროს სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება 2520,26 ლარის ოდენობით;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უღუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის აღიარება**

#### **განჩინება**

№-ბს-603-577(კ-08) 20 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 8 ოქტომბერს ბ. ტ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1979 წლიდან 2004 წლის აპრილამდე მუშაობდა შს ორგანოებში.

მოსარჩელის განმარტებით, მიუღებელი დარჩა სახელფასო დავალიანება 919,74 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა სახელფასო დავალიანების - 919,74 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბ. ტ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელე ბ. ტ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 336.65 ლარის, წოდების - 99.87 ლარის და წელთა ნამსახურობისათვის - 111.37 ლარის ანაზღაურება, ხოლო ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე ეთქვა უარი ხანდაზმულობის მოტივით.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო, თანამდებობრივი სარგო საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებული და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატი. ამავე კანონის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

სასამართლოს მითითებით, «ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო ახდენს კანონით გათვალისწინებული თანხების გამოყოფას და შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელფასო დავალიანების გასტუმრებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სასამართლოს განმარტებით, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას ულუფის თანხის ანაზღაურების ნაწილში, «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 55-ე მუხლი ითვალისწინებს სასურსათო ულუფის ღირებულების გაცემას პოლიციის თანამშრომლისათვის (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ), ხოლო «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასის ცნებაში არ შედის კვების ულუფის კომპენსაცია და სხვა დანამატები. სასამართლოს მოსაზრებით, რადგან, სასურსათო ულუფის ღირებულების გაცემას ითვალისწინებს მხოლოდ დებულება და არა «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი, მის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს მიერ ხანდაზმულად იქნა მიჩნეული.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ტ-შვილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ბ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბ. ტ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. ტ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა სასურსათო ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ბ. ტ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1998-2003 წლების სასურსათო ულუფის ანაზღაურება 371,85 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა არა ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანება, არამედ დარიცხული, რამაც ულუფის გამოკლებით შეადგინა 547.89 ლარი (ულუფასთან ერთად დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენდა 1078,89 ლარს).

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა 919,74 ლარს (ხელზე გასაცემი ხელფასი). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს, თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა დარიცხული სახელფასო დავალიანება, რაც ხელზე გასაცემი დავალიანებას აღემატება, სასურსათო ულუფის 2007 წლის 9 ნოემბრის ცნობის გათვალისწინებით, 531 ლარის დაკისრების შემთხვევაში სასამართლო გასცდება დავის საგანს, რაც ზემოხსენებული საპროცესო ნორმის დარღვევას გამოიწვევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბ. ტ-შვილის სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ბ. ტ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს სასურსათო ულუფის სა-კომპენსაციო თანხა 371.85 ლარის ოდენობით (919,72-547,89+371,85).

საპელაგო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიუთითა, რომ «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების დამტკიცების თაობაზე, 1997 წლის 17 მარტის №-139 ბრძანებულების 55-ე მუხლის თანახმად, პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ).

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ცალსახად, რომ ულუფის ღირებულება იგულისხმება ხელფასის ცნებაში, იგი არ წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, შესაბამისად, მასთან მიმართებაში დაუშვებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გავრცელება.

საპელაგო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სასურსათო ულუფის ღირებულების გაცემას პოლიციის თანამშრომლისათვის (თუ იგი ნატურით არ ეძლევათ) ითვალისწინებს მხოლოდ «საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 55-ე მუხლი, რაც გათვალისწინებული არ არის «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლით, შესაბამისად, ხელფასის ცნებაში არ შედის კვების ულუფის კომპენსაცია და სხვა დანამატები.

საპელაგო პალატის მითითებით, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 1993 წლის 27 ივნისს. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №-139 ბრძანებულებით დამტკიცებულ იქნა «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულება», რომლის მე-3 მუხლით განისაზღვრა საქართველოს შს ორგანოებში სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს კონსტიტუცია, «პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი და სხვა სამართლებრივი აქტები.

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 2005 წლის 11 ნოემბრის ცვლილებამდე არსებული რედაქციით, ცალსახად იყო განსაზღვრული, რომ პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს და კომპენსაციებს.

კანონის აღნიშნულ ნორმას კი აკონკრეტებს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №-139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულება», რომლის 55-ე მუხლით განისაზღვრა შს ორგანოს თანამშრომლის ფულადი ანაზღაურება.

ამასთან, საპელაგო პალატის მითითებით, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლმა 2005 წლის 23 დეკემბრის №-2493 კანონით განიცადა ცვლილება, რომლის მე-4 მუხლის დეფინიციის თანახმად, პოლიციის ხელფასი (ფულადი სარგო) შედგება თანამდებობრივი და წოდებისათვის დადგენილი სარგოებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაგო სასამართლოს მოსაზრებით, ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს ბ. ტ-შვილის მიმართ ერიცხება 1998, 1999, 2003 წლების სახელფასო დავალიანება და მათ შორის გათვალისწინებულია სასურსათო ულუფის კომპენსაცია.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შსს თბილისის მთავარმა სამმართველომ. კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საპელაგო საჩივარში მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არ შეიძლება გახდეს აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ვინაიდან «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასი შედგება თანამდებობრივი სარგოსა და წოდების დანამატისაგან. კვების ულუფა და წელთა ნამსახურობის დანამატი კი წარმოადგენს დამატებით კომპონენტებს ხელფასზე, ისევე, როგორც შესაძლებელია არსებობდეს სხვა სახის დანამატიც. რაც, ამავდროულად, წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან საჯარო სამსახურში მათი გაცემა ხდება გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, თვის ბოლოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. შესაბამისად, დავის საგნის მიმართ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემული დავის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება პირს წარმოეშობა იმ მომენტიდან, როდესაც მას უნდა მიეღო, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ მიიღო, ე.ი. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება თვის ბოლო რიცხვიდან. აქედან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, საპელაგო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სასამართლომ არ გაითვალისწინა კვების ულუფის ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობა, რის შედეგადაც მოხდა სარჩელის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო გარკვეულწილად ადასტურებს კასატორის - საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს პოზიციის მართებულებას საქმის სამართლებრივი შეფასების ნაწილში და აღნიშნავს შემდეგს:

«პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათვის იღებს ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. ამდენად, მითითებული კანონის ნორმებიდან გამომდინარე, ხელფასი ფაქტობრივად შედგება ორი კომპონენტისაგან: თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილი დანამატისაგან. მიუხედავად იმისა, რომ «საქართველოს შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 55-ე მუხლი ითვალისწინებს სასურსათო ულუფის ღირებულების გაცემას პოლიციის თანამშრომლისათვის, «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ხელფასის ცნებაში არ მოიაზრებს კვების ულუფის კომპეტენციასა და სხვა დანამატებს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპეტენციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, თუმცა მითითებული მუხლი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამავე მუხლით დადგენილი წესით.

სასურსათო ულუფა წარმოადგენს შსს თანამშრომლების უზრუნველყოფის სახეს და იმავროულად მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან, რაც, როგორც აღინიშნა, განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება, რის გამოც კვების ულუფის დავალიანების მიმართ ზოგადად გამოყენებული უნდა იყოს მოთხოვნის ხანდაზმულობის კანონით გათვალისწინებული ვადები.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ ცნობას, რომელიც გაცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მიერ, რომლის საფუძველზეც აღიარებულია ბ. ტ-შვილის მიმართ სახელფასო დავალიანების 919.74 ლარის არსებობის ფაქტი.

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვადებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ კასატორი სადავოდ ხდის შესაბამისი კომპონენტების პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის ანაზღაურების საკითხს, უდავოა, რომ მისი მხრიდან ბ. ტ-შვილის მიმართ სრულადაა აღიარებული დავალიანების არსებობის ფაქტი, რაც ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა (მოთხოვნის აღიარება), არ იძლევა ბ. ტ-შვილის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის გავრცელების შესაძლებლობას, რის გამოც მისი მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას სრული მოცულობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ბ. ტ-შვილის მოთხოვნა არსებითად სწორად დააკმაყოფილა, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური აუცილებლობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უფვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კვების, სანივთე ქონების, ულუფისა და სამივლინებო ხარჯების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

### ხანდაზმულობა სახელფასო დანამატის მოთხოვნაზე

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-658-627(კ-07) 9 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
ნ. სხირტლაძე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 1 მაისს მ. წ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ მიუღებელი სახელფასო დანამატის გადახდის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2000 წლის 8 თებერვლიდან 2005 წლის 11 მარტამდე მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.

1993 წლის სექტემბრიდან მინიჭებული ჰქონდა მოსამართლის მესამე საკვალიფიკაციო კლასი და საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამუშაოდ გადმოსვლამდე იღებდა სათანადო სახელფასო დანამატს.

უზენაეს სასამართლოში სამუშაოდ გადმოსვლისა და უზენესი სასამართლოდან პირადი განცხადების საფუძველზე ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტამდე (2005 წლის 11 მარტი) და მას შემდეგ 2005 წლის ბოლომდე (ვიდრე 2006 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ იქნებოდა შემოღებული 2005 წლის 23 დეკემბრის ახალი კანონი «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორ-განულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გადაწყდა, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა და გაუქმდა საკვალიფიკაციო კლასზე სახელფასო დანამატის გადახდა) საკვალიფიკაციო კლასის სახელფასო დანამატი არ მიუღია.

მოსარჩელის განმარტებით, დანამატის ოდენობის გაანგარიშებისა და ანაზღაურების თაობაზე ჯერ კიდევ 2006 წლის 17 იანვარს, შემდეგ კი, 14 მარტს მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საფინანსო სამეურნეო განყოფილებას, შემდეგ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

მოსარჩელის გაანგარიშებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის მესამე საკვალიფიკაციო კლასზე ყოველთვიური სახელფასო დანამატის სახით გასაცემი თანხა არის 26 ლარი, რაც 5 წელსა და 10 თვეზე გაანგარიშებით, საერთო ჯამში შეადგენს 1820 ლარს.

«საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილეს, მოადგილეებსა და წევრებს ეძლევათ დანამატები საკვალიფიკაციო კლასებისათვის და წელთა ნამსახურობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მოსარჩელე ასევე მიუთითებდა საქართველოს 2002 წლის 3 დეკემბრის «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, მოსამართლის შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან, დანამატისა და დახმარებისაგან.

საკვალიფიკაციო კლასზე დანამატები, კანონის შესაბამისად, უნდა მიეღო 2005 წლის ბოლომდე, ვიდრე 2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილება არ შეიტანა «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» ორგანულ კანონში და არ გააუქმა ზემოთ მითითებული კანონის 30-ე მუხლი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 1820 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 2 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპრეტსო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მოპასუხე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სარჩელი არ ცნო არც მესამე პირმა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მ. წ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს უზენაეს სასამართლოს მ. წ-ძის სასარგებლოდ დაევალა 2003 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდა 806 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ ნაწილში მ. წ-ძის მოთხოვნას ეთქვა უარი ხანდაზმულობის მოტივით.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლისა და «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელეს მოპოვებული ჰქონდა უფლება დარიცხვოდა თანამდებობრივ განაკვეთზე მოსამართლის მესამე საკვალიფიკაციო კლასის შესაბამისი დანამატი, რაც შეადგენდა 26 ლარს და «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2005 წლის 19 მაისის #35-პ 5 ბრძანების შესაბამისად, ეს დანამატი ასევე უნდა დარიცხვოდა სამი დღეში პენსიას, რომელიც განისაზღვრა მისი ხელფასის სრული ოდენობით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მუშაობის პერიოდში საკვალიფიკაციო კლასის ფულადი დანამატი არ მიუღია და ეს დანამატი არც სამი დღეში პენსიაზე დარიცხვია, რასაც არც მოპასუხე უარყოფს.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის შესაბამისი დანამატის 26 ლარის დარიცხვის უფლება წარმოეშვა იმ დღიდან, როდესაც იგი არჩეული იყო ამ თანამდებობაზე, კერძოდ, 2000 წლის 8 თებერვლიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელეს თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასისათვის შესაბამისი დანამატის დარიცხვა წარმოადგენდა მოპასუხის არა ერთდროულად, არამედ განსაზღვრული პერიოდის შესაბამისად, ანუ პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას (მითითებულს არც მხარეები უარყოფენ) ასეთი ვალდებულების თითოეული შესრულების დარღვევა მოსარჩელისათვის ცალ-ცალკე წარმოშობდა მოთხოვნის უფლებას და ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა, რომ იგი საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ არჩევის დღიდან არ იღებდა საკვალიფიკაციო კლასის დანამატს, ანუ მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის 8 თებერვლიდან, არჩევის დღიდან.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მ. წ-ძის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, 3 წელია. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

მ. წ-ძეს საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წლის 8 თებერვლიდან, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად. ამ მომენტიდან, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მოსარჩელემ უკვე იცოდა (ან უნდა სცოდნოდა), რომ მას საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მიღების უფლება ჰქონდა. საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატი წარმოადგენდა ხელფასის შემადგენელ ნაწილს, ხოლო ხელფასის გადახდა სახელმწიფოს მხრიდან პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა. ამიტომ მ.

წ-ძეს საკვალიფიკაციო კლასისათვის მიუღებელი დანამატის გადახდა უნდა მოეთხოვა 2000 წლის 8 თებერვლიდან (უზენაესი სასამართლოს წევრად არჩევადან) 3 წლის განმავლობაში, მან კი სასამართლოს სარჩელით მიმართა 2006 წლის 1 მაისს, ე.ი. 6 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ.

აპელანტის განმარტებით, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საკლასო დანამატისათვის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის ათვლის მომენტად ცალ-ცალკე პერიოდების (თვეების) მიხედვით განსაზღვრა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი. კანონმდებელი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას დარღვეული უფლების შეტყობის მომენტს უკავშირებს. ვინაიდან მ. წ-ძეს 2000 წლის 8 თებერვლიდან წარმოუვა საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მიღების უფლება და ამ მომენტიდან უკვე იცოდა ამის შესახებ, ამიტომ მის მიერ დანამატის მოთხოვნის მთელ პერიოდზე, კერძოდ, 2000 წლის 8 თებერვლიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა და მოსარჩელეს მთლიანად უნდა ეთქვას უარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აპელანტის მოსაზრებით, მ. წ-ძეს კიდეც რომ ეკუთვნოდეს საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატი, მაინც არასწორია მის სასარგებლოდ უზენაესი სასამართლოსათვის 2005 წლის 11 მარტიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე (ე.ი. უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ) პერიოდის დანამატის გადახდის დაკისრება, ვინაიდან 2005 წლის 11 მარტიდან მ. წ-ძე იღებდა არა ხელფასს, არამედ პენსიას. 2004 წლის 16 სექტემბერს «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» ორგანული კანონის მე-40 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პენსიების გაცემაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა უნდა განახორციელოს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 მაისის #603 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა დებულება «საკვალიფიკაციო კლასის მქონე მოსამართლეებისათვის წელთა ნამსახურობისათვის თანამდებობრივ განაკვეთებზე პროცენტული დანამატის გაცემის წესის შესახებ».

აღნიშნული დებულების შესაბამისად, აპელანტის მითითებით, უზენაეს სასამართლოში იქმნებოდა კომისია, რომელიც იხილავდა უზენაესი სასამართლოს წევრებისათვის როგორც წელთა ნამსახურობისათვის, ასევე საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის დანიშვნის საკითხს. საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მისაღებად აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს წევრის (მოსამართლის) მიმართვა კომისიისათვის, საკვალიფიკაციო კლასის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა და დანამატის მოთხოვნა. ასეთი წესით ჰქონდათ დანიშნული საკვალიფიკაციო კლასის დანამატი უზენაესი სასამართლოს რამდენიმე წევრს.

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის 1993 წლის 27 სექტემბრის #83 ბრძანებით მ. წ-ძეს მიენიჭა მოსამართლის მესამე საკვალიფიკაციო კლასი, მაგრამ მას უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის პერიოდში ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უზენაესი სასამართლოსათვის არ წარუდგენია და არც დანამატის დანიშვნა მოუთხოვია და ამის არანაირი მტკიცებულებები მოსარჩელის პირად საქმეში არ მოიპოვება. შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ არ იცოდა და ვერც ეცოდინებოდა, რომ მ. წ-ძეს მინიჭებული ჰქონდა საკვალიფიკაციო კლასი. მოსარჩელემ საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება უზენაეს სასამართლოში წარადგინა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, მაშინ, როდესაც 2006 წლის 1 იანვრიდან განსხვავებულად მოწესრიგდა უზენაესი სასამართლოს წევრებისათვის ხელფასის განსაზღვრის საკითხი, რის გამოც აღარ არსებობდა არც საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მიცემა კომისია და უზენაესი სასამართლოს წევრის ხელფასიც განისაზღვრა ერთ მთლიან თანხად. ამის გამო, უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ვეღარ მოხდებოდა მ. წ-ძისათვის უზენაესი სასამართლოს მიერ საკვალიფიკაციო კლასისათვის დანამატის მიცემის საკითხზე მსჯელობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას უზენაესი სასამართლოსათვის მ. წ-ძის სასარგებლოდ 2003 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის მიხედვით საკვალიფიკაციო კლასის დანამატის - 806 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

2006 წლის 26 ოქტომბერს მ. წ-ძემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაზე და ახალი გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოსთვის დამატებით 2003 წლის მარტისა და აპრილის საკვალიფიკაციო კლასის დანამატის - 52 ლარის გადახდის დავალება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას 2007 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომაზე აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდა 2003 წლის 14 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას, 2006 წლის 28 ნოემბრის საოქმო განჩინებით, 2005 წლის 11 მარტიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე მ. წ-

მისადმი საკვალიფიკაციო კლასის დანამატის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლო მიჩნეულ იქნა არასათანადო მოპასუხედ და შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილთან მიმართებაში საქმეში ჩაება მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. წ-ძის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაევალა მ. წ-ძის სასარგებლოდ 2003 წლის 14 მარტიდან 2005 წლის 11 მარტამდე პერიოდის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდა, თვეში 26 ლარის ოდენობით. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს დაევალა მ. წ-ძის სასარგებლოდ 2005 წლის 11 მარტიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდა, თვეში 26 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ვერ გაიზიარებდა საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა 2006 წლის 1 მაისს, როდესაც მ. წ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება იმ შემთხვევაშიც, თუ უფლებამოსილი პირი შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ისეთი საშუალებით, როგორცაა მოთხოვნის არსებობის შესახებ სახელმწიფო ორგანოებისათვის განცხადებით მიმართვა.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებით და საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ მ. წ-ძემ ასეთი განცხადებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2006 წლის 14 მარტს მიმართა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პოზიცია იმის თაობაზე, რომ მ. წ-ძის მოთხოვნა 2003 წლის მარტის ნახევრისა და აპრილის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდის ნაწილში ხანდაზმული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, 2003 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის თანამდებობრივ სარგოზე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გადახდის ნაწილში სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად დაეთანხმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ 2003 წლის 14 მარტიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის თანამდებობრივ სარგოზე საკვალიფიკაციო კლასის დანამატის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი ხანდაზმული არ იყო და დამატებით აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი იყო აპელანტის მოსაზრება საკვალიფიკაციო კლასის დანამატის მისაღებად საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიისადმი დანამატის მიღების უფლების მქონე მოსამართლეთა მხრიდან მიმართვის ვალდებულების არსებობის შესახებ, რადგან ასეთი ვალდებულების არსებობა არც ერთ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არ დასტურდება. აღნიშნულს არ ითვალისწინებს არც აპელანტის მიერ მითითებული საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 მაისის #603 დადგენილებით დამტკიცებული დებულება «საკვალიფიკაციო კლასის მქონე მოსამართლეებისათვის წელთა ნამსახურობისათვის თანამდებობრივ განაკვეთზე პროცენტული დანამატის გაცემის წესის შესახებ». აღნიშნული დებულება საკვალიფიკაციო კლასის მქონე მოსამართლეების მიერ წელთა ნამსახურობისათვის თანამდებობრივ განაკვეთზე პროცენტული დანამატის მისაღებად ადგენს საჭირო მუშაობის სტაჟის გამოთვლის წესს. მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიაც, ამავე დებულების მე-12 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული სტაჟის გამოთვლის მიზნით შეიქმნა.

თავად საკვალიფიკაციო კლასის დანამატის ოდენობა გამოითვლებოდა შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონესთან მისი თანაფარდობის კოეფიციენტით, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრული იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 30 ნოემბრის #824 დადგენილების #8 დანართით და მესამე საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლეებისათვის შეადგენდა 1,3-ს, ამრიგად, აღნიშნული დანამატის ოდენობის გამოსათვლელად მუშაობის სტაჟის დადგენა საჭირო არ იყო, და შესაბამისად, არც მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიისადმი მიმართვის ვალდებულება არსებობდა; ხოლო აპელანტის არგუმენტები, საქართველოს უზენაეს სასამართლოში აღნიშნული დანამატის კომისიის გადაწყვეტილებით დანიშვნის მრავალწლიანი პრაქტიკის შესახებ, ასეთი ვალდებულების არსებობის სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეული ვერ იქნებოდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე აპელანტის პოზიცია, რომ მან არ იცოდა და არც ეცოდინებოდა მ. წ-ძისადმი მესამე საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შესახებ. საქმეში წარმოდგენილი, საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან შექმნილი მუშაობის სტაჟის დამდგენი კომისიის 2001 წლის 12 იანვრის #1 ოქმით დასტურდება, რომ «საკვალიფიკაციო კლასის მქონე მოსამართლეებისათვის წელთა ნამსახურობისათვის თანამდებობრივ განაკვეთზე პროცენტული დანამატის გაცემის წესის შესახებ» საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 მაისის #603 დადგენილებით დამტკიცებული



დებულების შესაბამისად, კომისიამ უზენაესი სასამართლოს წევრს - მ. წ-ძეს განუსაზღვრა თანამდებობრივ განაკვეთზე პროცენტის დანამატი წელთა ნამსახურობისათვის. აღნიშნული დანამატი, ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, ენიშნებათ მხოლოდ საკვალიფიკაციო კლასის მქონე მოსამართლეებს, რაც ადასტურებს, რომ 2001 წლის 12 იანვრისათვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მასთან არსებულ მუშაობის სტაჟის დამდგენ კომისიას უკვე ჰქონდა ინფორმაცია მ. წ-ძის საკვალიფიკაციო კლასის შესახებ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელისათვის 2005 წლის 11 მარტიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის დანამატის გადახდის ვალდებულება უნდა დაეკისროს არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს, რადგან 2005 წლის 11 მარტიდან მ. წ-ძეს შეუწყდა უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილება და ამ დღიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში იგი იღებდა პენსიას ხელფასის სრული ოდენობით, «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, რომელშიც შედიოდა, როგორც თანამდებობრივი სარგო, ისე კანონით გათვალისწინებული დანამატი. აღნიშნულ პენსიას გასცემდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. საკვალიფიკაციო კლასის დანამატის გაცემაც, რომელიც 2005 წლის 11 მარტიდან უკვე მ. წ-ძის პენსიის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, უნდა განხორციელებინა საქართველოს ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელიც «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის, როგორც სადავო პერიოდში, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, წარმოადგენს იმ კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა პენსიების გაცემაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვაზე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის 1993 წლის 27 სექტემბრის №-83 ბრძანებით მ. წ-ძეს მიენიჭა მოსამართლის მე-3 საკვალიფიკაციო კლასი.

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 8 თებერვლის №-132-III დადგენილებით მ. წ-ძე არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2000 წლის 18 თებერვლის №-5 ბრძანებით შეუდგა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას.

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №-1108- I ს დადგენილებით მ. წ-ძეს ვადაზე ადრე შეუწყდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2005 წლის 19 მაისის №-35-3 & 5 ბრძანებით, 2005 წლის 11 მარტიდან დაენიშნა სამისდღემშიო პენსია ხელფასის სრული ოდენობით.

2006 წლის 1 მაისს მ. წ-ძემ სასარჩელო განცხადების საფუძველზე მოითხოვა საკვალიფიკაციო კლასისათვის განსაზღვრული სახელფასო დანამატის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და მიიჩნია, რომ მ. წ-ძის მოთხოვნა ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო პერიოდულად შესასრულებელ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების ათვისების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და განმარტავს: ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირმა, რომლის უფლებაც დაირღვა, შეიძლება მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას. თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. იმის გათვალისწინებით, რომ ვადის გასვლით იფარება პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, კანონმდებელი სხვადასხვა სახის მოთხოვნისათვის ითვალისწინებს ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს.

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ამ შემთხვევაში, თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის

უფლებას და თითოეული მათგანისათვის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის ათვლა იწყება დამოუკიდებლად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეწყო 2000 წლის 8 თებერვლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც მ. წ-მე არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად.

იმავედროულად, საკასაციო სასამართლო არსებით ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლით განისაზღვრა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილეს, მოადგილეებსა და წევრებს ეძლევათ დანამატი საკვალიფიკაციო კლასისათვის და წელთა ნამსახურობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

«საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ» საქართველოს 23.12.05 წლის №-2479 ორგანული კანონის საფუძველზე «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» კანონიდან ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული 30-ე მუხლი და შესაბამისად, გაუქმდა საკვალიფიკაციო კლასზე სახელფასო დანამატის გადახდის წესი. მითითებული კანონი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

ამდენად, საკვალიფიკაციო კლასზე სახელფასო დანამატის მიღების უფლების დამდგენი ნორმა არსებობდა 2006 წლის 1 იანვრამდე. მ. წ-მემ საკვალიფიკაციო კლასზე სახელფასო დანამატის გაანგარიშებისა და გადახდის მოთხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა 2006 წლის 14 მარტს (იმავე წლის 17 იანვრის მიმართვა მსგავს მოთხოვნას არ შეიცავს), ხოლო სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2006 წლის 1 მაისს.

საგულისხმოა, რომ მ. წ-მეს თავისი უფლების რეალიზაცია არ მოუხდენია კანონის მოქმედების პერიოდში, ამდენად, კანონით მინიჭებული უფლება მისი არსებობის პერიოდში (2005 წლის 23 დეკემბრის კანონით განხორციელებულ ცვლილებამდე) მოსარჩელის მიერ გამოყენებული არ ყოფილა, შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც «საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ» საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებათა შეტანის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონით განხორციელებული ცვლილებით გაუქმდა იმავე კანონის 30-ე მუხლი, შესაბამისად, გაუქმდა სახელფასო დანამატის მიღების უფლება, რაც ნიშნავს ამ უფლების შემდგომი რეალიზაციის შესაძლებლობის გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: კანონით მინიჭებული უფლების არსებობა არ ავალდებულებს პირს გამოიყენოს ეს უფლება. ამ შემთხვევაში წინაა წამოწეული ნების პრეზუმფცია, რაც ემყარება პირის ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპს და ნიშნავს იმას, რომ პირს შეუძლია ეს უფლება გამოიყენოს ან უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. იმავედროულად არსებითია, რომ უფლების რეალიზების მოთხოვნა დროში ემთხვეოდეს უფლების არსებობის მომენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნას ეცლება კანონისმიერი საფუძველი, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოხდა წინამდებარე შემთხვევაში.

აღნიშნული გარემოების მტკიცების საფუძველს საკასაციო სასამართლო აძლევს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განხორციელოს რაიმე ქმედება. რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა ემყარებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ნორმას, რაც მას მისცემს მითითებული ქმედების განხორციელების უფლებას. საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის პერიოდში, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა საკანონმდებლო ნორმა, რაც მას მისცემდა მოთხოვნილი დანამატის გაცემის შესაძლებლობას, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონის ნორმის მოქმედების პერიოდში მოსარჩელის მხრიდან შესაბამისი დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო, არ წარმოშობია მისი რეალიზების უპირობო ვალდებულება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. წ-მის მოთხოვნას სარჩელის წარდგენის პერიოდში არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი რაც იძლევა მისი სარჩელის უარყოფის საფუძველს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში საკასაციო სასამართლო მოკლებულია პროცესუალურ უფლებამოსილებას, იმსჯელოს ამ უკანასკნელისათვის დაკისრებული თანხის კანონიერებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის მ. წიქავაძის სასარგებლოდ 2003 წლის 14 მარტიდან 2005 წლის 11 მარტამდე პერიოდის თანამდებობრივ განაკვეთზე მესამე საკვალიფიკაციო კლასის დანმატის - თვეში 26 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. წ-ძის სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის საკვალიფიკაციო კლასის დანმატის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-1246-1208(კ-08) 28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: კვების კომპენსაციის - 491,56 ლარის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ა-ძემ 22.11.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხის სასარგებლოდ 992 ლარის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1999-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კლინიკურ სამხედრო ჰოსპიტალში, ზოგადი ქირურგიის განყოფილებაში დიასახლისად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კლინიკური სამხედრო ჰოსპიტალის რეორგანიზაციის გამო 2007 წელს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. გაათავისუფლებისას საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არ მოახდინა მასთან კანონით გათვალისწინებული სრული საფინანსო ანგარიშსწორება. საბოლოო ანგარიშსწორების მოთხოვნით 09.11.07წ. განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, რაზეც წერილობით უპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აღიარებდა აღნიშნული დავალიანების არსებობას, მაგრამ უარს აცხადებდა მის ანაზღაურებაზე, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.07წ. გადაწყვეტილებით ნ. ა-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე ნ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 922,71 ლარის ანაზღაურება. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup> მუხლის დებულებებზე, რომლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გაათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. სახელმწიფო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების არსებობას, გარდა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მითითებული ნორმისა, აღიარებდა 2005 წლის და ყოველი მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით. ამასთან, საქმეში დაცულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის წერილი ნ. ა-ძისადმი, რომლითაც მოპასუხე - ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს მის მიმართ არსებულ იმ დავალიანებას, რაც განსახილველი სარჩელით აქვს მოთხოვნილი მოსარჩელეს და იძლევა დაპირებას მის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული წერილი მიიჩნია ვალის აღიარებად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რაც თავის მხრივ საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ ნ. ა-მე ითხოვს 1999-2000 წლების მიუღებელი ხელფასისა და კვების კომპენსაციის - 922,71 ლარის ანაზღაურებას. კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულობა, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუმცა სასამართლოს კანონის ეს ნორმა არ გამოუყენებია. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემული 19.10.07წ. №-3-11/8009 ცნობა ვერ ჩაითვლებოდა მოპასუხის მხრიდან ვალდებულების აღიარებად, რადგან მითითებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტად კანონსაწინააღმდეგოა, რადგან მას ინფორმაციული ხასიათი აქვს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე. საკასაციო საჩივარი ნ. ა-მის სასარგებლოდ ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. ა-მის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 491,56 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ნ. ა-მის სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეხამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ხანდაზმულობის გამომრიცხავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1999-2000 წლების კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (22.11.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 19.10.07წ., №-3-11/8009 ცნობა, რომლის თანახმად 1999-2000 წ.წ. პერიოდში ნ. ა-მის კუთვნილი კვების კომპენსაციის ოდენობა შეადგენს 491,56 ლარს, არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ცნობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე

განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 12.11.07წ. წერილს, ამ წერილით აღიარებულია სახელფასო დავალიანება, რომლითაც არ არის მოცული კვების კომპენსაცია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მოსარჩელე ნ. ა-ძის სასარგებლოდ უნდა დეკისროს 431 ლარი და 15 თეთრი, მათ შორის სახელფასო დავალიანება - 271 ლარი და 10 თეთრი, ჯილდო - 160 ლარი და 05 თეთრი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.07წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ნ. ა-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 491,56 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ნ. ა-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 491,56 ლარის დაკისრების ნაწილში;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.07წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 431 ლარი და 15 თეთრი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამივილინებო და ბინის ქირის თანხების ანაზღაურების ხანდაზმულობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#-ბს-33-33(კ-08) 8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ცისკაძე**

**სარჩელის საგანი:** სახელფასო დავალიანების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ბინის ქირის კომპენსაციის, ხელფასზე დანამატისა და სამივილინებო თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 10 აპრილს გ. კ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობდა 1990 წლის 1 აგვისტოდან, ჰქონდა უფროსი ოფიცრის სამხედრო წოდება «მაიორი» და შეიარაღებული ძალების რიგებში სამსახურის 15 წელზე მეტი სტაჟი, იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, შეიარაღებული ძალების რიგებში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #3264 ბრძანებით მოსარჩელე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა სახელფასო, სამივილინებო, ბინის ქირისა და სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხების დავალიანება, რომელთა დაფარვას დაჰპირდნენ სათანადო თანხების გამოყოფის შემთხვევაში.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2006 წლის 9 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა #82 ბრძანება გასული პერიოდის დავალიანების დაფარვის შესახებ, რომელშიც

აღინიშნა მხოლოდ იმ პირთა დავალიანებების დაფარვის პირობები, რომლებიც იმ დროისათვის მსახურობდნენ შეიარაღებული ძალების რიგებში. სამსახურიდან დათხოვნილ პირთა დავალიანებების დაფარვის საკითხი კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო, რითაც შეილახა მოსარჩელის უფლებები.

მოსარჩელის განმარტებით, მან არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა გაეცათ 2004-2005 წლების ცნობა, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების მე-8 მუხლით დამტკიცებული, სამხედრო მოსამსახურეთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფის შესახებ და ამავე ბრძანებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ფორმის ტანსაცმლის ფულადი კომპენსაციის მისაღებად, რაც ყოველთვის უპასუხოდ რჩებოდა. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №-47 ბრძანებულების თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან სამხედრო მოსამსახურეთა ფულად სარგოში შევიდა დანამატი, რომელსაც მოსარჩელის აშშ-ში სასწავლო მივლინებაში ყოფნის დროს ფულად სარგოზე, გაურკვეველი მიზეზის გამო, არ არიცხავდნენ. დანამატის დაურიცხველობისა და აშშ-ში სასწავლო მივლინებაში გამგზავრებიდან შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნამდე დარიცხული თანხის ოდენობის გარკვევის მიზნით, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა მოპასუხეს, რაც ასევე იქნა უპასუხოდ დატოვებული. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელეზე არ გასცა სხვადასხვა დავალიანების შესახებ ცნობები, რის გამოც მოსარჩელემ სარჩელში ვერ შეძლო დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელის წინაშე არსებული დავალიანებების შესახებ ცნობების წარმოდგენისა და აღნიშნული დავალიანებების ანაზღაურების დაკისრება.

2007 წლის 14 მაისს მოპასუხემ საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარადგინა შესაგებელი და განმარტა, რომ 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების შესახებ მოთხოვნის ნაწილში, რაც ასახული იყო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის ბატალიონის 2006 წლის 21 ნოემბრის №-1/2093 ცნობაში, არ ცნობდა სარჩელს, ვინაიდან მოპასუხე იმყოფებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის სრულ კმაყოფაზე და მისი დაფინანსება ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამავე დროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული თანხები აღნიშნული სახის დავალიანების დასაფარად. რაც შეეხებოდა დასახელებულ ცნობაში განსაზღვრულ კვარტალურ ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და ბინის ქირის თანხების ანაზღაურებას, ამასთან დაკავშირებით, შესაგებლის ავტორმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პერიოდულად გასაცემ თანხებს, რის გამოც სარჩელის ამ მოთხოვნაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

მოპასუხის განმარტებით, ასევე უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა ბინის ქირის ანაზღაურების შესახებ, იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს არც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის და არც სასამართლოსათვის არ წარუდგენია ბინის ქირავნობის ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები.

შესაგებლის ავტორმა ასევე არ ცნო სარჩელი მივლინებაში ყოფნის დროისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №-47 ბრძანებულებით განსაზღვრული დანამატის - 1800 ლარის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების 41-ე მუხლის თანახმად, სასწავლებლად (გრძელვადიანი მივლინებით) სხვა სახელმწიფოში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებელი იყო მისცემოდათ თანამდებობრივი სარგო, როგორც ამ ქვეყნის, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, თუ ანაზღაურების სხვა პირობები არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისი ქვეყნის ვალუტით ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ამდენად, საუბარი იყო მხოლოდ თანამდებობრივ სარგოზე და არა სხვა რაიმე დანამატზე.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოთხოვნა 2002-2004 წლებში სამივლინებო თანხებისა და 2004-2005 წლების სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ, რადგან თავდაცვის სამინისტროში გ. კ-ძის მიმართ ამ სახის დავალიანება არ დაფიქსირებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელე გ. კ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 1260,32 ლარის, სანივთე ქონების - 1236,94 ლარის, ბინის ქირის კომპენსაციის - 2306,10 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით - 1800 ლარის, სამივლინებო თანხის - 411,12 ლარისა და სასამართლო ხარჯების - 50 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ... სამმართველოს უფროსის 2004 წლის 15 აპრილის №-905 ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კ-ძე 1998 წლის 17 აპრილიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობაზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 18 მაისის №-1/123 ბრძანებით, სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ... ოპერატიული სამმართველოს სამხედრო მოსამსახურე გ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა ამავე სამმართველოში (№-8/476-01 შტატი). საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის №-3264 ბრძანებით გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სწრაფი რეაგირების ძალების

... ოპერატიული სამმართველოს უფროსის ინსპექტორი, მაიორი გ. კ-მე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, 2005 წლის 14 დეკემბრიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვით და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 9 აგვისტოს №-189 ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ს/ნ 04117-ის შტაბის უფროსის, გ. კ-ძის სარგო სამხედრო წოდებისათვის შეადგენდა 4,53 ლარს, თანამდებობისათვის - 40,22 ლარს, პროცენტული დანამატი ნამსახურობისათვის - 8,95 ლარს, კვება - 59,00 ლარს, სულ 112,70 ლარს. მოსარჩელე სამხედრო ნაწილიდან ფულადი დანამატით დაკმაყოფილებული იყო 2001 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

საქმეში წარმოდგენილი სახელფასო უწყისებით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1998-1999 წლებში გ. კ-ძისათვის უწყისით გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარება შეადგენდა 83,54 ლარს, 1998 წლის ოქტომბრის და დეკემბრის, 1999 წლის ივლისის და ოქტომბრის, 2000 წლის აპრილის კვარტალური ჯილდო - 177,08 ლარს, 1999 წლის აგვისტო-ნოემბრის და 2000 წლის 4 თვის - აპრილის, მაისის, ივნისის, ოქტომბრის ხელფასი - 434,66 ლარს, 1999 წლის ივნისი-ოქტომბრის და 2000 წლის მარტი-მაისისა და სექტემბრის კვების კომპენსაცია - 475,54 ლარს.

სასამართლომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის ბატალიონის №-04116 სამხედრო ნაწილის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2006 წლის 28 მაისს გაცემული №-1/500 ცნობით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კ-ძის 1998-2000 წლების დავალიანება შეადგენდა: 1998 წლის ბინის ქირა - 41,16 ლარს, კვარტალური ჯილდო - 65,42 ლარს, 1999 წლის ხელფასი - 161,10 ლარს, კვების კომპენსაცია - 354 ლარს, კვარტალური ჯილდო - 89,50 ლარს, 2000 წლის ხელფასი - 214,80 ლარს, სულ დარიცხული იყო 1181,98 ლარი. საქმეში წარმოდგენილი ცნობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ს/ნ №-07747 მაიორ გ. კ-ძის ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების კომპენსაცია შეადგენდა 1236,94 ლარს. მოსარჩელე გ. კ-მე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №-1/473 ბრძანებით გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და მივლინებულ იქნა აშშ-ში, ინგლისური ენის კურსზე, 2004 წლის 14 ივლისიდან 2005 წლის 14 აგვისტომდე - ბალტიის თავდაცვის კოლეჯში, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2005 წლის 11 აგვისტოს №-107 პ/შ ბრძანებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. კ-ძეს სასწავლო მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, 2005 წლის 29 ივნისიდან მიეცა ორმოცდახუთდღიანი შვებულება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის 2004 წლის 16 აპრილის №-929 ცნობით დადგენილი იყო, რომ გ. კ-ძის ოჯახი იმ დროისათვის შედგებოდა ხუთი სულისაგან.

საქმეში ასევე წარმოდგენილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ... ოპერატიული სამმართველოს საერთო დაგეგმარების ჯგუფის ოფიცრის - გ. კ-ძის პატაკი ბინის რიგში აყვანის მოთხოვნით, საიდანაც დგინდებოდა, რომ 1990 წლიდან მისი ოჯახი შედგებოდა ხუთი წევრისაგან (მათ შორის, სამი ბავშვი), მოსარჩელე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში. ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 6 ივნისს გაცემული №-132 ცნობით დგინდებოდა, რომ გ. კ-ძეს, მცხოვრებს ... II მ/რ, კორპ. 34, ბინა 11-ში, ბიუროში არსებული ჩანაწერებით, პირად საკუთრებაში სახლი არ ერიცხებოდა.

საქმეში არსებული განცხადებებით მოპასუხისადმი, საფოსტო გზავნილების ჩაბარების დასტურებით და მასზე გაცემული პასუხებით საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. კ-ძემ არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მასზე რიცხული დავალიანებების თაობაზე ცნობების გაცემის მოთხოვნით, რაც მოპასუხის მიერ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. კ-ძეს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას მიუღებელი დარჩა კუთვნილი თანხები, კერძოდ, 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რასაც ასევე არ უარყოფდა მოპასუხე მხარე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით, საჯარო მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელი (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. საქართველოს შრომის კანონის 31-ე მუხლი ადგენდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, დამსაქმებელი ვალდებული იყო, დასაქმებულთან მოეხდინა საბოლოო ანგარიშსწორება, არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა. საქმეში წარმოდგენილი 1998-2000 წლების გ. კ-ძისათვის გასაცემი თანხების (ხელფასი, ერთჯერადი მატერიალური დახმარება, კვების ჯილდო) უწყისებზე დაყრდნობით, მოსარჩელის მოთხოვნა

სახელფასო დავალიანების - 1260,32 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია საფუძვლიანად.

საქალაქო სასამართლომ ასევე საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა თანამდებობრივი სარგოს - ხელფასის დანამატის - 1800 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში, იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულებაში 2005 წლის 24 იანვრის №-47 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა №-1 დანართი. სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ყოველთვიური ფულადი სარგო განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს, წოდებრივი სარგოსა და დანამატების კატეგორიებით. ამასთან, ამავე ბრძანებულებას 2006 წლის 22 აგვისტოს შეტანილი №-500 ბრძანებულებით დაემატა მე-5<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმადაც, სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი სარგო განისაზღვრა თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოებით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულებით დადგენილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები. აღნიშნული ბრძანებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სასწავლებლად წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან და წარგზავნილი იყო მსმენელად სხვადასხვა სასწავლებელში, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდებოდა ფულადი სარგოები, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, სასურსათო ულუფისა და ფორმის ტანსაცმლის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მითითება ამავე ბრძანებულების 41-ე მუხლზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული მე-40 მუხლი ადგენდა სასწავლებლად წარგზავნილი სამხედრო მოსამსახურის მატერიალური უზრუნველყოფის წესს, ხოლო მის მიერ მითითებული 41-ე მუხლი მხოლოდ განსაზღვრავდა სხვა სახელმწიფოში მივლინებულ პირთათვის (სამხედრო მოსამსახურე, სამოქალაქო პირი) ეროვნული ან ამ სახელმწიფოს ვალუტით თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების შესაძლებლობას, თუ ანაზღაურების სხვა პირობები არ იყო დადგენილი. მოპასუხე მხარის მიერ იმავე ბრძანებულების 41-ე მუხლზე აპელირება სასამართლომ მიიჩნია უსაფუძვლოდ, ვინაიდან აღნიშნული ნორმა მხოლოდ აკონკრეტებდა ასანაზღაურებელი თანხის გაცემის წესს მივლინების სპეციფიკურობიდან (სხვა სახელმწიფო) გამომდინარე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომით ურთიერთობაში ყოფნის პერიოდში, განსხვავებით იმაყმად მოქმედი ბრძანებულებით განსაზღვრული ფულადი სარგოებისა, სამხედრო მოსამსახურის ფულადი სარგო შედგებოდა სამი კომპონენტისაგან. გ. კ-მე 2004 წლის 19 ივლისიდან 2005 წლის 28 ივნისამდე იმყოფებოდა აშშ-ში სასწავლო მივლინებით, აყვანილი იყო კადრების განკარგულებაში, ამასთან, დადგენილი იყო, რომ აღნიშნულ პერიოდში კაპიტნის წოდებისათვის დამატებითი კატეგორიის დანამატი, გარდა თანამდებობრივი და ფულადი სარგოებისა, შეადგენდა 180 ლარს. სასწავლო მივლინებაში ყოფნის პერიოდში მას უნარჩუნდებოდა და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებოდა ფულადი სარგოს სამივე შემადგენელი ნაწილით გათვალისწინებული თანხა.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ის სამართლებრივი ნორმა, რამაც სხვაგვარად მოაწესრიგა მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობა და, რაც მიღებულ იქნა მისი დასრულების შემდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასევე უნდა დაკისრებოდა გ. კ-მისათვის სასწავლო მივლინებაში ყოფნისას 10 თვის მიუღებელი სახელფასო დანამატის, 1800 ლარის, ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიაჩნია, რომ მოსარჩელე გ. კ-მე 2002-2004 წლებში იმყოფებოდა მივლინებებში, კერძოდ: 18.06.2002 წ. - 01.07.2007 წ. №-114 და №-125 ბრძანებებით მივლინებით იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, 20.02.2002 წ. - 01.03.2002 წ. №-25 და №-31 ბრძანებებით - კოდორში, 16.04.2003 წ. - 20.04.2003 წ. №-31 და №-34 ბრძანებებით - გორში, 24.06.2003 წ. - 11.07.2003 წ. №-59 და №-70 ბრძანებებით ტექნიკური დაზვერვის ბატალიონში, 16.09.2003 - 13.10.2003 წ. №-104 და №-117 ბრძანებებით - ახალციხეში, 26.02.2004 - 01.04.2004 წ. №-71 ბრძანებით ვაზიანში, 21.04.2004 წ. - 29.04.2004 წ. №-60 ბრძანებით ვაზიანში, 05.05.2004 წ. - 05.07.2004 წ. №-68 და №-99 ბრძანებებით - ვაზიანში, 03.05.2004 წ. №-75 ბრძანებით - ისევ ვაზიანში. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდებოდა მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ სადავოდ არ მიიჩნია მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი თანხის - 411,12 ლარის ოდენობა და მოპასუხეს დააკისრა მისი ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. კანონის აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში იყო საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების ის



პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებდა სამხედრო მოსამსახურეთათვის დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე სასურსათო ულუფის და ფორმის ტანსაცმლის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემას, კერძოდ, დასახელებული ბრძანებულების მე-5 მუხლით სამხედრო მოსამსახურეებს დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდათ სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციები, ამავე ბრძანებულების მე-8 მუხლით დამტკიცებული იყო ბრძანებულების №-3 დანართი, რომლითაც დადგინდა სამხედრო მოსამსახურეთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ საქმის განხილვისას წარმოდგენილი იყო ცნობა - სანივთე ატესტატი, რომელშიც ასახული იყო გ. კ-ძისათვის ნორმით გათვალისწინებული მიუღებელი სანივთე ქონების რაოდენობა, სახეობა, თანხობრივი რაოდენობა. აღნიშნული ცნობით, საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. კ-ძეს 2004-2005 წლებში მიუღებელი ჰქონდა მასზე ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონება, რომლის კომპენსაცია შეადგენდა 1236,94 ლარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, დასახელებულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, ქმნიდა სარჩელის მოთხოვნის ამ ნაწილის დაკმაყოფილების საფუძველს. გ. კ-ძეს უნდა ანაზღაურებოდა ფორმის ტანსაცმლის შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ბინის ქირის ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელეს არც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის და არც სასამართლოში არ წარუდგენია ბინის ქირავნობის ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები. ბინის ქირის კომპენსაცია გაიცემოდა «საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, სამთავრობო დაცვის სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო და მუშა-მოსამსახურეთა ფულად ანაზღაურებაზე დანამატებისა და სხვა სოციალური შეღავათების დაწესების შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის №-796-44 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულების 46-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის შესახებ. 1998 წელს მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ის დოკუმენტაცია, რაც აღნიშნული სამსახურის მიერ ბინის ქირის თანხის კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურებისათვის იყო საჭირო, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მასალებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. კ-ძემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურში წარადგინა ცნობა ოჯახის შემადგენლობის, ასევე მისი პატაკი ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით და ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობის პერიოდში, პირად საკუთრებაში არ გააჩნდა საცხოვრებელი ბინა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. კ-ძისათვის ბინის ქირის ოდენობა შეადგენდა თვეში 32 ლარს. მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე გ. კ-ძეს შრომითი ურთიერთობის პერიოდში აუნაზღაურდა კანონმდებლობით დადგენილი შეღავათი - ბინის ქირის კომპენსაცია. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. კ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობისას მიუღებელი ჰქონდა ბინის ქირის კომპენსაცია შემდეგი პერიოდისათვის: 1998 წლის 4 თვე - 131,72 ლარი, 1999 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2000 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2001 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2002 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2003 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2004 წლის 12 თვე - 198,53 ლარი, სულ გასაცემმა თანხამ შეადგინა 2306,10 ლარი. საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნა მიიჩნია დასაბუთებულად და საფუძვლიანად.

რაც შეეხებოდა მოპასუხის მითითებას კვარტალური ჯილდოს, კვების კომპენსაციის და ბინის ქირის თანხების ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულობის სამწლიან ვადაზე, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებაზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტები შემოდგომული იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (მუხლი 129) და მოქმედებდა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში. მოსარჩელე გ. კ-ძე, როგორც სამხედრო მოსამსახურე, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და ეს ურთიერთობები რეგულირდებოდა საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტით - «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა კი შეეხებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მოსარჩელე გ. კ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა დაიწყო და დასრულდა საჯარო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით. ამდენად, ამ სასარჩელო მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამასთან, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით რეგულირებულ მოთხოვნათა უფლების რეალიზების შესაძლებლობა, ასევე არ იყო შეზღუდული დროის კონკრეტული პერიოდით.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა თავისი კუთვნილი თანხების მისაღებად წარმოებული მიმოწერისას გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული სასამართლომ მიაჩნია საკმარის მტკიცებულებად, სასარჩელო მოთხოვნის – ადმინისტრაციული დავისას გაწეული ხარჯის – 50 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა სასამართლო ხარჯების სახით 50 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, შეიცვალა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სარჩელი მოპასუხისათვის სასამართლო ხარჯების – 50 ლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტში 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების დასაფარად განსაზღვრული არ იყო შესაბამისი თანხები და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებული იყო ამ სახის თანხების გაცემის შესაძლებლობას. აღნიშნული მოსაზრება, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იყო უსაფუძვლო, რადგან მხოლოდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით არ იყო გათვალისწინებული სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება, როდესაც თავად დავალიანების არსებობა სადავო არ იყო (საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის ბატალიონი ს/ნ 04116 2006 წლის 28 მარტით და 21 ნოემბრით დათარიღებული ცნობებით პირდაპირ იყო მითითებული გ. კ-ძის მიმართ 1998-2000 წლებში არსებული «სახელფასო დავალიანების შესახებ»), ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე, მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ კვარტალური ჯილდო, კვების კომპენსაცია და ბინის ქირის თანხები იყო პერიოდულად გასაცემი და არ შედიოდა სახელფასო თანხებში, რის გამოც სასამართლოს უნდა ემსჯელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისათვის განსაზღვრული მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიან ვადაზე. აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე, როგორც სამხედრო მოსამსახურე, შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და ეს ურთიერთობები რეგულირდებოდა საჯარო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები შეეხებოდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის კი დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა დაიწყო და დასრულდა საჯარო-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სამართალურთიერთობაზე მაინც უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ინსტიტუტი, მაშინ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საერთო ხანდაზმულობის ვადა – 10 წელი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლომ უკანონოდ იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ დარჩენილი პერიოდის ბინის ქირის დაკისრების ნაწილში, ვინაიდან მას არ ჰქონდა წარმოდგენილი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები, რომლებიც სამართლებრივად მოაწესრიგებდა ამ საკითხს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ ბინის ქირის კომპენსაცია გაიცემოდა «საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, სამთავრობო დაცვის სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო და მუშა-მოსამსახურეთა ფულად ანაზღაურებაზე დანამატებისა და სხვა სოციალური შეღავათების დაწესების შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილების შესაბამისად, ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 46-ე პუნქტის თანახმად, სახელმწიფომ იკისრა სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის ვალდებულება. საქმის მასალებით დადგენილი

იყო, რომ 1998 წელს მოსარჩელემ წარადგინა ის დოკუმენტაცია, რაც კანონმდებლობით იყო დაწესებული. საქმეში წარმოდგენილი იყო გ. კ-ძისათვის ბინის ქირის კომპენსაციის გაწერის უწყისი 1998 წლის სექტემბრის მდგომარეობით. მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში ან შემდეგ, მთლიანად აუნაზღაურდა კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათი - ბინის ქირა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს მივლინებაში ყოფნის დროისათვის დანამატის სახით 1800 ლარი არ უნდა ანაზღაურებოდა იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 41-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს უნდა მისცემოდათ თანამდებობრივი სარგო, როგორც ამ ქვეყნის, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, თუ ანაზღაურების სხვა პირობები გათვალისწინებული არ იყო. მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 41-ე მუხლი, როგორც ამას აპელანტი მიუთითებდა, არამედ ხსენებული ბრძანებულების მე-40 მუხლი, რომლის შესაბამისად, სასწავლებლად წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ დაკავებული თანამდებობიდან და წარგზავნილნი იყვნენ მსმენელებად სხვადასხვა სასწავლებლებში, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდებოდათ ფულადი სარგოები, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, სასურსათო ულუფისა და ფორმის ტანსაცმლის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2002-2004 წლებში მოპასუხეს გ. კ-ძის მიმართ არ გააჩნდა სამივლინებო თანხების დავალიანება. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004-2005 წლებში არ ჰქონდა მოსარჩელის მიმართ სანივთე ქონების საკომპენსაციო დავალიანება. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოპასუხის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 43401 სამხედრო ნაწილის მიერ 2006 წლის 1 იანვარს გაცემული ცნობის მიხედვით, მოსარჩელეს მისაღები ჰქონდა ფორმა-ტანსაცმლის კომპენსაცია 1236,94 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული დავისას გაწეული ხარჯის - 50 ლარის ანაზღაურება, იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. გ. კ-ძის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა, რომ მისი მხრიდან რეალურად იყო ხსენებული ხარჯები გაწეული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა - სახელფასო დავალიანების - 1260,32 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით - 1800 ლარის, ბინის ქირის კომპენსაციის - 2306,10 ლარის, სამივლინებო თანხის - 411,12 ლარის და ფორმა-ტანსაცმლის კომპენსაციის - 1236,94 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე არ დაკმაყოფილდებოდა.

კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის დაკმაყოფილებაზე და არასწორად განმარტა კანონი. დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. კ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-2000 წლების მიუღებელი სახელფასო თანხის დაკისრების თაობაზე. გ. კ-ძეს სამსახურიდან დათხოვნისას მიუღებელი დარჩა 1998-2000 წლების მდგომარეობით ხელფასი - 1260,32 ლარი.

კასატორის განმარტებით, ხელფასის გაცემა შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებაა და შესაბამისად, მასზე უნდა გავრცელდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადები.

კასატორი აღნიშნავს, რომ გ. კ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას ადასტურებს გ. კ-ძის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობის დამყარებისას წერილობითი ნების გამომჟღავნება - სამსახურში მიღების განცხადების სახით და მისი საპასუხო წერილობითი აქცეპტი, ბრძანება მისი ოფერტის დაკმაყოფილების შესახებ. კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს, ხელშეკრულების დადებისას კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტი იქნეს გაფორმებული. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

კასატორის განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანების აუცილებელი რეკვიზიტია თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი და დანამატები (ანუ ხელფასი). ამდენად, უდავოა, რომ ხელფასი საჯარო მოსამსახურესთან მიმართებაში წარმოადგენს იმ წერილობითი დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ადასტურებს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობას. ასეც რომ არ იყოს, შრომის კანონმდებლობა არ ავალდებულებს ადმინისტრაციას, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას აუცილებლად დაიცვას გარიგების წერილობითი ფორმა, ხოლო 2000 წლამდე არც ადმინისტრაციული გარიგებისადმი არსებული მოთხოვნები არსებობდა (სარჩელი შეეხება 1998-2000 წლების ხელფასს, ანუ შრომითი ხელშეკრულებაც 2000 წლამდე წარმოიშვა).

კასატორის განმარტებით, ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა. უფრო მეტიც, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში სასამართლოში უნდა წარდგენილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს არ მიეცა ხელფასი, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სამი წლის ვადაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, რომლის ვადა აითვლება ყოველი თვის ხელფასის გაცემისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ მივლინებაში ყოფნის დროისათვის ხელფასზე დანამატის - 1800 ლარის დაკმაყოფილების ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი. დადგენილია, რომ გ. კ-მე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანებით იმყოფებოდა აშშ-ში, ინგლისური ენის კურსზე, გრძელვადიან სასწავლო მივლინებაში, ფულადი სარგოს შენარჩუნებით.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 41-ე მუხლის თანახმად, სასწავლებლად (გრძელვადიანი მივლინებით) სხვა სახელმწიფოში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება მიეცეთ თანამდებობრივი სარგო, როგორც ამ ქვეყნის, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, თუ ანაზღაურების სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული. შესაბამისი ქვეყნის ვალუტით ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. მითითებულ ნორმაში კი საუბარია მხოლოდ თანამდებობრივ სარგოზე და არა სხვა რაიმე დანამატზე. დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანებით გ. კ-მე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და წარგზავნილ იქნა მივლინებაში. ამავე ბრძანებით მივლინებაში ყოფნის დროისათვის განესაზღვრა ანაზღაურება თანამდებობრივი ფულადი სარგოს შენარჩუნებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გ. კ-მის მიერ გასაჩივრებული არ არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #1/473 ბრძანება, რომლითაც მას შეუენარჩუნდა მხოლოდ თანამდებობრივი სარგო.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულებით განსაზღვრული დანამატები იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან თანამდებობიდან და სხვა ქვეყანაში სასწავლებლად მივლინებაში იმყოფებიან, არ ვრცელდება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ბინის ქირისა და სამივლინებო თანხის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ბინის ქირის თანხის მოთხოვნის ნაწილში მისი სარჩელის საფუძვლიანობას. საქმეში არ არსებობს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება (ქირავნობის ფაქტის დასადასტურებლად), არ არსებობს მონაცემი, თუ რა ოდენობის თანხას იხდიდა მოსარჩელე ბინის ქირისათვის და სხვა მტკიცებულებები.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია 2002-2004 წლების სამივლინებო თანხის დაკისრების ნაწილში. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ამ

მოთხოვნას კანონიერს გახდის, უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილია (2007 წლის 1 მაისის #–552 წერილი) მტკიცებულება, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის მიმართ არანაირი სამივილინებო დავალიანებები არ გააჩნია.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ სანივთე ქონების კომპენსაციის დაკმაყოფილების ნაწილში და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

კასატორის განმარტებით, დადგენილია, რომ გ. კ-მე შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილია 2005 წლის 19 დეკემბერს, სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2006 წლის 10 აპრილს, სასარჩელო მოთხოვნა კი ეხება 2004–2005 წლების სანივთე კომპენსაციას. მოსარჩელეს უფლება არ ჰქონდა, მოეთხოვა 2004–2005 წლების სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება, რადგან მოსარჩელე სარჩელის შეტანის დროისათვის სამხედრო მოსამსახურეს აღარ წარმოადგენდა, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით, სანივთე ქონება ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია ეძლევათ მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი 2007 წლის 11 მაისის ცვლილებამდე. დასახელებული ნორმით კომპენსაციის მიღების უფლება ჰქონდათ სამხედრო მოსამსახურეებს. სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელე გ. კ-მე აღარ იყო სამხედრო მოსამსახურე, შესაბამისად, მოსარჩელეს სარჩელის შეტანის დროს არ ჰქონდა სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. უფრო მეტიც, მოსარჩელე გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან და მას მხოლოდ შენარჩუნებული ჰქონდა თანამდებობრივი სარგო, გათავისუფლებული პირი კი არ შეიძლება იმყოფებოდეს სანივთე კმაყოფაზე და ამას ადასტურებს ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 8 მაისის #–3–11/2681 წერილობითი მტკიცებულება, რომლიდანაც ირკვევა, რომ გ. კ-მის მიმართ 2004–2005 წლებში მიუღებელი სანივთე ქონების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, ანუ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ რაიმე სახის დავალიანება არ გააჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 25 იანვრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 13 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების (ფორმა–ტანსაცმლის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გ. კ-მისათვის სახელფასო დავალიანების – 1260,32 ლარისა და სანივთე ქონების (ფორმა–ტანსაცმლის) კომპენსაციის – 1236,94 ლარის ანაზღაურების ნაწილში; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ბინის ქირის კომპენსაციის – 2306,10 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით – 1800 ლარისა და სამივილინებო თანხის – 411,12 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და ამ ნაწილში საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2008 წლის 8 მაისს, მხარეთა დასწრების გარეშე; მოწინააღმდეგე მხარეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცა 14 დღის ვადა იმავე განჩინების ჩაბარებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2007 წლის 11 ივლისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება–დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი სახელფასო დავალიანებისა და სანივთე ქონების (ფორმა–ტანსაცმლის) კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და ამ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ბინის ქირის კომპენსაციის - 2306,10 ლარის, ხელფასზე დანამატის სახით - 1800 ლარისა და სამივლინებო თანხის - 411,12 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამდენად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს გ. კ-ძისათვის მხოლოდ ბინის ქირის კომპენსაციის, ხელფასზე დანამატისა და სამივლინებო თანხის ანაზღაურების საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ... სამმართველოს უფროსის 2004 წლის 15 აპრილის #-905 ცნობის მიხედვით, გ. კ-ძე 1998 წლის 17 აპრილიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 18 მაისის #-1/123 ბრძანებით სწრაფი რეაგირების ძალების შტაბის ... ოპერატიული სამმართველოს სამხედრო მოსამსახურე გ. კ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა ამავე სამმართველოში (#-8/476-01 შტატი). საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 დეკემბრის #-3264 ბრძანებით გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სწრაფი რეაგირების ძალების ... ოპერატიული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, მაიორი გ. კ-ძე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2005 წლის 14 დეკემბრიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვით და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით) «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 9 აგვისტოს #-189 ცნობის თანახმად, ს/ნ 04117-ის შტაბის უფროსის, გ. კ-ძის სარგო სამხედრო წოდებისათვის შეადგენდა 4,53 ლარს, თანამდებობისათვის - 40,22 ლარს, პროცენტული დანამატი ნამსახურობისათვის - 8,95 ლარს, კვება - 59 ლარს, სულ 112,70 ლარს, ამასთან, მოსარჩელე სამხედრო ნაწილიდან ფულადი დანამატით დაკმაყოფილებული იყო 2001 წლის 30 აპრილის ჩათვლით. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ლოგისტიკის ბატალიონის #-04116 სამხედრო ნაწილის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2006 წლის 28 მაისს გაცემული #-1/500 ცნობის მიხედვით, გ. კ-ძის 1998-2000 წლების დავალიანება შეადგენდა: 1998 წლის ბინის ქირა - 41,16 ლარს, კვარტალური ჯილდო - 85,42 ლარს, 1999 წლის კვარტალური ჯილდო - 89,50 ლარს. გ. კ-ძე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის #-1/473 ბრძანებით გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან და მივლინებულ იქნა აშშ-ში, ინგლისური ენის კურსზე, 2004 წლის 14 ივლისიდან 2005 წლის 14 აგვისტომდე ბალტიის თავდაცვის კოლეჯში, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. კ-ძე 2002-2004 წლებში იმყოფებოდა მივლინებებში, კერძოდ: 18.06.2002 წ. - 01.07.2007 წ. #-114 და #-125 ბრძანებებით მივლინებით იმყოფებოდა ქ. ქუთაისში, 20.02.2002 წ. - 01.03.2002 წ. #-25 და #-31 ბრძანებებით - კოდორში, 16.04.2003 წ. - 20.04.2003 წ. #-31 და #-34 ბრძანებებით - გორში, 24.06.2003 წ. - 11.07.2003 წ. #-59 და #-70 ბრძანებებით ტექნიკური დაზვერვის ბატალიონში, 16.09.2003 წ. - 13.10.2003 წ. #-104 და #-117 ბრძანებებით - ახალციხეში, 26.02.2004 წ. - 01.04.2004 წ. #-71 ბრძანებით ვაზიანში, 21.04.2004 წ. - 29.04.2004 წ. #-60 ბრძანებით ვაზიანში, 05.05.2004 წ. - 05.07.2004 წ. #-68 და #-99 ბრძანებებით - ვაზიანში, 03.05.2004 წ. #-75 ბრძანებით - ისევ ვაზიანში. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას მოსარჩელისათვის 2002-2004 წლების სამივლინებო თანხის კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ამ მოთხოვნას კანონიერს გახდის და უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილია (2007 წლის 1 მაისის #-552 წერილი) მტკიცებულება, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის მიმართ არანაირი სამივლინებო დავალიანებები არ გააჩნია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს გ. კ-ძისათვის სამივლინებო თანხების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან კასატორი არ უარყოფს გ. კ-ძის მივლინებებში ყოფნის ფაქტს და ამასთან, მას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება სამივლინებო თანხების გ. კ-ძისათვის ანაზღაურების თაობაზე.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს საქმეში წარმოდგენილი გ. კ-ძის ახსნა-განმარტების მიხედვით, ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ გ. კ-ძისათვის ბინის ქირის ოდენობა შეადგენდა თვეში 32 ლარს, ხოლო გ. კ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობისას მიუღებელი ჰქონდა ბინის ქირის კომპენსაცია შემდეგი პერიოდისათვის და ოდენობით: 1998 წლის 4 თვე - 131,72 ლარი, 1999 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2000 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2001 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2002 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2003 წლის 12 თვე - 395,16 ლარი, 2004 წლის 6 თვე - 198,53 ლარი, სულ გასაცემმა თანხამ შეადგინა 2306,10 ლარი. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას გ. კ-ძისათვის ბინის ქირის თანხის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ მოტივით, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ბინის ქირის თანხის მოთხოვნის ნაწილში მისი სარჩელის საფუძვლიანობას, საქმეში არ არსებობს ბინის ქირავნობის ხელშეკრულება (ქირავნობის ფაქტის დასადასტურებლად), არ არსებობს

მონაცემი, თუ რა ოდენობის თანხას იხდის მოსარჩელე ბინის ქირისათვის და სხვა მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ბინის ქირის თანხის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, რადგან კასატორს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურებოდა გ. კ-ძისათვის ბინის ქირის თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. მართალია, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი), მაგრამ სამივლინებო თანხა, ისევე, როგორც ხელფასის თანხა და დანამატი, ასევე პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, თუმცა, ამავდროულად, სამივლინებო თანხა, ხელფასის თანხისა და დანამატისაგან განსხვავებით, არ არის მოქვეყნული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივლინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგულაციურ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას. რაც შეეხება ხელფასზე დანამატს, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, იგი უთანაბრდება ხელფასს, რის გამოც ხელფასზე დანამატის თანხაზეც, ისევე, როგორც ჯილდოზე, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა თანამდებობრივი სარგოს - ხელფასის დანამატის - 1800 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებაში 2005 წლის 24 იანვრის #47 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა #1 დანართი და სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა ყოველთვიური ფულადი სარგო განისაზღვრა სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს, წოდებრივი სარგოსა და დანამატების კატეგორიებით. ამდენად, ხელფასის დანამატის - 1800 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, რის გამოც ამ ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება სამივლინებო თანხებს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან გ. კ-მემ წინამდებარე სარჩელი აღძრა 2006 წლის 10 აპრილს, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მხოლოდ 2003-2004 წლების სამივლინებო თანხები მოსარჩელის სასარგებლოდ, რადგან მოცემული სარჩელი 2002 წლის სამივლინებო თანხის მოთხოვნის ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე ნაწილობრივ საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა ბინის ქირის ანაზღაურების შესახებ. ბინის ქირის კომპენსაცია გაიცემოდა «საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, სამთავრობო დაცვის სამსახურის, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო და მუშა-მოსამსახურეთა ფულად ანაზღაურებაზე დანამატებისა და სხვა სოციალური შეღავათების დაწესების შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 14 ნოემბრის #796-44 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულების 46-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება, სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბინის ქირა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და შესაბამისად, ბინის ქირის დავალიანების მოთხოვნაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის 3-

წლიანი ვადა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ 2003-2004 წლების ბინის ქირის თანხა, ხოლო 1998-2002 წლების ბინის ქირის თანხის ანაზღაურებაზე უარი ეთქვას ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიტ გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩეს ხელფასის დანამატის - 1800 ლარის გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში, ხოლო ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების გ. კ-ძისათვის ანაზღაურების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩეს ხელფასის დანამატის - 1800 ლარის გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ბინის ქირისა და სამივლინებო თანხების გ. კ-ძის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში გ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. კ-ძის სასარგებლოდ დაკისრის 2003-2004 წლების ბინის ქირა და 2003-2004 წლების სამივლინებო თანხები; გ. კ-ძეს უარი ეთქვას 1998-2002 წლების ბინის ქირისა და 2002 წლის სამივლინებო თანხის ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების წესი**

##### **განჩინება**

#-ბს-185-181(კ-08) 1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ა-ურმა 19.02.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ დავალიანების - 4818 ევროს ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.06.03წ. #-2648 ბრძანების საფუძველზე 2003 წლის 1 ივნისიდან 2005 წლის 30 ივლისამდე იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციულ



რესპუბლიკაში სასწავლო მივლინებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის საავტომობილო ბაზის 05.01.07წ. ცნობის თანახმად, სამივლინებო დავალიანება შეადგენს 4818 ევროს. გ. ა-ურის არაერთი სიტყვიერ და წერილობით მიმართვას დავალიანების დაფარვის შესახებ დაპირების გარდა არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელე გ. ა-ურის სასარგებლოდ დაეკისრა 4818 ევროს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.07წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და დამატებით მიუთითა, რომ «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის 12.2 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სწავლებებში მონაწილეობის სამივლინებო ხარჯების გარდა, მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. ბრძანებულების მე-40 პუნქტით ასევე უზრუნველყოფილია სასწავლებლად წარგზავნილ მოსამსახურეთათვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების უფლება. ამავე ბრძანებულების 41-ე პუნქტის მიხედვით, სასწავლებლად გრძელვადიანი მივლინებით წარგზავნილ მოსამსახურეებს სამივლინებო ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეთ შესაბამისი ქვეყნის ვალუტით, ანაზღაურების ნორმებს განსაზღვრავს თავდაცვის მინისტრი. ასევე, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი ითვალისწინებს მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო ამავე კანონის 37.4 მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებთა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. აპელანტის მიერ სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ გ. ა-ურის მიმართ სამინისტროს გააჩნდა სამივლინებო დავალიანება 2003 წლის 1 ივნისიდან 2005 წლის 21 ივნისამდე 4818 ევროს ოდენობით. დადგენილია, რომ მისი აუნაზღაურებლობის მიზეზი გახდა შესაბამისი წყაროს არარსებობა, რომლის მოძიების შემთხვევაში, სამინისტრო კვლავ დაუბრუნდებოდა ხარჯების ანაზღაურების საკითხს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დაფინანსების არარსებობა, ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი. ამასთან, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის არგუმენტაცია გ. ა-ურის მიერ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ქვითრების წარუდგენლობის გამო მასთან საფინანსო ანგარიშსწორების შეუძლებლობის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის #-493 ბრძანებულების მე-40 პუნქტით «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» სასწავლებლად წარგზავნილ მოსამსახურეებს ეძლევათ სამივლინებო ხარჯები დადგენილი წესით. ამავე ბრძანებულების 41-ე პუნქტის მიხედვით, სასწავლებლად გრძელვადიანი მივლინებით წარგზავნილ მოსამსახურეებს სამივლინებო ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეთ შესაბამისი ქვეყნის ვალუტით, ანაზღაურების ნორმებს განსაზღვრავს თავდაცვის მინისტრი. სააპელაციო პალატამ საქმეში დაცული მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ სამივლინებო დავალიანება შეადგენს 4818 ევროს. ამდენად, სამინისტროს მიერ დადგენილ იქნა გასაცემი თანხის ოდენობა სამივლინებო ხარჯების გაწევის დამადასტურებელი ქვითრების წარდგენის მიუხედავად, რაც სამინისტროს მხრიდან სადავო არ გამხდარა, უფრო მეტიც, 12.01.07წ. წერილით მოპასუხემ აღიარა დავალიანების არსებობა და შესაბამისი წყაროს არსებობის შემთხვევაში, მისი ანაზღაურების დაპირება გასცა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა, აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სამივლინებო ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ამდენად, ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი, ასევე კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, კერძოდ, თითოეული მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები სსკ-ის 129-ე, 326-ე და «საჯარო სამსახურის შესახებ»

საქართველოს კანონის 127.1 მუხლებით დადგენილი სამწლიანი და ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადების გასვლის ფაქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2003-2004 წლების მოთხოვნაზე ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127.1 მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში სსკ-ის 129-ე და 326-ე მუხლების საფუძველზე, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები. საყურადღებოა, რომ საქმეში არსებული ცნობა და ფინანსების მართვის დეპარტამენტის წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს ვალის აღიარებად ან ადმინისტრაციულ დაპირებად, რადგან მათ ინფორმაციული ხასიათი აქვთ და არ პასუხობენ აღიარებისა და ადმინისტრაციული დაპირების კანონით დადგენილ პირობებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.03.08წ. განჩინებით, სასკ-ის 34.3 მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. აღნიშნულ განჩინებაზე გ. ა-ურმა 24.03.08წ. და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 27.03.08წ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით წარმოადგინეს მოსაზრებები. გ. ა-ურმა თავისი მოსაზრებით საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და მოპასუხისათვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა მოითხოვა მივლინების ხარჯების ასანაზღაურებლად. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო საჩივრის დასაშვებლად ცნობა მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის «ა» და «გ» ქვეპუნქტების შესაბამისად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატას საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

«საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 38-ე, 39-ე, 39<sup>1</sup> მუხლების, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.2 მუხლის თანახმად სამხედრო მოსამსახურეს აქვს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. #493-ე ბრძანებულების სადავო პერიოდში მოქმედი მე-40 მუხლის თანახმად სასწავლებლად წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ დაკავებული თანამდებობიდან და წარგზავნილები მსმენელებად სხვადასხვა სასწავლებლებში, სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდებოდათ ფულადი სარგოები, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი, სასურსათო ულუფისა და ფორმის ტანსაცმლის ნაცვლად დაწესებული ფულადი კომპენსაციები, ხოლო სამოქალაქო პირებს თანამდებობრივი სარგო და წელთა ნამსახურობის დანამატი, ამასთანავე, ეძლეოდათ სამივლინებო თანხები დადგენილი წესით (თუ სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული). ამავე ბრძანებულების 41-ე პუნქტი ადგენდა, რომ სასწავლებლად გრძელვადიანი მივლინებით წარგზავნის მოსამსახურეებს სამივლინებო ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეთ შესაბამისი ქვეყნის ვალუტით; ანაზღაურების ნორმებს განსაზღვრავს თავდაცვის მინისტრი. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 39-ე, 39<sup>1</sup> მუხლების მიხედვით უცხოეთში გრძელვადიან მივლინებად ითვლება მოსამსახურის გაგზავნა უცხო სახელმწიფოში ერთ თვეზე მეტი ვადით, უცხო სახელმწიფოში გრძელვადიან მივლინებაში მოსამსახურის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე ამასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

გ. ა-ურის მივლინებაში ყოფნის პერიოდში (01.07.03წ. - 21.09.05წ.) სამივლინებო თანხების ანაზღაურების წესს განსაზღვრავდა «მოსამსახურესათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. #-220 ბრძანებულება, რომლის #-2 დანართის («ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი») მე-3 პუნქტის თანახმად, მუშაკებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გრძელვადიანი სამსახურებრივი მივლინებისას დღიური ხარჯები უნაზღაურდებოდათ ამავე ბრძანებულების #-3 დანართის მიხედვით საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს. დანართის მე-6 პუნქტის თანახმად კი, თუ მუშაკების მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფის კვების ხარჯით, მაშინ მათ უნაზღაურდებოდათ მხოლოდ დღიური ნორმის 30 პროცენტი და ამ განკარგულების #-4 დანართით გათვალისწინებული დანამატი. ამავე დანართის მე-7 პუნქტის თანახმად საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯები ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარდგენის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლიანობას არ ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. ბრძანებულების 41-ე პუნქტი, რომელიც ადგენდა, რომ სასწავლებლად გრძელვადიანი მივლინებით წარგზავნილ მოსამსახურეებს სამივლინებო ხარჯები შეიძლება ანაზღაურებულიყო შესაბამისი ქვეყნის ვალუტით, ანაზღაურების ნორმებს განსაზღვრავდა თავდაცვის მინისტრი. «საზღვარგარეთ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში

სასწავლებლად წარგზავნილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი და სანივთე კმაყოფით, მატერიალური დახმარების უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს თავდაცვის მინისტრის 30.10.98წ. №-302 ბრძანებით სამხედრო მოსამსახურის სწავლის პერიოდში ფულადი კმაყოფა გაცივმა ბინის დაქირავების შემთხვევაში, მგზავრობის ღირებულება ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები ქვეყანა თავისთავზე არ იღებს მგზავრობის ხარჯებს. საკასაციო პალატის სხდომაზე გ. ა-ურმა დაადასტურა, რომ პირადი ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფდა მიმღები მხარე. საქმეში არ მოიპოვება გ. ა-ურის მიერ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც თავდაცვის სამინისტროს მხრიდან გ. ა-ურთან საფინანსო ანგარიშსწორების საფუძველი გახდებოდა. გ. ა-ურის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 12.01.07წ. №-9/67 წერილით, ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის საავტომობილო ბაზის უფროსისა და საფინანსო ნაწილის ფინანსისტის მიერ 01.01.07წ. გაცემული №-11 ცნობით მოხდა მოთხოვნის აღიარება. სასკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მოპასუხის წარმომადგენლის მიერ მოთხოვნის ცნობა არ იწვევდა სასარჩელო განცხადების უპირობო დაკმაყოფილებას. მოსარჩელე გ. ა-ურის სამივლინებო თანხების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. №-220 ბრძანებულებით დადგენილი წესის გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ სამივლინებო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის 04.04.98წ. №-220 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა «მოსამსახურისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. №-231 ბრძანებულებით. საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 06.08.05წ. №-2135 ბრძანების მიხედვით მოსარჩელე გ. ა-ური გფრ-ში სასწავლო მივლინებაში იმყოფებოდა 2005 წლის 21 ივნისამდე. შესაბამისად, მივლინებაში ყოფნის პერიოდი მოიცავს აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 20.04.05წ. №-231 ბრძანებულების მოქმედების პერიოდსაც, ხსენებული ბრძანებულების №-1 დანართის მე-18 პუნქტის მიხედვით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები, ამავე დანართის მე-16 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მოსამსახურის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად დაფარვას, მოსამსახურეს მიეცემა მხოლოდ ამ ბრძანებულების №-3 დანართით განსაზღვრული დანამატი, ხოლო №-3 დანართი ითვალისწინებს დანამატის გაცემას მაღალი რანგის თანამდებობის პირთათვის, რომელსაც მოსარჩელე გ. ა-ური არ განეკუთვნებოდა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია ხარჯების ანაზღაურების ხსენებული წესების გაუთვალისწინებლად, სასამართლომ არ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი), გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსკ-ის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტი), რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხების ანაზღაურება დროის გარკვეულ პერიოდს უკავშირდება, სამივლინებო თანხების ანაზღაურება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, მასზე ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა გ. ა-ურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამორკვეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არ იძლევა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საქმის ხელახალი განხილვისას საქმეზე უნდა დადგინდეს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ ის თუ ვის მიერ იქნა გაწეული სამივლინებო ხარჯები (მგზავრობის, განთავსების, კვების, დღიური ხარჯები), სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების სამართლებრივი ასპექტები უნდა გადაწყდეს ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების გათვალისწინებით. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ზემოაღნიშნული მითითებებით არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საქმის მითითებულ გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება მხარეთა უფლება-მოვალეობების ზუსტი განსაზღვრა, საქმეზე კანონშესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.07წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამივლინებო თანხის ანაზღაურების ხანდაზმულობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#-ბს-572-550(კ-08) 2 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე  
ლ. მურუსიძე**

**სარჩელის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 2 ოქტომბერს ნ. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი მეუღლე, აწ გარდაცვლილი ვიცე-პოლკოვნიკი, მ. შ-ძე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ლოგისტიკის სარდლობის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროს ოფიცრად. 2004 წლის 23 ნოემბერს მ. შ-ძე მივლინებულ იქნა ოსიაურში, #-10248 სამხედრო ნაწილში. მივლინებაში მიმავალს, თბილისი-სენაკის ტრასაზე, ქალაქ გორთან ავტოსაგზაო შემთხვევისას, იგი დაიღუპა.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მეუღლე 1997-2000 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაგზავნილ იქნა ქ. მოსკოვში, კუბიშევის სახელობის სამხედრო აკადემიაში. ხსენებულ სასწავლებელში სწავლების დროს მ. შ-ძისათვის ხელფასი სრულად არ მიუციათ, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის მიმართ გააჩნდა 5866,44 ლარის დავალიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ 5866,44 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ნ. კ-შვილის სასარგებლოდ მისი აწ გარდაცვლილი მეუღლის - მ. შ-ძის კუთვნილი სახელფასო დავალიანების - 5866,44 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამმართველოს მიერ 1998 წლის 20 მარტს გაცემული ქორწინების მოწმობის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. კ-შვილი იყო მ. შ-ძის მეუღლე, რომელიც გარდაიცვალა 2004 წლის 23 ნოემბერს. ნოტარიუს მ. ხ-ძის მიერ 2005 წლის 31 მარტს (რესტრში რეგისტრაციის #-2-2) გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად კი დასტურდებოდა, რომ მ. შ-ძის მემკვიდრედ ცნობილ იქნა მისი მეუღლე ნ. კ-შვილი.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის #-1/1493 ბრძანების თანახმად, ვიცე-პოლკოვნიკი მ. შ-ძე - ლოგისტიკის სარდლობის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ოფიცერი 2004 წლის 23 ნოემბრიდან ამორიცხულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობიდან გარდაცვალების გამო. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 2005 წლის 23 მარტის #-214 ცნობით კი დასტურდებოდა, რომ მ. შ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საფინანსო სამსახურში ერიცხებოდა სახელფასო დავალიანება - 5866,44 ლარი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. შ-ძე მუშაობდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოდგენდა მოხელეს, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - სამხედრო მოსამსახურეს. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური

კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ იყო დადგენილი. იმავე კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ მოსამსახურეს უფლება ჰქონდა, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელებულიყო მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებების ფარგლებში.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის მსჯელობა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რადგან «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს ჰქონდა უფლებები და გარანტიები, მიეღო თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები - ასეთი ხასიათის დამატებითი უფლებები და გარანტიები სამხედრო მოსამსახურეთათვის მოცემული იყო სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, კერძოდ, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურის სხვა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრებოდა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით. იმავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებოდა. ამასთან, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის წლის განმავლობაში შეიძლება მისცემოდა ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათის იყო. ამდენად, შრომითი გასამრჯელოს გაცემის ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კანონმდებლობის საფუძველზე ეკისრებოდა, ანუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულება იყო, უფრო მეტიც, სამხედრო მოსამსახურეს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში უნდა მისცემოდა ზემოთ მითითებული დანამატები და ამ დანამატების გაცემა ხორციელდებოდა ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სამართლის ნორმა მოსარჩელეს ანიჭებდა შესაძლებლობას, მოეთხოვა სახელმწიფოსგან მიუღებელი შრომითი გასამრჯელო - ხელფასი, ფულადი ჯილდო, მატერიალური დახმარება და სასურსათე ულუფა, რადგან ამ მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობა არ იყო შეზღუდული დროის კონკრეტული პერიოდით.

ხანდაზმულობის სამწლიან ვადასა და პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი შემოღებული იყო კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომლის პირველი მუხლით განსაზღვრული იყო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულიყო პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები, ხოლო იმავე კოდექსის 129-ე მუხლი მოქმედებდა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, აწესრიგებდა სამოქალაქო-სამართლებრივი სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადებს, რასაც არ განეკუთვნებოდა მოსარჩელის აწ გარდაცვლილ მეუღლე მ. შ-ძესა და ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. უდავო იყო, რომ მოსარჩელის აწ გარდაცვლილი მეუღლე მ. შ-ძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა, როგორც სამხედრო მოსამსახურე და ეს ურთიერთობები რეგულირდებოდა საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით - «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონებით, აგრეთვე, «საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №-493 ბრძანებულებით და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №-609 ბრძანებულებით დამტკიცებული «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულებით. ამდენად, სახეზე იყო არა კერძო-სამართლებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავა, მოსარჩელის აწ გარდაცვლილ მეუღლე მ. შ-ძესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანებების მეშვეობით, ამიტომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდებოდა სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი უნდა ყოფილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, იმ დღიდან, როდესაც ის გათავისუფლდა სამსახურიდან. საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის მოსაზრება, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი წერილები იყო მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა უნდა გავრცელებულიყო, ვინაიდან იგი პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საფინანსო სამსახურის უფროსის წერილი, რომლითაც დგინდებოდა, რომ მ. შ-მის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გააჩნდა 5866,44 ლარის დავალიანება. ამდენად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თვლიდა, რომ აღნიშნული დავალიანება ხანდაზმული იყო, მაშინ მას ხსენებული ცნობა არ უნდა გაეცა ან იქვე უნდა მიეთითებინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მ. შ-მის მიმართ არსებობდა დავალიანება, იმჟამად იგი მას აღარ აღიარებდა, რადგან გასული იყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებული პირი მოვალეობას შესრულებდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულებისას მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენებოდა ვალდებული პირის აღიარების შემთხვევაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ასევე დააყენა შუამდგომლობები საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup>-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებლობის მოტივით (საქმეში არ მოიპოვება ადმინისტრაციული ორგანოს უარი ქმედების განხორციელებაზე) საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, ნ. კ-შვილი სასარჩელო განცხადებით ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან 1998-2000 წლების მიუღებელი ხელფასის - 2176,46 დოლარის, ჯილდოს - 562,75 დოლარისა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით - 469 დოლარის, სულ - 3208,21 დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურებას.

კასატორი მიუთითებს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, ხელფასის არსსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 1999-2000 წლებში მოქმედი სამხედრო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არარსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა უნდა მოგვარებულიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის დებულებებით. კერძოდ, ხსენებული კანონის 37-ე მუხლის თანახმად (1998-2000 წლების რედაქცია), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავდა თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. მაშასადამე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდეს დანამატის სტატუსი. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტიდან ირკვევა, რომ დანამატის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ იმ თანხებს, რომლებიც დაიანგარიშებოდა ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება ჯილდოსთან დაკავშირებულ თანხებს, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, მას დანამატის სტატუსი არ

ჰქონდა მინიჭებული. ამდენად, ჯილდო და საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული თანხები არ წარმოადგენდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემლებს შეადგენდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა ჯილდოსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებული თანხების გაცემის ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორი მიუთითებს, რომ ხელფასის გაცემა წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის მოთხოვნაზეც ვრცელდებოდა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა 1998-2000 წლების ხელფასის, ჯილდოსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით გასაცემი დახმარების ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ცნობები ვალდებულების აღიარებად. აღნიშნული დოკუმენტები არ შეიძლება ჩათვლილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად, რადგან ხსენებული დოკუმენტებით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებდა სარჩელის მოთხოვნის არსებობას და მათი შეფასება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტებად უკანონო იყო, ვინაიდან მათ ინფორმაციული ხასიათი ჰქონდათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 27 მაისის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 17 ივლისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2008 წლის 2 ოქტომბერს, 11.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამმართველოს მიერ 1998 წლის 20 მარტს გაცემული ქორწინების მოწმობის მიხედვით, ნ. კ.-შვილი, დაბადებული 1972 წლის 30 აპრილს იყო მ. შ.-ძის მეუღლე, რომელიც გარდაიცვალა 2004 წლის 23 ნოემბერს. ნოტარიუს მ. ხ.-ძის მიერ 2005 წლის 31 მარტს (რეესტრში რეგისტრაციის №-2-2) გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მ. შ.-ძის მემკვიდრედ ცნობილ იქნა მისი მეუღლე ნ. კ.-შვილი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის №-1/1493 ბრძანების მიხედვით, ვიცე-პოლკოვნიკი მ. შ.-ძე - ლოგისტიკის სარდლობის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ოფიცერი 2004 წლის 23 ნოემბრიდან ამორიცხულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობიდან გარდაცვალების გამო. 2004 წლის 23 ნოემბერს მ. შ.-ძე მივლინებულ იქნა №-10248 სამხედრო ნაწილში, რომლისკენაც მგზავრობისას იგი დაიღუპა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ ამ სამინისტროს საფინანსო სამსახურის 2007 წლის 23 ოქტომბრის №-1497 წერილზე ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისადმი, რომლის მიხედვითაც, მ. შ.-ძის მიმართ არსებული დავალიანება შეადგენს: 1998 წლის ხელფასი - 173,69 აშშ დოლარს, კვარტალური ჯილდო - 107,20 აშშ დოლარს, 1999 წლის ხელფასი - 1107,78 აშშ დოლარს, კვარტალური ჯილდო - 455,55 აშშ დოლარს, 2000 წლის ხელფასი - 894,99 აშშ დოლარს, 2000 წლის დახმარება საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით - 469 აშშ დოლარს, სულ - 3208,21 აშშ დოლარს. აღნიშნული დავალიანების თაობაზე კასატორი მიუთითებს საკასაციო საჩივარშიც. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 2005 წლის

23 მარტის #–214 ცნობაზე, რომლის თანახმად, მ. შ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის საფინანსო სამსახურში ერიცხებოდა სახელფასო დავალიანება – 5866,44 ლარი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას (რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ) ნ. კ-შვილის აწ გარდაცვლილი მეუღლის – მ. შ-ძის კუთვნილი სახელფასო დავალიანება განსაზღვრა 5866,44 ლარის ოდენობით, რაც შეესაბამება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის 2005 წლის 23 მარტის #–214 ცნობაში მითითებული დავალიანების ოდენობას, ამასთან, საქალაქო სასამართლოს არ უარუყვია მ. შ-ძის მიმართ არსებული დავალიანების შესახებ მეორე მტკიცებულება – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამსახურის 2007 წლის 23 ოქტომბრის #–1497 წერილი ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისადმი, რომელშიც ხსენებული დავალიანება მოცემულია უცხოურ ვალუტაში – აშშ დოლარში და სულ შეადგენს 3208,21 აშშ დოლარს. შესაბამისად, დავალიანების ოდენობა განისაზღვრა ამ მტკიცებულებების მიხედვით, რის შედეგადაც, საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული ვალუტის – ლარის კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში შეადგინა – 1,8285.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მ. შ-ძის მიმართ არსებული დავალიანება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან – ხელფასისგან, კვარტალური ჯილდოსა და დახმარებისგან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას), რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე კვარტალური ჯილდო და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. მართალია, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივილინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი), მაგრამ სამივილინებო თანხა, ისევე, როგორც ხელფასის თანხა და დანამატი, ასევე პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა, ვინაიდან, მოსამსახურის მივილინებაში გაშვება და შესაბამისი სამივილინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან, თუმცა, ამავდროულად, სამივილინებო თანხა, ხელფასის თანხისა და დანამატისაგან განსხვავებით, არ არის მოქცეული «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედების ფარგლებში. ამდენად, სამივილინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს საფუძვლიანად მიაჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს – 5008,84 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე. ამდენად, ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს – 5008,84 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიიღო სწორი განჩინება, რის გამოც ამ ნაწილში აღნიშნული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

რაც შეეხება საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარებას, ანუ სამივილინებო თანხას – 857,60 ლარს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების – სამივილინებო თანხის ნ. კ-შვილისათვის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რის გამოც ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია – არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ნ. კ-შვილმა წინამდებარე სარჩელი აღძრა 2007 წლის 2 ოქტომბერს, ხსენებული სარჩელი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით 2000 წლის დახმარების – სამივილინებო თანხის – 857,60 ლარის მოთხოვნის ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულია. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების, ისევე, როგორც



ხელფასისა და კვარტალური ჯილდოს თანხების ოდენობა განსაზღვრა აშშ დოლართან ლარის ზემოთ მითითებული კურსის (1,8285) მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების - 857,60 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. კ-შვილის სარჩელი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების - 857,60 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდება, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება უცვლელად დარჩეს ნ. კ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 5008,84 ლარის დაკისრების ნაწილში.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაუსაბუთებელია, რადგან, როგორც მოწინააღმდეგე მხარე ნ. კ-შვილმა საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე ამასთან დაკავშირებით განმარტა, მან არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამსახურის უფროსს დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ, ნ. კ-შვილის ხსენებული განმარტება კი კასატორს არაფრით არ გაუბათილებია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების - 857,60 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. კ-შვილის სარჩელი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით დახმარების - 857,60 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება უცვლელად დარჩეს ნ. კ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 5008,84 ლარის დაკისრების ნაწილში;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#-ბს-425-408(კ-08) 29 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ბ-შვილმა 26.09.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტლის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 1376 ლარისა და 45 თეთრის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2007 წელს გათავისუფლდა საქართველოს გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტლის თერაპიული განყოფილების მედდის თანამდებობიდან. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მის

მიმართ მოპასუხეს ასანაზღაურებელი დარჩა ხელზე გასაცემი თანხა 1376 ლარი და 45 თეთრი, მათ შორის: ხელფასი - 422,81 ლარი, კვების კომპენსაცია - 669,13 ლარი, კვარტალური ჯილდო - 220 ლარი და მატერიალური დახმარება - 64,51 ლარი. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული დავალიანების არსებობას და თანხის ოდენობას ადასტურებს საქართველოს გენერალური შტაბის ცენტრალური სამხედრო კლინიკური ჰოსპიტლის მიერ 18.09.07წ. გაცემული №-3-11/6868 ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მ. ბ-შვილის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების - 1376,45 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.07წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტაცია კვების კომპენსაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და მითითება, რომ წარმოდგენილი ცნობა არის საინფორმაციო ხასიათის და არ წარმოადგენს მოპასუხის მიერ სარჩელის აღიარებას. მითითებული წერილობითი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ იგი გაცემულ იქნა 2007 წელს მოსარჩელის სახელზე, მის მიმართ არსებული ხელზე გასაცემი დავალიანების (1376,45 ლარი) დადასტურების თაობაზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საგულისხმოა, რომ იგი გაცემულია მოსარჩელის და არა მესამე პირების სახელზე და ამ დოკუმენტით დადასტურდა თავდაცვის სამინისტროს მიერ მ. ბ-შვილის მიმართ 1376,45 ლარის დავალიანების არსებობა. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით დადასტურდა, ერთი მხრივ, მ. ბ-შვილის უფლება, მოითხოვოს მითითებული თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება, გასცეს აღნიშნული თანხა. სააპელაციო პალატამ ყურადღება გამახვილა მითითებული დოკუმენტის შინაარსზე. თავდაცვის სამინისტრო 2007 წელს გაცემული ცნობით არ უარყოფს მოსარჩელის მიმართ დავალიანების გაცემის ვალდებულებას მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. უფრო მეტიც, კვლავ აღიარებს მოსარჩელის წინაშე იმ გარემოებას, რომ თავდაცვის სამინისტროს გააჩნია მისი კუთვნილი, ხელზე გასაცემი დავალიანება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინება 18.04.08წ. საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის, კვების კომპენსაციისა და კვარტალური ჯილდოს დაკმაყოფილების ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი. მ. ბ-შვილი სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრებას. კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუმცა სასამართლომ კანონის ეს ნორმა არ გამოიყენა. სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაცემული 20.11.07წ. №-3-11/9079 ცნობა ვერ ჩაითვლებოდა მოპასუხის მხრიდან ვალის აღიარებად, რადგან მასში არ იყო მითითებული ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და მატერიალური დახმარების ვალის აღიარებისა და მისი გადახდის დაპირებაზე. აღნიშნული ცნობა ინფორმაციული ხასიათისაა და გაცემულია სზაკ-ით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 08.10.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის - 669,13 ლარის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე. საკასაციო საჩივარი მ. ბ-შვილის სასარგებლოდ ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება თავდაცვის სამინისტროსათვის მ. ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 669,13 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი

გადაწყვეტილება; მ. ბ-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო დავალიანების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ხანდაზულობის გამომრიცხავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (26.09.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არგუმენტაცია კვების კომპენსაციის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში უარყოფილია სამინისტროს მიერ გაცემულ ცნობაზე და სკ-ის 144-ე მუხლზე მითითებით. სკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შესრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იგივე წესი გამოიყენება ვალდებულ პირის აღიარების და უზრუნველყოფის საშუალების მიმართ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში სკ-ის 144-ე მუხლზე მითითება არ ქმნიდა მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 18.09.07წ., #3-11/6868 ცნობა, რომლის თანახმად მ. ბ-შვილის კუთვნილი კვების კომპენსაციის ოდენობა შეადგენს 669,13 ლარს, არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ცნობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მოსარჩელე მ. ბ-შვილის სასარგებლოდ უნდა დეკისროს 707.32 ლარი, მათ შორის სახელფასო დავალიანება - 422,81 ლარი, ჯილდო - 220 ლარი, მატერიალური დახმარება - 64.51 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უვცლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.07წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მ.

ბ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 669,13 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. არ დაკმაყოფილდეს მ. ბ-შვილის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 669,13 ლარის დაკისრების ნაწილში;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.10.05წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 707.32 ლარი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უარი კვების კომპენსაციაზე და სამივლინებო თანხების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის გამო**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#-ბს-681-653(2კ-08) 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება**

**აღწერილობითი ნაწილი:**

ფ. ნ-ძემ 2007 წლის 27 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა დავალიანების - 2235,74 ლარის, დავალიანების დროულად აუნაზღაურებლობის შედეგად მიყენებული ზიანის - 3000 ლარისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების - 500 ლარის ანაზღაურება.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისა და საფინანსო განყოფილების უფროსის მიერ 2007 წლის 28 დეკემბერს გაცემული #-3-11/10398 ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ს/ნ #-10247-ის სამხედრო მოსამსახურის - ფ. ნ-ძის 1998-99-2000 წლების კუთვნილი, ხელზე გასაცემი დავალიანება შეადგენს - 1317,10 ლარს, კერძოდ: 1998 წლის ხელფასი - 149,48 ლარი, კვების კომპენსაცია - 141,60 ლარი; ჯილდო - 68,74 ლარი; მატერიალური დახმარება - 45,32 ლარი; 1999 წლის ხელფასი - 231,65 ლარი, კვების კომპენსაცია - 236 ლარი; ჯილდო - 111,97 ლარი; მატერიალური დახმარება - 45,73 ლარი; 2000 წლის ხელფასი - 141,47 ლარი, კვების კომპენსაცია - 145,14 ლარი.

საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის 2007 წლის 24 ოქტომბრის #-9/3400 პასუხი ფ. ნ-ძის მიმართ, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში განხილულ იქნა ფ. ნ-ძის მიმდინარე წლის 22 ოქტომბრის #-9-8174 წერილი, სახელფასო და სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურების შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ მიუღებელი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება განხორციელდება ამ მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ხოლო, რაც შეეხება სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურებას, მითითებულია, რომ სამხედრო მოსამსახურებს, ცნობები მიუღებელი ფორმის შესახებ უნდა წარედგინათ შესაბამის საფინანსო სამსახურებში ყოველი მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლომდე, რათა მომხდარიყო შესაბამისი ანაზღაურება ან კრედიტორულ დავალიანებაში ასახვა. ვინაიდან აღნიშნული სამხედრო მოსამსახურებს არ განუხორციელებიათ, მათზე უნიფორმის სანაცვლოდ გასაცემი შესაბამისი საკომპენსაციო თანხები კრედიტორულ დავალიანებად არ დაფიქსირებულა, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას ანაზღაუროს საკომპენსაციო თანხის დავალიანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ფ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თავდაცვის სამინისტროს ფ. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 522,60 ლარისა და ჯილდოს - 180,71 ლარის ანაზღაურება, ხოლო კვების კომპენსაციის, მატერიალური დახმარების, მივლინების, სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე უარი ეთქვა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ფ. ნ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ფ. ნ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფ. ნ-მის სარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კვების კომპენსაციის - 478 ლარის, მატერიალური დახმარების - 91,05 ლარისა და სამივლინებო თანხის - 82 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელეს უარი ეთქვა სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მიღებისას დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ფ. ნ-მე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და იყო სამხედრო მოსამსახურე. იგი 2006 წლის 1 აგვისტოს დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. სასამართლომ ასევე დადგინდად ჩათვალა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფ. ნ-მისათვის ასანაზღაურებელი დარჩა 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია - 478 ლარი, ამავე პერიოდის მატერიალური დახმარება - 91,05 ლარი, სამივლინებო თანხა - 82 ლარი და 2001-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაცია - 1008,24 ლარი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურეობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს; ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელფასი მოიცავდა როგორც ფულად ჯილდოს, ასევე - მატერიალურ დახმარებას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup>-ე მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მატერიალური დახმარება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლით რეგულირებულ სფეროს განეკუთვნება და შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მასზე არ უნდა გავრცელდებინა ხანდაზმულობის ვადა კვებისა და სანივთე ქონების კომპენსაციისაგან განსხვავებით, რომლებიც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეებს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, რომელთა ანაზღაურებაც მოწესრიგებული არა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონით, არამედ «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონით, რომელიც სამხედრო მოსამსახურის სოციალური საკითხების რეგულირების სპეციალურ კანონს წარმოადგენს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ხელფასი, თავისი სამართლებრივი ბუნებით, განსხვავდება სოციალური უზრუნველყოფის ისეთი სახისაგან, როგორც არის სანივთე ქონებისა და კვების კომპენსაცია, რომლებიც კანონმდებლის მიერ სხვა სამართლებრივ რეჟიმშია მოქცეული და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup>-ე მუხლით რეგულირებულ სფეროს არ განეკუთვნება. შესაბამისად, მათ მიმართ, როგორც სოციალური უზრუნველყოფის პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

სასამართლომ გამოიყენა ამავე კოდექსის 137-ე მუხლი და მიუთითა, რომ ხანდაზმულობის ვადა წყდება ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის აღიარებით, რასაც მოცემულ სადავო შემთხვევაში აპელანტის მხრიდან სანივთე ქონების კომპენსაციის თანხებთან დაკავშირებით (კვების კომპენსაციისაგან განსხვავებით) ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადა ასევე არასწორად იქნა გავრცელებული კვების კომპენსაციისა და სამივლინებო თანხებზე, მით უფრო რომ მოპასუხეს 2007 წლის 24 ოქტომბრის #9/3400 წერილით აღიარებული ჰქონდა ამ დავალიანებების არსებობა. სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული წერილი

მიიჩნია ვალის აღიარებად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რაც, თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება დაკისრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი, მოპასუხის ბრალეულობა მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში და თუ იარსებებდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თავდაცვის სამინისტროს მოქმედებას (უმოქმედობას) და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს შორის, რაც ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა თავდაცვის სამინისტროს მოქმედებით (უმოქმედობით) მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი და მიუთითა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თავდაცვის სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და იგი ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. შესაბამისად, ფინანსებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მისთვის ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფაზე, რის გამოც არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, რადგან მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ასეთი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი კანონმდებლობით განსაზღვრული მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ფ. 5-მემ.

კასატორმა - ფ. 5-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვა სანივთე ქონების კომპენსაციის, ზიანისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე და ახალი გადაწყვეტილებით - სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორს მიაჩნია, რომ სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ფაქტობრივი გარემოებაა #10247 სამხედრო ნაწილის მეთაურისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მიერ 2004 წლის 25 მაისს ხელმოწერილი #77 ცნობა, ხოლო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი კანონისმიერი ვალდებულება.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ სამინისტროს არ მიუძღვის ბრალი კუთვნილი დავალიანებების დროულად აუნაზღაურებლობით მიყენებულ ზიანზე და რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა თუ რა სახის ზიანი მიდგა მას ამით. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს ასევე სასამართლოს მსჯელობას საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და მიუთითა, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (ჯილდო, კვების კომპენსაცია, მატერიალური დახმარება) კანონმდებლობის მიხედვით ჰქონდეს დანამატის სტატუსი. კასატორი თვლის, რომ მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს «საჯარო მოსამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს. კასატორს მიაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები, ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, კერძოდ, სასამართლომ საქმეში არსებული 2004 წლის 25 მაისის #37 ცნობა ჩათვალა დავალიანების აღიარებად, რაც არაკანონიერია. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, რადგან დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტია. ამ შემთხვევაში, კასატორის განმარტებით, ეს ცნობა მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული ფ. 5-მის საკასაციო საჩივარი და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ფ. 5-მისათვის ხელფასის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში; დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს საკასაციო საჩივარი ფ. ნ-ძისათვის კვების კომპენსაციისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ფ. ნ-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო ხარჯების 82 ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ფ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო ხარჯების 82 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ფ. ნ-ძისათვის ხელფასის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ფ. ნ-ძისათვის კვების კომპენსაციის - 478 ლარისა და სამივლინებო ხარჯების-82 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ფ. ნ-ძისათვის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო ხარჯების 82 ლარის დაკისრების კანონიერების საკითხი.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფ. ნ-ძისათვის ასანაზღაურებელი დარჩა 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია - 478 ლარი, ამავე პერიოდის მატერიალური დახმარება - 91,05 ლარი, სამივლინებო თანხა - 82 ლარი და 2001-2003 წლების სანივთე ქონების კომპენსაცია - 1008,24 ლარი.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მეხამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ საქმეში მოცემული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის 2007 წლის 24 ოქტომბრის #9/3400 წერილი სახელფასო დავალიანებასთან ერთად არ შეიცავს კვების ულუფის დავალიანების აღიარებას, რადგან მასში მითითებულია, რომ მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება განხორციელდებოდა ამ მიზნებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მართალია «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო, მაგრამ სამივლინებო თანხების ანაზღაურება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისი სამივლინებო თანხების ანაზღაურება დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან. ამდენად, სამივლინებო თანხის, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების, მოთხოვნა ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს

გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1998-99-2000 წლების კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო თანხის 82 ლარის დაკისრების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2007 წლის ნოემბერში, ე.წ. სასამართლო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ფ. ნ-ძის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო თანხის 82 ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ფ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 478 ლარისა და სამივლინებო თანხის 82 ლარის დაკისრების ნაწილში.
4. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ფ. ნ-ძის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების 522,60 ლარისა და ჯილდოს 180,71 ლარის დაკისრების ნაწილში;
5. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფ. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური დახმარების 91,05 ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#-ბს-709-681(კ-08) 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ჟ. და მ. ლ-შვილებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს.

ჟ. ლ-შვილი 1995 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში. 2006 წელს იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიმართ მოპასუხეს გააჩნია



დავალიანება 1338,15 ლარის ოდენობით, მათ შორის - სახელფასო დავალიანება - 399,68 ლარი, კვების კომპენსაცია - 669,63 ლარი, ჯილდო - 208,05 ლარი, მატერიალური დახმარება - 61,15 ლარი. მოსარჩელე მოითხოვს დაეკისროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1338,15 ლარის ოდენობით დავალიანების ანაზღაურება.

მ. ლ-შვილი 1998 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში. 2006 წელს იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მიმართ მოპასუხეს გააჩნია დავალიანება 974,86 ლარის ოდენობით, მათ შორის, სახელფასო დავალიანება 287,77 ლარი, კვების კომპენსაცია - 480,75 ლარი, ჯილდო - 171,44 ლარი, მატერიალური დახმარება - 33,07 ლარი. მოსარჩელე მოითხოვს დაეკისროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 974,86 ლარის ოდენობით დავალიანების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.11.07წ. გადაწყვეტილებით ქ. და მ. ლ-შვილების სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა სახელფასო დავალიანების - 399,68 ლარის გადახდა ქ. ლ-შვილის სასარგებლოდ და 289,77 ლარის გადახდა მ. ლ-შვილის სასარგებლოდ. მოსარჩელებს უარი ეთქვათ კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 09.11.07წ. №-3-11/8756 და №-3-11/8757 ცნობების საფუძველზე, დადგენილად ცნო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერიცხება დავალიანება: მ. ლ-შვილის მიმართ 974,86 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასი - 289,77 ლარი, კვების კომპენსაცია - 480,58 ლარი, ჯილდო - 171,44 ლარი და მატერიალური დახმარება - 33,07 ლარი, ხოლო ქ. ლ-შვილის მიმართ - 1 312,87 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასი - 399,68 ლარი, კვების კომპენსაცია - 669,63 ლარი, ჯილდო - 182,41 ლარი და მატერიალური დახმარება - 61,15 ლარი.

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო თანამდებობრივი სარგოს საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატებით.

კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლომ მიუთითა «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებზე და განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რაც მოსარჩელეს გაშვებული აქვს.

საქმეში წარმოდგენილი 09.11.07წ. №-3-11/8756 და №-3-11/8757 ცნობები სასამართლომ მიიჩნია ინფორმაციული ხასიათის მტკიცებულებად, ვინაიდან, აღნიშნული ცნობები არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას არსებული დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით - სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ასევე მ. და ქ. ლ-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.03.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. და მ. ლ-შვილების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.11.07წ. გადაწყვეტილება გაუქმდა მოსარჩელებზე მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; ქ. და მ. ლ-შვილების სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მ. ლ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 480,58 ლარის, ჯილდოს - 171,44 ლარის და მატერიალური დახმარების - 33,07 ლარის ოდენობით გადახდა; ქ. ლ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 669,63 ლარის, ჯილდოს - 182,41 ლარის, მატერიალური დახმარების - 61,15 ლარის ოდენობით გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლისათვის, სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ჯილდო, მატერიალური დახმარება და სასურსათო ულუფის კომპენსაცია ხელფასის შემადგენელი კომპონენტებია და მათი განხილვა ხელფასისაგან განყენებულად და მათზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების საფუძველზე, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 09.11.07წ. №-3-11/8756 და №-3-11/8757 ცნობების საფუძველზე, დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერიცხება დავალიანება: მ. ლ-შვილის მიმართ 974,86 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასი - 289,77 ლარი, კვების კომპენსაცია - 480,58 ლარი, ჯილდო - 171,44 ლარი და მატერიალური დახმარება - 33,07 ლარი, ხოლო ჟ. ლ-შვილის მიმართ - 1 312,87 ლარის ოდენობით, მათ შორის, ხელფასი - 399,68 ლარი, კვების კომპენსაცია - 669,63 ლარი, ჯილდო - 182,41 ლარი და მატერიალური დახმარება - 61,15 ლარი, რაც მოსარჩელებს სრულად უნდა აუნაზღაურდეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის აზრით, სარჩელი ხანდაზმულია, როგორც ხელფასის, ასევე ჯილდოს, მატერიალური დახმარებისა და კვების კომპენსაციის ნაწილში. იმ შემთხვევაში თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, მასზე ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა. სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელებს უნდა მიეღოთ თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდო, ან მატერიალური დახმარება. სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წელს. ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელებს გაშვებული ჰქონდათ, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები. იმ დროს მოქმედი «შრომის კანონთა კოდექსის» 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდებოდა დროებითად, 94-ე მუხლის პირველი ნაწილით ხელფასი გაიცემოდა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

ამდენად, კასატორის აზრით, უდავოა, რომ ხელფასის გაცემა წარმოადგენს პერიოდულ ვალდებულებას, რომლის მოთხოვნაზე ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სსკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამოც მოსარჩელის თითოეული თვის სახელფასო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს მსჯელობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 08.10.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ჟ. და მ. ლ-შვილების სასარგებლოდ ხელფასის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნას დაუშვებლად, ხოლო კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნას დასაშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, დასაშვებად ცნობილ ნაწილში საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ჟ. ლ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 669,63 ლარისა და მ. ლ-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 480,58 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ჟ. და მ. ლ-შვილების სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან)

ერთად, იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ხანდაზმულობის გამოძრავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (01.11.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამასთანავე, საქმეში დაცული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 23.07.07წ. ცნობებით, რომელთა მიხედვითაც ჟ. ლ-შვილის კვების კომპენსაციის ოდენობა შეადგენს 669,63 ლარს, ხოლო მ. ლ-შვილისა - 480,58 ლარს, არ დასტურდება ვალის აღიარება, ვინაიდან ცნობები ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ წარმოადგენს იდენტურ ცნებებს, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი, ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის 24.10.07წ. #9/3397 და #9/3394 წერილებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წერილებით აღიარებულია სახელფასო დავალიანება, ხოლო სახელფასო დავალიანება არ მოიცავს კვების ულუფის დავალიანების ანაზღაურებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელებისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენება კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამო საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამინისტროსათვის მოსარჩელების სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გამოსაკვლევად საქმის დაბრუნების საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.03.08წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი კვების კომპენსაციის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ. ლ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა კვების კომპენსაციის - 480,58 ლარის, ხოლო ჟ. ლ-შვილის სასარგებლოდ 669,63 ლარის ანაზღაურება;
3. ჟ. და მ. ლ-შვილების სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.11.07წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

28.03.08წ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჟ. ლ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 643,24 ლარი (მათ შორის სახელფასო დავალიანება - 399,68 ლ., ჯილდო - 182,41 ლ., მატერიალური დახმარება - 61.15 ლ.), ხოლო მ. ლ-შვილის სასარგებლოდ 494.28 ლარი (მათ შორის სახელფასო დავალიანება 289,77 ლ., ჯილდო - 171.44 ლ., მატერიალური დახმარება - 33,07 ლ.);

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-860-827(კ-08) 4 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 17 ივლისს ა. კ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1993 წლის 26 ნოემბრიდან 2001 წლის 10 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში მიმღები განყოფილების სანიტრად.

2001 წლის 8 იანვარს პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა ხელშეკრულება და გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელის განმარტებით, სამსახურში მუშაობის დროს მიუღებელი დარჩა ხელფასი - 367,42 ლარი, კვების კომპენსაცია - 670,50 ლარი, მატერიალური დახმარება - 61,77 ლარი, ჯილდო - 212,11 ლარი, სულ -1311,80 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ხელფასის - 367,42 ლარის, კვების კომპენსაციის - 670,50 ლარის, მატერიალური დახმარების - 61,77 ლარის, ჯილდოს - 212,11 ლარის, სულ - 1311,80 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. კ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ა. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1311,80 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე, მუშაობდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა მოხელეს, ხოლო «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად - სამხედრო მოსამსახურეს.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეზე აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), რომელიც მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, ზემოაღნიშნული კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეს აქვს უფლებები და გარანტიები მიიღოს თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება

გათვალისწინებულ იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები - ასეთი სახის დამატებითი უფლებები და გარანტიები სამხედრო მოსამსახურეთათვის განსაზღვრულია სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, კერძოდ, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სამხედრო მოსამსახურის სხვა დამატებითი სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

ამავე კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფება, ამასთან, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება. აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამდენად, შრომითი გასამრჯელოს - ხელფასის, ფულადი ჯილდოს, მატერიალური დახმარებისა და სასურსათე ულუფის გაცემის ვალდებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აკისრია კანონმდებლობის საფუძველზე, ანუ იგი ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულებაა. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული სამართლებრივი ნორმა მოსარჩელეს ანიჭებს შესაძლებლობას, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მიუღებელი შრომითი გასამრჯელო - ხელფასი, ფულადი ჯილდო, მატერიალური დახმარება და სასურსათე ულუფა, რადგან ამ მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული დროის კონკრეტული პერიოდით.

რაც შეეხება ხანდაზმულობის სამწლიან ვადას, აგრეთვე პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების გამო მოთხოვნის უფლებას, სასამართლოს განმარტებით, ეს სამართლებრივი ინსტიტუტები შემოღებულია კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტით - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (129-ე მუხლი) და მოქმედებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, რასაც ნამდვილად არ განეკუთვნება მოსარჩელე ა. კ-შვილი და ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. უდავოა, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა როგორც სამხედრო მოსამსახურე და ეს ურთიერთობები რეგულირდება საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტით - «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» და «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონებით, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მომსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის #493 ბრძანებულებით და «სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ» დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის #609 ბრძანებულების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები შეეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მოსარჩელე ა. კ-შვილსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული არ ყოფილა რაიმე სახის ხელშეკრულება, მათ შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანებების მეშვეობით, ამიტომ განსახილველ სასარჩელო მოთხოვნაზე ვერ გავრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელი ხელფასის მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი უნდა ყოფილიყო «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127.1 მუხლით დადგენილ ვადაში, იმ დღიდან, როდესაც ის გათავისუფლდა სამსახურიდან, ე.ი. გათავისუფლებიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ, სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა, სწორედ ამ კანონის 37-ე მუხლით დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება, გასცეს შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე ითხოვდა 1998-2000 წლების ხელფასს, მატერიალურ დახმარებას, ჯილდოსა და კვების კომპენსაციას.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

შრომის კანონთა კოდექსის (2006 წლის) 31-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, სამუშაო ადგილზე, ხოლო იმ დროს მოქმედი «შრომის კანონთა კოდექსის» 81-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდება

დროებლივად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტით ხელფასი გაიცემა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, უდავოა, რომ ხელფასის გაცემა წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის მოთხოვნაზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო ამ ვადის ათვლა, სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო ხელფასი.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127.1 მუხლით მოხელეს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურობრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება.

აპელანტის მოსაზრებით, მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაეყენებინა იმ დღიდან ერთ თვეში, რაც დადგენილია ხელფასის გაცემის დღედ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სამ წელიწადში (როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-11.2 «თ» ქვეპუნქტით სამხედრო მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, ხელფასის არსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს 1999-2000 წლებში მოქმედი «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მოთხოვნები, ხოლო ამ კანონმდებლობაში განსხვავებული დებულებების არარსებობის შემთხვევაში, სადავო ურთიერთობა უნდა მოგვარდეს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის დებულებებით, კერძოდ, 37-ე მუხლით (1998-2000 წლების რედაქციით), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფინანსურ გასაცემელს მიეცეს ხელფასზე დანამატის სტატუსი და ჩაითვალოს ხელფასის შემადგენელ ელემენტად, საჭიროა, ამ ფულად გასაცემელს (კვარტალური პრემია, კვების კომპენსაცია), კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდეს «დანამატის» სტატუსი.

კასატორის განმარტებით, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტით (2000 წლამდე რედაქციით) სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სანიმუშო დისციპლინისა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებული მაჩვენებლებისათვის სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო და/ან მატერიალური დახმარება.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით - სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

ამავე მუხლის მესამე პუნქტით - ოფიცერს თანამდებობაზე ნამსახური კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-ის და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით ეძლევა თანამდებობრივ და სამხედრო წოდებების ფულად სარგოებზე პროცენტული დანამატები ნამსახურობისათვის შემდეგი ოდენობით: 1-დან 2 წლამდე - 5%; 2-დან 5 წლამდე - 10%; 5-დან 10 წლამდე - 20%; 10-დან 15 წლამდე - 25%; 15-დან 20 წლამდე - 40%; 30 წელზე მეტი - 45%.

როგორც «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე პუნქტიდან ირკვევა, «დანამატის» სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ ფულად თანხებს, რომლებიც დაიანგარიშება ნამსახური წლების მიხედვით. რაც შეეხება კვების კომპენსაციას, ჯილდოსა და მატერიალურ დახმარებას «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, «დანამატის» სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების თანხები არ წარმოადგენს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატებს და ისინი ხელფასისაგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს წარმოადგენს.

კასატორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან ამგვარ მოთხოვნებზე ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლით - საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

აქედან გამომდინარე, კანონიერია საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი დავის დროს გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, მაგრამ მისი ნორმები ხშირ შემთხვევაში იმ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებადაც გვევლინება, რომლებიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ (საჯარო) ურთიერთობებს.

საყურადღებოა, განისაზღვროს, მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობას. აღნიშნული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობა იყო იმ მარტივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელის განცხადება - ნების გამოვლენა - თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურის დაწყების შესახებ (ოფერტი) და სამინისტროს თანხმობა (აქცეფტი - ბრძანების სახით), მასთან შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ, ასევე ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობის და მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრელი სამართლებრივი აქტები ერთობლიობაში წარმოადგენს მოსარჩელესა და სამინისტროს შორის ფაქტობრივი საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტს და ამის დასადასტურებლად სრულიად არ არის საჭირო ერთიანი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ან გარკვეული ფორმის მქონე დოკუმენტის - ხელშეკრულების არსებობა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ ავალდებულებს მხარეებს კონკრეტული შინაარსისა და სტილის მქონე დოკუმენტის გაფორმებას ხელშეკრულების დადებისას. ხელშეკრულებათა ფორმები და სტილი შეიძლება იყოს განსხვავებული და შესაბამისად, წერილობითი განცხადება და ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ერთობლიობაში წარმოადგენს წერილობითი შრომითი ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

აღნიშნული მიდგომა სახელმწიფოს მიერ ასევე ფაქტობრივად აღიარებულია «შრომის კოდექსის» მე-6 მუხლის მე-3 ნაწილითაც - პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

ის ფაქტი, რომ საჯარო სამსახურზე ვრცელდება შრომითი კანონმდებლობა, უდავოა, უფრო მეტიც, «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამდენად, სახელფასო დავალიანებების ხანდაზმულობის საკითხზე, რომელიც არ წესრიგდება მითითებული კანონით, უნდა გავრცელდეს შესაბამისი კანონმდებლობა, ანუ: ა) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის ვალდებულებას მიეცა სახელშეკრულებო ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ხელფასის გაცემის ვალდებულებას მიეცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივ საკითხზე მოქმედების განხორციელების ვალდებულების კვალიფიკაცია, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ერთვითიანი ხანდაზმულობის ვადა.

სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით განსაზღვრული ერთვითიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მოსარჩელეს უნდა მიეღო თითოეული თვის ან პერიოდის ჯილდო და კვების კომპენსაციის გაცემისათვის დაწესებული დღის მეორე დღიდან.

როგორც ცნობილია, სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2007 წლის ოქტომბერში.

ამდენად, სარჩელის შეტანის დროს მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა როგორც სსკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთვითიანი ხანდაზმულობის ვადები.

სსკ-ის 129-ე მუხლის გამოყენების უპირობო კანონიერებაზე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლიც, სადაც განმარტებულია, რომ წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ, გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართაც.

კასატორის განმარტებით, იმ დროს მოქმედი «შრომის კანონთა კოდექსის» 81-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ხდებოდა ეტაპობრივად, 94-ე მუხლის პირველი პუნქტით ხელფასი გაიცემოდა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული.

ამდენად, უდავოა, რომ ხელფასის გაცემა წარმოადგენდა პერიოდულ ვალდებულებას, რომლის მოთხოვნაზე ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით

დადგენილი ერთიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის თითოეული თვის სახელფასო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე დამოუკიდებლად უნდა წარიმართოს მსჯელობა.

ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების, კვარტალური პრემიისა და კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში, ორივე მსჯელობის მიხედვით ხანდაზმულია.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია საქმეში არსებულ თავდაცვის სამინისტროს ჯარების უზრუნველყოფის დეპარტამენტის საავტომობილო ბაზის საფინანსო სამსახურის მიერ 2007 წლის 11 ივლისის გაცემული №-3-11/4630 ცნობა ვალის აღიარებად, ვინაიდან აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად სსკ-ის 137-ე მუხლის მიხედვით, რადგან დასახელებული დოკუმენტით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება სამინისტროს მიერ ვალდებულების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტად, კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან, მას ინფორმაციული ხასიათი აქვს, კერძოდ, მოსარჩელეს (განმცხადებელს) მიეცა სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია მისი მოთხოვნის შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა. კ-შილი მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო კლინიკურ ჰოსპიტალში მიმღები განყოფილების სანიტრად. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის №-3-11/4630 ცნობის თანახმად, მოსარჩელის მიმართ მოპასუხის დავალიანება შეადგენს: ხელფასი - 367.42 ლარს, კვების კომპენსაცია - 670.50 ლარს, მატერიალური დახმარება - 61,77 ლარს, ჯილდო - 212.11 ლარს, სულ - 1311.80 ლარს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.

«საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემულია მოსამსახურის ხელფასის ცნება, რომლის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოადგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის (2007 წლის 11 მაისამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით სახელმწიფოს ხარჯზე ეძლეოდა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. ამდენად, სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134<sup>1</sup> მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან - სასურსათო ულუფისაგან, რაც განსხვავებულადაა მოწესრიგებული «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლში. ამდენად, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული გარდამავალი ნორმა («საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი) აღნიშნულ კომპენსაციაზე არ ვრცელდება. შესაბამისად, თუ საქართველოს თავდაცვის



სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საფინანსო სამმართველოს მიერ გაცემულ საინფორმაციო ხასიათის ცნობაში სახელფასო დავალიანებასთან ერთად, მითითებულია კვების ულუფის დავალიანებაზე, ხელფასისაგან განსხვავებით, კვების ულუფის დავალიანების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, აღნიშნული ვადა კი ათვლილ უნდა იქნეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ცნობა ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, ამა თუ იმ პირზე გაცემული ცნობა, რომელიც შეიცავს პირის მიმართ ამ ორგანოს დავალიანების შესახებ ინფორმაციას, წარმოადგენს ამავე ორგანოში დაცულ და მის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფარგლებში კანონით დადგენილი წესით გაცემულ საჯარო ინფორმაციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის თანხის - 670.50 ლარის ა. კ-შვილის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში ა. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას დანარჩენ ნაწილში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში განჩინებაში მიღებულია კანონის სწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება გაზიარებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინება კვების კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. კ-შვილის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 670.50 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების - 641.3 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **კვების კომპენსაციაზე უარი ხანდაზმულობის გამო**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#-ბს-886-853(კ-08) 17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. სილაგაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ბ-იამ 2007 წლის ნოემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ 1998-1999 წლების სახელფასო დავალიანების და 1998 წლის ივნისი-დეკემბრის ბინის ქირის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ბ-აიას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. ბ-აიას სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 511,34 ლარის ანაზღაურება; მოსარჩელე ზ. ბ-აიას ჯილდოს, კვების კომპენსაციისა და ბინის ქირის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ეთქვა უარი,

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-აიამ და საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ზ. ბ-აიას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ბ-აიას სარჩელი კვების კომპენსაციისა და ჯილდოს 245,68 ლარის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დატოვებულ იქნა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კვების კომპენსაციის და ჯილდოს მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რადგან საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დადგენილად მიიჩნია თავდაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელის მიმართ დავალიანების არსებობა. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად იმჯელა მოსარჩელის სასარგებლოდ ხელფასის, ჯილდოს და კვების კომპენსაციის ნაწილში და არასწორად განმარტა კანონი, რადგან სარჩელის შეტანის დროს მას გაშვებული ჰქონდა როგორც სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადები.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337.1 და 105-ე მუხლები, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლები, რადგან საქმეში არსებული ცნობები შეაფასა დავალიანების აღიარებად, რაც არაკანონიერია, რადგან აღიარება და ან დაპირება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ვალდებულებას, თუ იგი მიღებულია უფლებამოსილი პირის მიერ და თუ მას ინფორმაციული ხასიათი არა აქვს. კონკრეტულ შემთხვევაში მათ მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი გააჩნიათ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევა ზ. ბ-აიას სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 177 ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ზ. ბ-აიას სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 177 ლარის დაკისრების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ზ. ბ-აიას სასარგებლოდ ხელფასის და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ზ. ბ-აიასთვის კვების კომპენსაციის - 177 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად;

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატის განხილვის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ზ. ბ-აიას სასარგებლოდ კვების კომპენსაციის 177 ლარის დაკისრების კანონიერების საკითხის შემოწმება.

საქმეში წარმოდგენილია სამხედრო-საზღვაო ძალების საფინანსო სამმართველოს უფროსის მიერ 2007 წლის 11 ოქტომბერს გაცემული №-232 ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი სამხედრო მოსამსახურის ზ. ბ-აიას 1998 წლის კუთვნილი ხელზე გასაცემი სახელფასო

დავალიანება შედგენს 402,57 ლარს, მათ შორის სექტემბრის - 96,78 ლარს, ოქტომბრის - 101,93 ლარს, ნოემბრის - 101,93 ლარს, დეკემბრის - 101,93 ლარს.

საქმეში წარმოდგენილია შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 3 დეკემბერს გაცემული #-1780 პასუხი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიმართ, სადაც მითითებულია, რომ ზ. ბ-აიას 1999 წლის კუთვნილი ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანებები შედგენს 354,45 ლარს; მათ შორის: ხელფასი - 108,77 ლარს, კვების კომპენსაცია - 177 ლარს, ზემსახურის ჯილოდ - 68,68 ლარს.

«სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. კვების კომპენსაცია წარმოდგენს «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 12.3 მუხლით რეგლამენტირებულ სასურსათო ულუფას. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად, ღებულობს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის - ულუფის სახით. «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება, მაგრამ იგი არ ეხება საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურებას ამ მუხლით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კვების კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მიერ 2007 წლის 3 დეკემბერს გაცემულ #-1780 ცნობას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი გააჩნია და იგი არ წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ზ. ბ-აიას მიმართ კვების კომპენსაციის 177 ლარის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის აღიარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. ბ-აიას სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 1999 წლის კვების კომპენსაციის - 177 ლარის დაკისრების ნაწილში ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2007 წლის ნოემბერში, ე.წ. სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ზ. ბ-აიას სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 177 ლარის ანაზღაურება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. არ დაკმაყოფილდეს ზ. ბ-აიას სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 177 ლარის დაკისრების ნაწილში.

4. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ზ. ბ-იას სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების 511,34 ლარის დაკისრების ნაწილში;

5. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ჯილდოს 68,68 ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

#-ბს-934-896(კ-07) 7 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ნ. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 1 ივნისს ნ. კ-უტემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაიბადა 1945 წლის 25 იანვარს. 1991 წლის 31 მარტს მონაწილეობა მიიღო საქართველოში პირველად ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულოებისა და გამგეობების) არჩევნებში. აღნიშნულ არჩევნებში ნ. კ-უტე არჩეულ იქნა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს დეპუტატად.

მოსარჩელის განმარტებით, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარმა შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო უკანონობას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს.

მოსარჩელის მტკიცებით, 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ შეაჩერა საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის (1990-1991 წლების შესწორებებითა და დამატებებით) მოქმედება ქვეყნის ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის 4 იანვარს გამოცხადდა ბრძანება, რომლის თანახმად, 1992 წლის იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა პრეფექტურები, დროებით შეჩერებულ იქნა ყველა საკრებულოს საქმიანობა, ადგილებზე მთელი ძალაუფლება გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით საგანგებო რწმუნებულებს. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 13 თებერვლის #-07/135 განკარგულებით კი უკანონოდ შეჩერდა მხოლოდ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოებისა და პრეფექტურების საქმიანობა, დაიწყო დეპუტატთა და პრეფექტთა დევნა, მასობრივი დაპატიმრებები, განხორციელდა პერმანენტური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორი და სხვა სახის რეპრესიები.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს ზემოაღნიშნული აქტის საფუძველზე, ნ. კ-უტეს შეუჩერდა ყოველგვარი უფლებამოსილება და იგი განიცდიდა დევნას, როგორც კანონიერი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი.

მოსარჩელის განმარტებით, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. მითითებული დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე, მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურებისა (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ხსენებული დადგენილებით დაიგმო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებით საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაადასტურა 1991 წელს არჩეული

საკრებულოების დეპუტატთა, პრეფექტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურათა წარმომადგენლების უფლებების შელახვის ფაქტი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გამეკეობა, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 4 იანვრის ბრძანების საფუძველზე მოხდა საკრებულოების დეპუტატებისა და პრეფექტურების წარმომადგენელთა უკანონო დათხოვნა, მათთვის უფლებამოსილების ჩამორთმევა და შესაბამისად, დაირღვა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება მოითხოვა, პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენის, ასევე კანონით დადგენილი წესით შედავათების მინიჭების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. კ-უტეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გამეკეობა, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ მშვიდობიანი საშუალებებით წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ, ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მხვერპლად მიიჩნეოდა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო: ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაციისა და პროპაგანდის გამო, მმართველობის წესის საწინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაულისათვის; სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევისათვის; წინასწარი შეცნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელებისათვის; შრომა-გასწორების, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილიდან გაქცევისათვის, თუ პირი იქ იმყოფებოდა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად; რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლებოდა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლებოდა «დოს-დოს-ს», «გფკ-ს», «სნკგ-ნკმ-ს», «მდბ-ს», «კდბ-ს», «მგე-ს», საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე, კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დაწესებულებაში გაგზავნილი პირი. ზემოხსენებული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნეოდა პირი, რომელიც რეაბილიტი-

რებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელი-სუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნეოდა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, პირის თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან დათხოვნა და უფლებამოსილების ჩამორთმევა, რის შედეგადაც დაირღვა მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებები, რაც წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1991 წელს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული იყო ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ცნება. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს წარმოადგენდნენ საკრებულოები, საკრებულოს თანამდებობის პირებს კი - საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მდივანი და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები. ამდენად, საკრებულოს წევრი არ წარმოადგენდა თანამდებობის პირს, არამედ იგი იყო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის სტატუსის მქონე პირი.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, პირის თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან დათხოვნა, მაგრამ საქმეში არ მოიპოვებოდა და მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ნ. კ-უტე, როგორც თანამდებობის პირი, დათხოვნილი იყო თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის განმარტება იმის თაობაზე, რომ 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 4 იანვრის ბრძანების თანახმად, 1992 წლის იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა პრეფექტურები, დროებით შეჩერდა ყველა საკრებულოს საქმიანობა, ადგილებზე მთელი ძალაუფლება გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით საგანგებო რწმუნებულებს. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 13 თებერვლის #-07/135 განკარგულებით კი, უკანონოდ შეჩერდა მხოლოდ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოებისა და პრეფექტურების საქმიანობა, დაიწყო დეპუტატთა და პრეფექტთა დევნა, მასობრივი დაპატიმრებები, ფსიქოლოგიური ტერორი და სხვა სახის რეპრესიები. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 13 თებერვლის #-07/135 განკარგულებით შეჩერდა ქ. თბილისის ტერიტორიაზე საკრებულოების საქმიანობა, მაგრამ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული პირობები იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიმართ დაიწყო სხვადასხვა სახის რეპრესია, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდებოდა, არ განხორციელებულა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ საკრებულოს საქმიანობის შეჩერება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პოლიტიკურ რეპრესიად, თუ მოსარჩელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არ განხორციელებულა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული იძულების ის ფორმები, რომლებიც საფუძველად დაედებოდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად პირის აღიარებას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსარჩელე რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ და მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება ნ. კ-უტემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-უტეს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. კ-უტეს სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. კ-უტე წარმოადგენდა მხოლოდ საკრებულოს დეპუტატს და არ იყო თანამდებობის პირი, იგი თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ და შესაბამისად, მის მიმართ არც პოლიტიკური რეპრესიები განხორციელებულა.

საპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ საკრებულოების მოქმედების შეჩერება მათი ფუნქციონირების შეწყვეტის ტოლფასი იყო, რაც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამაც დაადასტურა. შესაბამისად, საკრებულოს დეპუტატებს არ განუხორციელებიათ მათი უფლებამოსილებანი. თავისთავად ის გარემოება, რომ ნ. კ-უტესთან მიმართებაში არ ყოფილა მიღებული კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ვითარებას არ ცვლიდა. არსებითი იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელე საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 13 თებერვლის განკარგულების შესაბამისად, ობიექტურად მოკლებული იყო სადეპუტატო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკური მოტივით განხორციელებული პირის თანამდებობიდან დათხოვნა პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ ქ. თბილისში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის შეჩერების მოტივის პოლიტიკური ხასიათი საყოველთაოდ ცნობილ გარემოებას წარმოადგენდა. საპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით გარკვეულწილად აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებაც «1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ».

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტომ», რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს საპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ნ. კ-უტემ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, რაც გამოიხატა მისი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებაში და საფუძვლად დაედო მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ 1991 წელს მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს ცნება, რომელსაც წარმოადგენდა საკრებულო, ხოლო საკრებულოს თანამდებობის პირებს კი - საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მდივანი და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები. ამდენად, საკრებულოს წევრი არ წარმოადგენდა თანამდებობის პირს, არამედ იგი იყო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის სტატუსის მქონე პირი.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსაზრებას, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 13 თებერვლის # -07/135 განკარგულებით უკანონოდ შეჩერდა მხოლოდ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოებისა და პრეფექტურების საქმიანობა, დაიწყო დეპუტატთა და პრეფექტთა დევნა, მასობრივი დაპატიმრებები, ფსიქოლოგიური ტერორი და სხვა სახის რეპრესიები.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საკრებულოს საქმიანობის შეჩერება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ რეპრესიად, თუ პირის მიმართ სახელმწიფოს მიერ არ განხორციელდა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო ნ. კ-უტეს საკრებულოს თანამდებობის პირად მიიჩნევს, არ არსებობს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები, ვინაიდან საქმიანობის შეჩერება არ გულისხმობს სამსახურიდან პირის უკანონოდ გათავისუფლებას, თუნდაც აღნიშნული ამ პირის პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე იყოს.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოსარჩელის იმ მოთხოვნაზეც, რომლითაც იგი ითხოვს მასზე კანონით დადგენილი შეღავათების გავრცელებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 12 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის განჩინებით შპს სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» საკასაციო საჩივარი

მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 7 თებერვალს, მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოცემული საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. კ-უტე დაიბადა 1945 წლის 25 ივნისს და 1991 წლის 31 მარტს არჩეულ იქნა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს წევრად - დეპუტატად. ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 2005 წლის 14 დეკემბრის #-01-18/219 წერილის მიხედვით, რაც შეეხებოდა საკრებულოს წევრების ხელფასებს, აღნიშნული არქივის დოკუმენტებში იძებნებოდა მხოლოდ 5 საკრებულოს (მთაწმინდის, ნამალადევის, გლდანის, სამგორის და ვაკის რაიონების) გამგეობის თავმჯდომარის ხელფასი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გამევეება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ, ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე, ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: ა) ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა, კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაული; ბ) სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევა; გ) წინასწარი შეცნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელება; დ) შრომა-გასწორების, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილიდან გაქცევა, თუ პირი იქ იმყოფებოდა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად; ე) რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა. ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება «დოს-ადოს-ს», «გგკ-ს», «სნკგე-ნკგე-ს», «მდბ-ს», «კდბ-ს», «მგე-ს», საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე, კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დაწესებულებაში გაგზავნილი პირი. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

როგორც კასატორი მიუთითებს საკასაციო საჩივარში, 1991 წელს მოქმედი კანონმდებლობით განისაზღვრა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს ცნება, რომელსაც წარმოადგენდა საკრებულო, ხოლო საკრებულოს თანამდებობის პირებს - საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მდივანი და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები და ამდენად, საკრებულოს წევრი არ წარმოადგენდა თანამდებობის პირს, არამედ იგი იყო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის სტატუსის მქონე პირი, საკრებულოს საქმიანობის შეჩერება კი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პოლიტიკურ რეპრესიად, თუ პირის მიმართ სახელმწიფოს მიერ არ განხორციელდებოდა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების



მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო ნ. კ-უტეს საკრებულოს თანამდებობის პირად მიიჩნევა, არ არსებობდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები, ვინაიდან საქმიანობის შეჩერება არ გულისხმობდა სამსახურიდან პირის უკანონოდ გათავისუფლებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსს უშუალოდ განსაზღვრავდა და მასთან მიმართებაში სპეციალურ კანონს წარმოადგენდა «საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი, რომელიც საერთოდ არ გამოუყენებია სააპელაციო სასამართლოს. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის (საკრებულოს წევრის სადეპუტატო საქმიანობის შეხამება საწარმოო და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან) თანახმად, საკრებულოს წევრი თავის სადეპუტატო უფლებამოსილებებს, როგორც წესი, ახორციელებდა საწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლივ და სადეპუტატო უფლებამოსილება ხორციელდებოდა უსასყიდლოდ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია საკრებულოს წევრის - დეპუტატის საქმიანობის საზოგადოებრივ ხასიათზე, რომ იგი არ იყო ანაზღაურებადი და შეთავსებადი იყო დეპუტატის სხვა საქმიანობასთან - პარალელურად სხვა ანაზღაურებად სამსახურში მუშაობასთან, ანუ საკრებულოს წევრობა არ წარმოადგენდა დაბრკოლებას იმისათვის, რომ პირს ემუშავა სხვა სამსახურში და მიეღო შრომითი გასამრჯელო. სასამართლოს არ დაუდგენია, ჩაითვლებოდა თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის 13 თებერვლის # -07/135 განკარგულებით ქ. თბილისისა და ქ. თბილისის რაიონების საკრებულოების, მათ შორის, ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს მოქმედების შეჩერება მოსარჩელის, როგორც საკრებულოს წევრის, «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პოლიტიკურ რეპრესიად, კერძოდ, მის ერთ-ერთ ფორმად - «თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნა, განხორციელებული სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური მოტივით». საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემული დავის მართებულად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლოს ამასთან მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია «საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის მიმართებაზე «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მე-2 მუხლთან. სააპელაციო სასამართლოს ასევე არ დაუდგენია, მოსარჩელეს გააჩნდა თუ არა შეთავსებადი, მუდმივი, ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი და ის გარემოება, მოხდა თუ არა მისი გათავისუფლება ამ სამუშაო ადგილიდან პოლიტიკური მოტივით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის «გ» და «ე» ქვეპუნქტებისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე<sup>1</sup>» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამოსიანს) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ «სოციალური სუბსიდიების სააგენტოს» (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

#-ბს-842-804(კ-07) 19 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-ეკმა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და დარღვეული უფლებების აღდგენა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ეკის განცხადება დაკმაყოფილდა და იგი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად და მას აღუდგა დარღვეული უფლებები.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა 2003 წლის 25 ნოემბერს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილება, დადგინდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე მ. ჯ-ეკის განცხადების ხელახალი განხილვა 2004 წლის 20 იანვარს 15.00 საათზე.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება განაახლა იმ საფუძველზე, რომ ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის მიერ 1989 წლის 17 აპრილს გაცემული #-5-დ ცნობის თანახმად მ. ჯ-ეკის დედა ხ. ჯ-ეკს ნამუშევარი აქვს ... ჩაის ფაბრიკაში 1958, 1959, 1960, 1977, 1978, 1981 წლებში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

მ. ჯ-ეკმა 2005 წლის 25 მაისს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალის მიმართ და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 2003 წლის ოქტომბრიდან გაუცემელი პენსიის ანაზღაურების დავალება; მან ასევე მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინების გაუქმება.

მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ მისი მშობლები პოლიტიკური მოტივით გადასახლებულნი იყვნენ საქართველოდან ყაზახეთში. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ეკი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რის საფუძველზეც დაენიშნა პენსია 45 ლარის ოდენობით. პენსია ეძლეოდა 2003 წლის ოქტომბრამდე. 2003 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, მოსარჩელეს პენსია აღარ მიუღია. მოსარჩელის მოსაზრებით, არაკანონიერი იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება, რადგან დარღვეული იყო «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მოთხოვნები.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. ჯ-ეკს უარი ეთქვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებაზე, ასევე მოპასუხე სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონულ ფილიალზე 2003 წლის ოქტომბრიდან გაუცემელი პენსიის ანაზღაურებაზე.

რაიონულმა სასამართლომ დადგინდა, რომ მ. ჯ-ეკის მშობლები - ი. ჯ-ეკ-ო-ლი და ხ. ჯ-ეკ-ო-ლი 1944 წელს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, გადასახლებული იყვნენ საქართველოდან ყირგიზეთში, საიდანაც გათავისუფლებულ იქნენ 1956 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 27 აპრილის #-134/42 დადგინების საფუძველზე, წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლების გარეშე. ხელვაჩაურის რაიონის არქივის 2003 წლის 17 ნოემბრის #-3 ცნობით დასტურდებოდა, რომ მ. ჯ-ეკის დედას - ხ. ჯ-ეკის გადასახლებიდან გათავისუფლების შემდეგ, 1958 წლიდან სხვადასხვა წლებში, ნამუშევარი ჰქონდა ... მეურნეობაში. მტკიცებულება მისი მშობლების შეზღუდვების შესახებ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ეკმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 აპრილის განჩინებით მ. ჯ-ეკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინება და 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ეკმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინებით მ. ჯ-ეკის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 აპრილის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების არასწორად განახლება იმ მოტივით, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის აღნიშნული მოტივი მოცემულ შემთხვევაში სრულიად შეუსაბამოა, რადგან საქმეზე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა მ. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებულია წარმოება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც მ. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დატოვებულია განუხილველად. მ. ჯ-ეკს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. მან ხელახლა აღძრა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ცნობის მოთხოვნით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსახილველი საქმის დავის საგანია. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ჯ-ეკი არაუფლებამოსილია სადავო გახადოს მოცემულ საქმეზე მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში იხილება არა მ. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, რომელზეც განახლდა წარმოება, არამედ მის მიერ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება მ. ჯ-ეკის დაბადების მოწმობა, საიდანაც დადგინდებოდა მ. ჯ-ეკის დაბადების ზუსტი თარიღი, ადგილი და მისი მშობლების ვინაობა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, თუ რატომ არის საქმეში მ. ჯ-ეკი რიგ შემთხვევაში მოხსენიებული ჯ-ეკოვას გვარით, ხოლო მისი მშობლების გვარია ჯ-ეკ-ო-ლი, ყველა ამ შემთხვევაში საქმე შეეხება თუ არა ერთ პიროვნებას - მ. ჯ-ეკს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე ასევე დადგინდა მ. ჯ-ეკის მშობლები შუა აზიაში გადასახლებაში იმყოფებოდნენ 1944 წლიდან, საიდანაც გათავისუფლდნენ 1956 წელს. საქმეში არ მოიპოვება 1944 წლის #-6279 დადგინლება, რომლის საფუძველზეც კასატორის მშობლები გადასახლებულ იქნენ შუა აზიაში და არც 1956 წლის #-135/42 დადგინლება კასატორის მშობლების სპეციალური კომენდატურის აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ, საქმეში არსებული მასალებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა საფუძველით იყვნენ კასატორის მშობლები გადასახლებული 1944 წელს.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, ხომ არ ვრცელდებოდა სადავო ურთიერთობაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 9 იანვრის ბრძანებულება, სადაც საუბარია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე, რომლითაც იძულებითი შეზღუდვა მოეხსნათ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებს. საკასაციო პალატის მითითებით სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს, კასატორის მშობლები გადასახლებული იყვნენ თუ არა ეთნიკური ჯგუფისათვის კუთვნილების საფუძველზე, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში, «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მათზე ვერ გავრცელდება აღნიშნული კანონი, რამდენადაც ეს კანონი არ აწესრიგებს დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებული პირების რეაბილიტაციის წესს.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ, კონკრეტულად, სად იყვნენ გადასახლებული კასატორის მშობლები და რომელ წლებში, რამდენადაც საქმეში ერთ შემთხვევაში საუბარია მათი ყაზახეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში მათი ყირგიზეთის რესპუბლიკაში იძულებით გადასახლებაში ყოფნაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით მ. ჯ-ეკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინება და 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინებაშიც აღინიშნა, რომ საქმე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა მ. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებული იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც მ. ჯ-ეკის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და მ. ჯ-ეკმა შეიტანა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების თაობაზე. აქედან გამომდინარე, მ. ჯ-ეკი არაუფლებამოსილი იყო, მოცემულ საქმეზე სადავო გაეხადა თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც ამ შემთხვევაში განიხილებოდა არა მ. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, არამედ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ჯ-ეკის პოლიტიკური რესპრესიის მსხვერპლად აღიარება, ვინაიდან «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის «ბ» პუნქტი თანახმად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიჩნეულია პოლიტიკური რესპრესიების მსხვერპლის შვილი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ჯ-ეკ-ო-ლის სასამართლოსადმი წარდგენილი განცხადებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით დასტურდებოდა, რომ ი. ჯ-ეკ-ო-ლი სპეცკომენდატურაში იმყოფებოდა 1956 წლამდე, საიდანაც განთავისუფლდა 1956 წლის 28 აპრილს, დადგენილების საფუძველზე. სხვა ცნობები აპელანტის მშობლების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 23 მაისის ცნობით არ მოიპოვება. ხ. ჯ-ეკ-ო-ლის ... კოლმეურნეობაში ნამსახურები ჰქონდა 1958-1960 წლებში, ხოლო მ. ჯ-ეკი დაიბადა 1970 წელს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ-ეკი და ჯ-ეკ-ო-ლი ერთი და იგივე პიროვნებაა.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-ეკმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ უხეზად დაარღვია მისი უფლებები, როდესაც სოცდაზღვევის განყოფილების მიერ არქივიდან წარმოდგენილი 1997 წლის 3 მარტის მტკიცებულებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ 1958-60 წლებში ხ. ჯ-ეკი მუშაობდა ... ჩაის ფაბრიკაში და შემდგომ ნებაყოფლობით დაბრუნდა შუა აზიაში საცხოვრებლად, რის შემდეგაც დაიბადნენ მ. ჯ-ეკი და მისი და-ძმები. სააპელაციო სასამართლოში მან წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული, კერძოდ: 1956 წლის 28 აპრილის #-135/42 დადგენილების საფუძველზე მისი მშობლები გათავისუფლდნენ სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლების გარეშე, მიუხედავად ამისა მათზე კვლავ გრძელდებოდა შეზღუდვები და მხოლოდ 1974 წლის 9 იანვრის დადგენილებით მოეხსნათ შეზღუდვები #-5333 დადგენილების საფუძველზე. მანამდე ხ. ჯ-ეკს უფლება არ ჰქონდა, დაბრუნებულიყო პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე. ამის საშუალება მხოლოდ 1974 წლის 9 იანვრის დადგენილების საფუძველზე მიეცათ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია მის მითითებას, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადება შეტანილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად 1 თვის ვადაში იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ფაქტის შესახებ. ხელვაჩაურის სოცფონდისათვის 1997 წლის 3 მარტიდან ცნობილი იყო ხ. ჯ-ეკის 1956-60 წლებში მუშაობის შესახებ და რომ ის ხელმეორედ იძულებით გადასახლეს შუა აზიაში, რასაც ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება - 1974 წლის 9 იანვრის დადგენილება გადასახლებულთა შეზღუდვების მოხსნის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მ. ჯ-ეკის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მ. ჯ-ეკი დაბადებულია 1970 წლის 30 სექტემბერს ყირგიზეთში; მისი მშობლები არიან დედა - ხ. ჯ-ეკ-ო-ლი და მამა - ი. ჯ-ეკ-ო-ლი. მოსარჩელემ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ მისი მშობლები გადასახლებული იყვნენ შუა აზიაში პოლიტიკური მოტივით. «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს

კანონის მე-3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. იმავე კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად მიუთითებს იმის შესახებ, რომ ეს კანონი არ ვრცელდება 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე, რომელთა რეაბილიტაციის წესი ცალკე განისაზღვრება. საქმეში წარმოდგენილია მ. ჯ-ეკის მამის ი. ჯ-ეკ-ო-ლის 1998 წლის 17 აპრილის განცხადება, რომლითაც მან ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მიმართა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით. მან ამ განცხადებაში მიუთითა, რომ 1944 წელს მთელი ოჯახი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქნა მიჩნეული და შუა აზიაში გადაასახლეს. 1956 წლის 28 აპრილის მთავრობის დადგენილებით განთავისუფლებული იქნა სპეცგასახლებიდან და ნება მიეცა აჭარაში დაბრუნებაზე. საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1998 წლის 8 აპრილის 7/6/1-ჯ-1994 საარქივო ცნობა ი. ჯ-ეკ-ო-ლის გადასახლების შესახებ. ამ ცნობის თანახმად ი. ჯ-ეკ-ო-ლი დაბადებული 1935 წელს გადასახლებული იყო საქართველოდან შუა აზიაში 1944 წელს სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №-6279 დადგენილების საფუძველზე, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე სპეცკომენდატურაში 1956 წლამდე. მოხსნილია სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის №-13542 დადგენილების საფუძველზე. იმავე საარქივო ცნობაში მითითებულია, რომ მისი ოჯახის წევრებიდან ი. ჯ-ეკ-ო-ლთან ერთად არავინ იყო გადასახლებული და სპეცკომენდატურაში აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა. სხვა ცნობები აპელანტის მშობლების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 23 მაისის ცნობის თანახმად არ მოიპოვება. მ. ჯ-ეკის დედას - ხ.ა ჯ-ეკ-ო-ლის ... კოლმეურნეობაში ნამსახურები ჰქონდა 1958-1960 წლებში, ხოლო მ. ჯ-ეკი დაიბადა 1970 წელს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ-ეკი და ჯ-ეკ-ო-ლი ერთი და იგივე პიროვნებაა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მ. ჯ-ეკის დაბადების მომენტისათვის მისი მშობლები იმყოფებოდნენ გადასახლებაში და მათ იძულების წესით ჰქონდათ საქართველო დატოვებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

მ. ჯ-ეკმა საკასაციო საჩივრით სადავო გახადა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ერთიანი ვადის დარღვევით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 4 აპრილის განჩინებაში ერთხელ უკვე იმსჯელა მ. ჯ-ეკის ზემოაღნიშნული მოტივის თაობაზე და მიუთითა, რომ საქმე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება და განახლდა მ. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებულია წარმოება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც მ. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დატოვებულია განუხილველად. მ. ჯ-ეკს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. მან ხელახლა აღძრა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ცნობის მოთხოვნით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსახილველი საქმის დავის საგანია. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. ჯ-ეკი არაუფლებამოსილია სადავო გახადოს მოცემულ საქმეზე მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში იხილება არა მ. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, რომელზეც განახლდა წარმოება, არამედ მის მიერ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინების მითითების შესაბამისად სწორად ჩათვალა, რომ მ. ჯ-ეკი არაუფლებამოსილი იყო, მოცემულ საქმეზე სადავო გაეხადა მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც ამ შემთხვევაში განიხილებოდა არა მ. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, არამედ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატას მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც მ. ჯ-ეკის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს მ. ჯ-ეკის საკასაციო საჩივარი;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება**

**განჩინება**

#-ბს-847-809(კ-07) 19 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და მიუღებელი საპენსიო თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ჯ-ეკმა განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და დარღვეული უფლებების აღდგენა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. ჯ-ეკის განცხადება და იგი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და მას აღუდგა დარღვეული უფლებები.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონულმა განყოფილებამ 2003 წლის 25 ნოემბერს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის სასამართლო გადაწყვეტილება, დადგინდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე ი. ჯ-ეკის განცხადების ხელახალი განხილვა 2004 წლის 20 იანვარს 15.00 საათზე.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმის წარმოება განახლა იმ საფუძველით, რომ ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის მიერ 1989 წლის 17 აპრილის გაცემული #-5-დ ცნობით ირკვევა, რომ ი. ჯ-ეკის დედა ხ. ჯ-ეკ-ის ნამუშევარი აქვს ... ჩაის ფაბრიკაში 1958, 1959, 1960, 1977, 1978, 1979, 1980 და 1981 წლებში.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით ი. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

ი. ჯ-ეკმა 2005 წლის 25 მაისს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოპასუხე სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალის მიმართ და მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება და მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 2003 წლის ოქტომბრიდან გაუცემელი პენსიის ანაზღაურების დავალება; მან ასევე მოითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინების გაუქმება.

მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ მისი მშობლები პოლიტიკური მოტივით გადასახლებული იყვნენ საქართველოდან ყაზახეთში. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ი. ჯ-ეკი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რის საფუძველზეც დაენიშნა პენსია 45 ლარის ოდენობით. პენსია ეძლეოდა 2003 წლის ოქტომბრამდე. 2003 წლის ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს, მოსარჩელეს პენსია აღარ მიუღია. მოსარჩელის

მოსარჩევით, არაკანონიერი იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, რადგან დარღვეული იყო «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მოთხოვნები.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე ი. ჯ-ეკს უარი ეთქვა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას და მოპასუხე სოც. უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის რაიონულ ფილიალის მიერ 2003 წლის ოქტომბრიდან გაუცემელი პენსიის ანაზღაურებაზე.

რაიონულმა სასამართლომ დადგინდა, რომ ი. ჯ-ეკის მშობლები - ი. ჯ-ეკ-ო-ლი და ხ. ჯ-ეკ-ო-ლი 1944 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, გადასახლებული იყვნენ საქართველოდან ყირგიზეთში, საიდანაც გათავისუფლდნენ 1956 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 27 აპრილის №-134/42 დადგინების საფუძველზე, წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლების გარეშე. ხელვაჩაურის რაიონის არქივის 2003 წლის 17 ნოემბრის №-3 ცნობით დასტურდებოდა, რომ ი. ჯ-ეკის დედას - ხ. ჯ-ეკ-ო-ლის გადასახლებიდან გათავისუფლების შემდეგ, 1958 წლიდან სხვადასხვა წლებში, ნამუშევარი ჰქონდა ... მეურნეობაში. მტკიცებულება მისი მშობლების შეზღუდვების შესახებ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ჯ-ეკმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 აპრილის განჩინებით ი. ჯ-ეკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინება და ამავე სასამართლოს 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ჯ-ეკმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინებით ი. ჯ-ეკის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 აპრილის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველია ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების არასწორად განახლება იმ მოტივით, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის აღნიშნული მოტივი მოცემულ შემთხვევაში სრულიად შეუსაბამოა, რადგან საქმეზე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და განახლდა ი. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებულია წარმოება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც ი. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დატოვებულია განუხილველად. ი. ჯ-ეკს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. მან ხელახლა აღძრა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ცნობის მოთხოვნით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსახილველი საქმის დავის საგანია. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ჯ-ეკი არაუფლებამოსილია, მოცემულ საქმეზე სადავო გახადოს მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში იხილება არა ი. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, რომელზეც განახლდა წარმოება, არამედ მის მიერ ხელმოწერილ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ მოიპოვება ი. ჯ-ეკის დაბადების მოწმობა, საიდანაც დადგინდებოდა ი. ჯ-ეკის დაბადების ზუსტი თარიღი, ადგილი და მისი მშობლების ვინაობა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლევას ასევე საჭიროებს, თუ რატომ არის საქმეში ი. ჯ-ეკი რიგ შემთხვევაში მოხსენიებული ჯ-ეკოვას გვარით, ხოლო მისი მშობლების გვარია ჯ-ეკ-ო-ლი, ყველა ამ შემთხვევაში საქმე შეეხება თუ არა ერთ პიროვნებას - ი. ჯ-ეკს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე ასევე დადგენილია ი. ჯ-ეკის მშობლები შუა აზიაში გადასახლებაში იმყოფებოდნენ 1944 წლიდან, საიდანაც გათავისუფლდნენ 1956 წელს. საქმეში არ მოიპოვება 1944 წლის №-6279 დადგინლება, რომლის საფუძველზეც კასატორის მშობლები გადასახლებულ იქნენ შუა აზიაში და არც 1956 წლის №-135/42 დადგინლება კასატორის მშობლების სპეციალური კომენდატურის აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ, საქმეში არსებული მასალებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა საფუძველით იყვნენ კასატორის მშობლები გადასახლებული 1944 წელს.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია, ხომ არ ვრცელდებოდა სადავო ურთიერთობაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 9 იანვრის ბრძანებულება, სადაც საუბარია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე, რომლითაც იძულებითი შეზღუდვა მოეხსნათ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებს.

მოსარჩელე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას ითხოვს, როგორც «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის სუბიექტი. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა გამოარკვიოს, კასატორის მშობლები გადასახლებული იყვნენ თუ არა ეთნიკური

ჯგუფისათვის კუთვნილების საფუძველზე, რამდენადაც, ასეთ შემთხვევაში, «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მათზე ვერ გავრცელდება აღნიშნული კანონი, რამდენადაც ეს კანონი არ აწესრიგებს დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებული პირების რეაბილიტაციის წესს.

საკასაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ, კონკრეტულად, სად იყვნენ გადასახლებული კასატორის მშობლები და რომელ წლებში, რამდენადაც საქმეში ერთ შემთხვევაში საუბარია მათი ყაზახეთში, ხოლო მეორე შემთხვევაში მათი ყირგიზეთის რესპუბლიკაში იძულებით გადასახლებაში ყოფნაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით ი. ჯ-ეკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინება და 2005 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 იანვრის განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინებაშია აღნიშნული, საქმე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და განახლდა ი. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებული იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც ი. ჯ-ეკის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა და ი. ჯ-ეკმა შეიტანა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ი. ჯ-ეკი არაუფლებამოსილი იყო, მოცემულ საქმეზე სადავო გაეხადა მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც ამ შემთხვევაში განიხილებოდა არა ი. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, არამედ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია ი. ჯ-ეკის პოლიტიკური რესპრესიის მსხვერპლად აღიარება, ვინაიდან «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის «ბ» პუნქტი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილს, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში. ი. ჯ-ეკო-ლის სასამართლოსადმი განცხადებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით დასტურდებოდა, რომ ი. ჯ-ეკ-ო-ლი სპეცო-მენდატურაში იმყოფებოდა 1956 წლამდე, საიდანაც განთავისუფლდა 1956 წლის 28 აპრილს, დადგენილების საფუძველზე. სხვა ცნობები აპელანტის მშობლების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის 23 მაისის ცნობით არ მოიპოვებოდა. ხ. ჯ-ეკ-ო-ლის ... კოლმეურნეობაში წამსახურები ჰქონდა 1958-1960 წლებში, ხოლო ი. ჯ-ეკი დაიბადა 1968 წელს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ-ეკი და ჯ-ეკ-ო-ლი ერთი და იგივე პიროვნებაა.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა ი. ჯ-ეკმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ი. ჯ-ეკის მშობლები 1956 წლის 28 აპრილის #135/42 დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდნენ სპეცკომენდატურის აღრიცხვიდან საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების უფლების გარეშე; ამის მიუხედავად მათზე კვლავ გრძელდებოდა შეზღუდვები და მხოლოდ 1974 წლის 9 იანვრის დადგენილებით მოეხსნათ მის მშობლებს შეზღუდვები #5333 დადგენილების საფუძველზე. კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებენ, რომ ი. ჯ-ეკის მშობლებს ხ. ჯ-ეკს არ ჰქონდა უფლება დაბრუნებულიყო თავის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე, მას ამის უფლება მხოლოდ 1974 წლის 9 იანვრის დადგენილების საფუძველზე მიეცა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია მის მითითებას, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადება შეტანილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად 1 თვის ვადაში იმ დროიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ფაქტის შესახებ. ხელვაჩაურის სოცფონდისათვის 1997 წლის 3 მარტიდან ცნობილი იყო ხ. ჯ-ეკის 1956-60 წლებში მუშაობის შესახებ და რომ ის ხელმეორედ იძულებით გადასახლეს ყაზახეთში, რასაც ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება - 1974 წლის 9 იანვრის დადგენილება გადასახლებულთა შეზღუდვების მოხსნის შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, ი. ჯ-ეკის საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა ი. ჯ-ეკი დაბადებულია 1968 წლის 28 დეკემბერს ყირგიზეთში; მისი მშობლები არიან დედა - ხ. ჯ-ეკ-ო-ლი და მამა - ი. ჯ-ეკ-ო-ლი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ-ეკი და ჯ-ეკ-ო-ლი ერთი და იგივე პიროვნებაა. მოსარჩელემ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ მისი მშობლები



გადასახლებული იყვნენ შუა აზიაში პოლიტიკური მოტივით. «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის შვილი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. საქმეში წარმოდგენილი საარქივო ცნობით ირკვევა, რომ ი. ჯ-ეკის დედას ხ. ჯ-ეკ-ო-ლის ... კოლმეურნეობაში ნამსახურები ჰქონდა 1958-1960 წლებში, ასევე 1977-1981 წლებში; საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ხ. ჯ-ეკი 1968 წელს ე.ი. მოსარჩელის დაბადების მომენტისათვის იძულებით იყო გადასახლებული ყირგიზეთში; ასევე ი. ჯ-ეკმა სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მისი დაბადების მომენტისათვის მამა - ი. ჯ-ეკ-ო-ლიც იძულებით იყო გადასახლებული ყირგიზეთში. ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ი. ჯ-ეკის დაბადების მომენტისათვის და შემდგომაც მისი მშობლები იმყოფებოდნენ გადასახლებაში და მათ იძულების წესით ჰქონდათ საქართველო დატოვებული, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ჯ-ეკის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება და განმარტება. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

ი. ჯ-ეკმა საკასაციო საჩივრით სადავო გახადა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელვაჩაურის ფილიალმა საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2007 წლის 4 აპრილის განჩინებაში ერთხელ უკვე იმსჯელა ი. ჯ-ეკის ზემოაღნიშნული მოტივის თაობაზე და მიუთითა, რომ საქმე, რომლითაც გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და განახლდა ი. ჯ-ეკის განცხადებაზე წარმოება, დამთავრებულია წარმოება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინებით, რომლითაც ი. ჯ-ეკის განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ დატოვებულია განუხილველად. ი. ჯ-ეკს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით არ გაუსაჩივრებია. მან ხელახლა აღძრა სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ცნობის მოთხოვნით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში განსახილველი საქმის დავის საგანია. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ი. ჯ-ეკი არაუფლებამოსილია სადავო გახადოს მოცემულ საქმეზე მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში იხილება არა ი. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, რომელზეც განახლდა წარმოება, არამედ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 აპრილის განჩინების მითითების შესაბამისად სწორად ჩათვალა, რომ ი. ჯ-ეკი არაუფლებამოსილი იყო, მოცემულ საქმეზე სადავო გაეხადა მის მიერ თავდაპირველად აღძრულ განცხადებაზე წარმოების განახლება, რამდენადაც ამ შემთხვევაში განიხილებოდა არა ი. ჯ-ეკის თავდაპირველი განცხადება, არამედ ხელმეორედ აღძრული სარჩელი იმავე მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატას მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც ი. ჯ-ეკის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. არ დაკმაყოფილდეს ი. ჯ-ეკის საკასაციო საჩივარი;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### განჩინება

#-ბს-248-242(კ-08) 15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ა. მ-იანმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - საქართველოს მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება.

საქმის გარემოებები:

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების შედეგად, «მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს» საარჩევნო სიით ა. მ-იანი გახდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი. 1991 წლის 21 დეკემბერს დაწყებული სამხედრო გადატრიალების შედეგად მოსარჩელეს უკანონოდ შეუწყდა უფლებამოსილება, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის #-85 დადგენილების მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტით მოხდა სადეპუტატო უფლებამოსილების უკანონო შეწყვეტა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილისა და 2005 წლის 11 მარტის დადგენილებებით 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები დაგმობილ იქნა და იგი შეფასდა როგორც ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული გადატრიალება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

«პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების თანახმად, მოსარჩელემ მოითხოვა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და აღნიშნა, რომ მითითებული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნეოდა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა არ ცნო ა. მ-იანის სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ა. მ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელე აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად, რაც დადასტურებულია ამონაწერით ა. მ-იანის შრომის წიგნაკიდან და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის #-189 მოწმობით. საქალაქო სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია 1991-1992 წლების, დეკემბერ-იანვარში საქართველოში (თბილისში) მომხდარი შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 30 იანვრის #-85 დადგენილების მე-2 მუხლის «ა» პუნქტით ა. მ-იანს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდა. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის #-1104-1ს დადგენილებით დაგმობილ იქნა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა «პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის 1.2. მუხლი და განმარტა, რომ ამ კანონის მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნეოდა იძულების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან დათხოვნა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებდა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და იგი დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, სახელმწიფომ, იმ დროისათვის მოქმედი სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით, შეუჩერა უფლებამოსილება უზენაესი საბჭოს წევრს, რითაც, ფაქტობრივად, მოსარჩელეს შეეზღუდა შრომითი უფლება, რამდენადაც შეჩერების შედეგად საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს თავიანთი საქმიანობა აღარ განუახლებიათ. აღნიშნული გარემოება კი უნდა გათანაბრებოდა პირის სამუშაო ადგილიდან გათავისუფლებას, რაც იმ დროისათვის სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა პოლიტიკური მოტივით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, სახელმწიფო გადატრიალება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეფასდეს სამხედრო გადატრიალებად, როცა სახელმწიფოში პოლიტიკური მმართველობა გადადის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ხელში სამხედრო შეთქმულების შედეგად, რასაც, კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა, მით უფრო, რომ «1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ» საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით დაგმილი იქნა რა მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, დადასტურებულ იქნა 1991 წლის 26 მაისს არჩეული უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების ლეგიტიმურობა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 30 იანვრის #85 დადგენილება წარმოადგენდა არა სამხედრო საბჭოს, არამედ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას. ამასთან, დადგენილების მე-2 მუხლის «ა» პუნქტი ეხებოდა არა ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეჩერებას, არამედ დავალებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართ, რათა მოეხდინათ ანგარიშსწორება მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილ დეპუტატებთან, რაც არ წარმოადგენდა აქტს სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ უგულვებელყო «პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის იმპერატიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მითითებული კანონის მე-2 მუხლი პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა არა საერთოდ თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან დათხოვნას, არამედ უკანონო დათხოვნას, რასაც თან უნდა ხლებოდა შესაბამისი აქტით დადასტურებული უკანონო ქმედება. კონკრეტულ შემთხვევაში, უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდა სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა სამოქალაქო კონფლიქტი და სახელმწიფო გადატრიალება, ყოფილი უზენაესი საბჭოს, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, ფუნქციონირების შეწყვეტა. აღნიშნული კი არ შეიძლება ჩათვალიყო პოლიტიკური მოტივით სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნად.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საქმეში თანამომასუხედ ჩაება სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. ამასთან, აღნიშნა, რომ აპელანტს საწინააღმდეგო შინაარსის არსებითი ხასიათის არგუმენტები არ წარმოუდგენია. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი და დასაბუთებული იყო და არ ექვემდებარებოდა გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსულუტურ საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 30 იანვრის #85 დადგენილება წარმოადგენს არა სამხედრო საბჭოს, არამედ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებას. ამასთან, დადგენილების მე-2 მუხლის «ა» პუნქტი ეხება არა ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეჩერებას, არამედ დავალებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართ, რათა მოეხდინათ ანგარიშსწორება მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილ დეპუტატებთან, რაც არ წარმოადგენს აქტს სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

«პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლი პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა არა საერთოდ თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან დათხოვნას, არამედ უკანონო დათხოვნას, რასაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი აქტით დადასტურებული უკანონო ქმედება. კონკრეტულ შემთხვევაში, უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი იყო სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა სამოქალაქო კონფლიქტი და სახელმწიფო გადატრიალება, ყოფილი უზენაესი საბჭოს, როგორც ქვეყნის

უმადლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, ფუნქციონირების შეწყვეტა. აღნიშნული კი არ შეიძლება ჩათვალიყო პოლიტიკური მოტივით სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნად. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების უკანონობას და მხოლოდ უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უკანონო ქმედების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რამდენადაც სსსკ-ის 102.3. მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

კასატორის განმარტებით, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით დადასტურებულ იქნა 1990 წელს არჩეული უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. «სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ» საქართველოს კანონის 13. 2. მუხლით 1990 წელს არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრებს პოლიტიკური შეხედულებისა და მათ მიერ განხორციელებული სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის მიუხედავად, ენიშნებათ პენსია იმავე წესითა და ოდენობით, როგორც პარლამენტის წევრს უფლებამოსილების ვადის სრული ამოწურვის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 27 მაისის განჩინებით საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. «ა» პუნქტის საფუძველზე /აბსოლუტური კასაცია/.

მოწინააღმდეგე მხარემ ა. მ-იანმა არ ცნო საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში იმავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან - დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებში მითითებულია, თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს

და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4. მუხლი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არ უმსჯელია სარჩელის საფუძვლიანობაზე, ამასთან, განჩინების სამოტივაციო ნაწილში არ არის აღნიშნული მტკიცებულებანი, რომელთაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რომლებიც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებებს, აგრეთვე კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

სსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე ა. მ-იანი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად, რაც დადასტურებულია ამონაწერით ა. მ-იანის შრომის წიგნაკიდან და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის #-189 მოწმობით. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 30 იანვრის #-85 დადგენილების მე-2 მუხლის «ა» პუნქტით მოხდა ა. მ-იანის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის #-1104-1ს დადგენილებით დაგმოიბილ იქნა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილებით «1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ», საქართველოს პარლამენტმა დაადასტურა 28.10.90წ. არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 26.05.91წ. საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონდებლობით დადგენილ ვადებში. ამავე დადგენილებით გადასინჯვას დაექვემდებარა სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელმწიფო სტრუქტურებში მათ მონაწილეობასა და პოლიტიკურ მრწამსს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, 24.06.05წ. «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვეპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის 1.2 მუხლის შესაბამისად, მითითებული კანონის მოქმედება გავრცელდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ - დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. ამავე კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრა, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა და მათგან ერთ-ერთი არის: «თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა», რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაეყრდნო მხოლოდ საქართველოს პარლამენტის 11.03.05წ. დადგენილებას «1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ» და მხოლოდ აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე მიიჩნია მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა უკანონოდ, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელე ა. მ-იანის მიმართ გამოყენებული იყო პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთ ფორმა - სამსახურიდან დათხოვნა, რაც სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალების ობიექტური გამოკვლევიდან.

საკასაციო სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს კასატორის საქართველოს მთავრობის მსჯელობას, რომ უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს შეუჩერდა სადეპუტატო უფლებამოსილება, განურჩევლად იმისა, რომელი პოლიტიკური პოზიციის მატარებელი იყო პირი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით თავისი ინიციატივით უნდა მოიკვლიოს საქმის გარემოებები, შეაგროვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ უნდა დაადგინოს: რა იურიდიული საფუძველი გააჩნია მოსარჩელის შრომის წიგნაკში ჩანაწერს უფლებამოსილების შეჩერებასთან დაკავშირებით, მოსარჩელე ა. მ-იანი წარმოადგენდა თუ არა 1991 წელს მმართველ პოლიტიკური ძალის - «მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს» წევრს კონფლიქტის პერიოდში და შემდგომ, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილი გარემოებებიდან გამომდინარე, დეპუტატებს არ გააჩნდათ ერთგვაროვანი პოლიტიკური შეხედულებები, თუ იყო სახეზე და კონკრეტულად რაში გამოიხატა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ქმედებები, რომელთა შეფასების შედეგად სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა პოლიტიკურ რეპრესიად მიჩნევის იურიდიული შემადგენლობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია ა. მ-იანის სამსახურიდან დათხოვნა რეპრესიად, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება, კერძოდ, იყო თუ არა მისი დათხოვნა დაკავშირებული პოლიტიკურ შეხედულებასთან, ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერასთან, ანუ სახეზე იყო თუ არა პოლიტიკური მოტივით მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი, რამდენადაც «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვეპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის 1.2. მუხლის თანახმად, პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნევისათვის, აუცილებელია ორი ელემენტის არსებობა, კერძოდ, უნდა არსებობდეს პირის სამუშაო ადგილიდან უკანონო დათხოვნა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული გარემოების გამოკვლევის შედეგად არის შესაძლებელი საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა, კერძოდ, განხორციელდა თუ არა მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური რეპრესია, რაც გამოიხატა მისი, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#-ბს-656-628 (კ-08) 29 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ე. მ-შვილმა, მ. და ქ. ზ-შვილებმა 2005 წლის 17 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიმართ და მოითხოვეს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, მატერიალური ზიანის: ე. მ-შვილის სასარგებლოდ - 105960 ლარის (მათ შორის: იძულებითი განაცდურის - 91560 ლარის; 1997 წლის 26 მაისს მშვიდობიან მიტინგზე მიყენებული ფიზიკური ზიანის შედეგად საავადმყოფოში და შემდგომი სამი თვის მანძილზე მკურნალობისათვის გაწეული ხარჯის - 500 ლარის; მშვიდობიან მიტინგზე მიყენებული ფიზიკური ზიანის შედეგად განპირობებული ოპერაციის ჩატარებისა და შემდგომი გამოკვლევა-მკურნალობისათვის - 10000 ლარის; 2002 წლის 13 მაისს საცხოვრებელი ბინის დარბევისა და გამარცხის შედეგად მიყენებული ზარალის - 3900 ლარის), მ. ზ-შვილის სასარგებლოდ - 7437 ლარის (მათ შორის: ავტომანქანის წართმევით მიყენებული ზარალის - 6937 ლარის და შვილის - ქ. ზ-შვილის მკურნალობისათვის გაწეული ხარჯის - 500 ლარის), სულ 113397 ლარის, აგრეთვე, მორალური ზიანის - 14 წლის მანძილზე პერმანენტული, სასტიკი, არაჰუმანური, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისათვის - 300000 ლარის, სულ - 920080 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 1 თებერვლის განჩინებით საქმეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მოპასუხედ ჩაერთო საქართველოს მთავრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ე. მ-შვილი და მ. ზ-შვილი აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად; მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელში მითითებულ სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-შვილმა, მ. ზ-შვილმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-შვილმა, მ. და ქ. ზ-შვილებმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ე. მ-შვილის, მ. და ქ. ზ-შვილების საკასაციო საჩივარი მ. და ქ. ზ-შვილების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების, მათთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების, აგრეთვე, ე. მ-შვილისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო ე. მ-შვილის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად მ. და ქ. ზ-შვილების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებასა და მათთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, აგრეთვე, ე. მ-შვილისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა ე. მ-შვილისათვის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» კანონის მე-4 მუხლში 2005 წლის 24 ივნისის დამატებულ მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის «ა» ქვეპუნქტით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

სააპელაციო პალატამ მიუთითა უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, თუ საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ამომწურავი გამოკვლევა-შეფასებით დადგინდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ პოლიტიკური მოტივით ნამდვილად იქნა გამოყენებული «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული იძულების რომელიმე ფორმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორი თვლის, რომ «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ, ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულებითი ფორმები.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის მასალების შესაბამისად ე. მ-შვილი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №-85 დადგენილების საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის (სადაც მოსარჩელე მუშაობდა) რეორგანიზაციის გამო. კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნული დადგენილება არ გაუქმებულა უკანონობის მოტივით და ის დღესაც კანონიერ ძალაშია.

კასატორს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ არ მომხდარა «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა აღნიშნული მუხლით.

კასატორს მიაჩნია, რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რამაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის



2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება მ. ზ-შვილის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე; დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოტივს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია იმ ნაწილში, რომლითაც ე. მ-შვილი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმეზე დაკითხული მოწმეების - დ. ზ-ძის, ს. ჭ-იას, თ. მ-შვილის, ბ. დ-ძის, ა. ა-იას, ი. კ-იანის და ლ. ც-იას ჩვენებების საფუძველზე დადგინდად ჩათვალა, რომ ე. მ-შვილი, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მომხრე და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი არაერთგზის იქნა დაკავებული და წარდგენილი პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია საქართველოს შსს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს 1992 წლის 9 აპრილს გაცემული №-75/1 ცნობა, რომლის თანახმად იმავე წლის 7 აპრილიდან 9 აპრილამდე ე. მ-შვილი იმყოფებოდა შს სამმართველოს დროებითი მოთავსების საკანში, არასანქცირებულ მიტინგში აქტიური მონაწილეობისათვის. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით - თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 11 ივლისის №-08 ცნობით, დადგენილი იყო, რომ ე. მ-შვილმა გადაიხადა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1994 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 200000 კუპონის ოდენობით. საქმეში მოიპოვება ქ. თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული კლინიკის ავადმყოფის სტაციონალური სამედიცინო ბარათიდან ამონაწერი სადაც დადგენილია, რომ 1997 წლის 26 მაისს ავადმყოფი ე. მ-შვილი სასწრაფო დახმარების მანქანით მიყვანილ იქნა მთაწმინდის პოლიციის განყოფილებიდან, რა დროსაც ავადმყოფს აღენიშნებოდა გულის რევის შეგრძნება, თავის ტკივილი კეფის, წელის, მარცხენა ბეჭისა და ზედა კიდურის არეში, რაც, მისი გადმოცემით, დაეწყო პოლიციის განყოფილებაში ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შემდეგ. იმავე ამონაწერში მითითებული ნეიროქირურგის დასკვნით კი დადგენილი იყო, რომ ავადმყოფს აღენიშნებოდა კეფის მიდამოს რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, ქალის შიდა წნევის მომატების სინდრომი და დაენიშნა წოლითი რეჟიმი 10 დღის განმავლობაში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ე. მ-შვილის მიმართ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, რადგან «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის კანონით «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით; ამ ნორმის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ცვლილებებითა და დამატებებით მითითებული კანონით მოქმედება გავრცელდა საქართველოს იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდგომ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიაზე. იმავე ცვლილებებითა და დამატებებით კანონის მე-2 მუხლით ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე, ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები. 2005 წლის 24 ივნისის «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე «საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, სადაც დაემატა მე-4 პუნქტი, თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსაურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ე. მ-შვილი სწორად მიიჩნია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რადგან იმავე კანონის მე-3 მუხლის «ა» ქვეპუნქტით, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასეთი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ე. მ-შვილი და მ. ზ-შვილი აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად; მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელში მითითებულ სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. მ-შვილისა და მ. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით ე. მ-შვილის, მ. და ქ. ზ-შვილების საკასაციო საჩივარი მ. და ქ. ზ-შვილების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების, მათთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების, აგრეთვე, ე. მ-შვილისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო ე. მ-შვილის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად მ. და ქ. ზ-შვილების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებასა და მათთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, აგრეთვე, ე. მ-შვილისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება გაუქმდა ე. მ-შვილი-სათვის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მ. ზ-შვილის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებაზე უარის თქმის სააპელაციო პალატის 2007 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით არასწორად დატოვა უცვლელად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ზ-შვილის სარჩელი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს მუხლი განსაზღვრავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს თვითონ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ისე, რომ არ დააბრუნოს იგი ხელახლა განსახილველად უკან. ამგვარი პირობაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულად და სწორად დადგენა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ და ამ ფაქტების დადგენა საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია სრულად და სწორად, ე.ი. ფაქტობრივი თვალსაზრისით საქმე მზადაა გადასაწყვეტად, მაგრამ არასწორადაა შეფარდებული (გამოყენებული) კანონი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-411 მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება მ. ზ-შვილის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების თაობაზე;

3. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.